პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე
ტელეფონები:) რედაქტორის 14—76
) მდივანის 10—58
ღამის მორიგეს 13—80

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 34, ტელეფონი № 8—81
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მანეთი და 30 კაპ.; განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—40 კაპ. ტექსტში—ორჯერ მეტი, სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება სწარმოებს შუადღის 4 ს. სტამბის ტელეფ. 13—80 ექსპედ. 5—43.

დღიური

— ინგლისმა ჩან-ძო-ლინს გაუხსნაა 5 მილიონი გირვანქა სტერლინგის კრედიტი.
— ლონდონში გამოვიდა ახალი კომუნისტური გაზეთი „მუშის ცხოვრება“.
— რუმინეთის რევოლიუციონურ პროფკავშირების კონგრესი 20 თებერვალს გაიხსნება.
— მოსკოვში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი საფრანგეთში. ამხ. რაკოვსკი.
— საქართველოში ქაღალდის ქარხნის ასაგებად გადადებულია 1. 500. 000 მანეთი.

პარასკევი, 4 თებერვალი 1927 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 27 (1782)

„კომუნისტი“
გრძელდება ხელის მოწერა
თებერვლისათვის
კანტორა-რუსთაველის პრ. № 34, ტელეფ. 8—81

ინდუსტრიალიზაციის გზით

გუშინ ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებული ამხ. კუიბიშევის მოხსენება 1926—27 წლის სამრეწველო გეგმის შესახებ და ამ მოხსენების გამო საკავშირო მთავრობის მიერ გამოტანილი დადგენილება ერთხელ კიდევ გვიჩვენებს, რომ ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, რომელი ლოზუნგი პარტიამ წამოაყენა, ცარიელი სიტყვა კი არ არის, არამედ უაღრესად პრაქტიკული ამოცანა, რომელსაც წარმატებით ვანხორციელებთ. 1926—27 წ. პირველი წელიწადია აღორძინებითი პერიოდის დამთავრების შემდეგ და თუ ამ პერიოდში მეურნეობის ომამდი არსებულ დონის მიღწევასთან ერთად მკვიდრი საძირკველი ჩაეყარა სახალხო ეკონომიკის ახალ ტეხნიკურ ბაზაზე გარდაქმნის ელემენტებს, აშკარაა, რომ რეკონსტრუქციის პერიოდის პირველი წლის სამრეწველო პროგრამაში მკაფიო და ფართე გამოხატულება უნდა ჰპოვა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ლოზუნგს და ეს ასეც არის.

პირველ ყოვლისა აღსანიშნავია, რომ ხსენებულ გეგმის მიხედვით, ცენზიან მრეწველობის პროდუქციის ღირებულების მატება გასულ წელთან შედარებით შეადგენს საშუალოდ 20 პროცენტს. მრეწველობის გაშლის ტემპი, მართალია, ჩამორჩება აღორძინებითი პერიოდის ტემპს, რაც გასაგებია: მრეწველობის განვითარება განვლილ პერიოდში ხდებოდა არსებულ ძირითად კაპიტალის გამოყენების ნიადაგზე და შემდგომი მისი განვითარება შესაძლებელია უმთავრესად ახალი კაპიტალური მშენებლობის გზით, მაგრამ ძველ ტეხნიკურ შესაძლებლობათა ამოწურვის და მეურნეობის გადახალისების პირობებში მრეწველობის ზრდის ასეთი ტემპი, როგორც 20 პროც., უდიდეს მიღწევად უნდა ჩაითვალოს. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ომიანობამდე, მეფის რუსეთში, მრეწველობის ყოველწლიური მატება ამაზე სამჯერ ნაკლები იყო, ხოლო რაც შეეხება კაპიტალისტურ ქვეყნებს, იქაც ზრდის ასეთ ტემპზე ოცნებას არ შეიძლება. რომ არ ვილაპარაკოთ იმაზე, რომ ბევრგან იქ განვითარების მაგივრად საგრძნობ დაქვეითებას ვხედავთ. ამაში ცხადად სჩანს მეურნეობის სოციალისტური ორგანიზაციის უპირატესობანი კაპიტალისტურ სისტემაზე.

ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისათვის მნიშვნელობა აქვს არა მარტო მრეწველობის საერთო ზრდას, არამედ პირველ ყოვლისა იმას, თუ მრეწველობის რომელი დარგი იზრდება უფრო სწრაფად და უფრო ფართე მასშტაბით, ე. ი. მძიმე ინდუსტრიის, მრეწველობის იმ დარგების განვითარება, რომელნიც ქმნიან წარმოების საშუალებებს, არის სახალხო მეურნეობის ინდუსტრიალიზაციის ძირითადი პირობა; მხოლოდ ამ შემთხვევაში შეუძლია ჩვენს მრეწველობას ითამაშოს მთელი სახალხო მეურნეობის, პირველ რიგში გლეხურ მეურნეობის მიმართ სოციალისტური გარდამქმნელის როლი. სამრეწველო გეგმა ამ მოთხოვნას აკმაყოფილებს. წარმოების საშუალებათა დამამზადებელ მრეწველობის ზრდა მნიშვნელოვნად ღემატება სამომხმარებლო საგნების მწარმოებელ დარგებს, პირველის გადიდება წარსულთან შედარებით გამოიხატება 28 პროც., ხოლო მეორესი—17 პროც.

რა თქმა უნდა, მრეწველობის ასეთი გაშლა მოითხოვს დიდძალ საშუალებებს კაპიტალურ მშენებლობაზე. ამ მშენებლობაზე უნდა იქნას დახარჯული 948 მილიონი მან. (ელექტროფიკაციის გარეშე, რომელზედაც გადადებულია 152 მილ. მან.), მაშინ, როცა წინანდელ სამეურნეო წელში დაიხარჯა 779 მილ., ხოლო 1924—25 წ.—385 მილ. 948 მილიონიდან 246,5 მილ. მოხმარდება წინად დაწყებულ სამუშაოთა დამთავრებას და დანარჩენი კი ახალ სამუშაოებს. 1926—27 წ. საფუძველი ჩაეყრება 374 ახალ საწარმოო დაწესებულებას, რომელთა ღირებულება ნავარაუდევია 1 მილიარდი 55 მილიონი მან.; ამასთან, მიმდინარე წელს დაიწყებს მუშაობას 80 ახალი წარმოწყება.

მრეწველობის გაფართოება და კაპიტალური მშენებლობა, ცხადია, გამოიწვევს დასაქმებულ მუშა-ხელის ზრდასაც. აქ უნდა აღინიშნოს, რომ შარშან მუშების მეტად დიდი რიცხვი იქნა დაბანდებული მრეწველობაში,—მათი მატება 1924—25 წელთან შედარებით 25 პროცენტს აღწევდა. ვინაიდან საჭირო შეიქნა პირვანდელი სამრეწველო პროგრამის შემცირება, მიღებულ მუშების რიცხვი საჭიროებაზე საგრძნობლად გადაჭარბებული აღმოჩნდა, რამაც თავისი გავლენა მოახდინა მრეწველობის თვითღირებულების გადიდებაზე. 1926—27 წლისათვის ამ საკითხისადმი უფრო ფრთხილად მიდგომას აქვს ადგილი, და მუშა-ხელის რიცხვი დიდდება შვიდი პროცენტით. გარდა ამისა, შარშან ხელფასის ზრდამ გაუსწრო შრომის ნაყოფიერების ზრდას. ეხლა საჭიროა ამ დისპროპორციის რამოდენიმედ მაინც გამოსწორება. სამრეწველო გეგმა ითვალისწინებს შრომის ნაყოფიერების გადიდებას 12,6 პროც., ხელფასის მომატებას კი 9,9 პროც.

მრეწველობის სამრეწველო გეგმაში, სხვათა შორის, ჩვენ გვინდა ერთ მომენტს მივაქციოთ ყურადღება. ესაა მოკავშირე რესპუბლიკების ინდუსტრიალიზაციის საკითხი. საბჭოთა ხელისუფლების ნაციონალური პოლიტიკა იმაში მდგომარეობს, რომ სავსებით უზრუნველჰყოფს მეფის რეჟიმის დროს ჩამორჩენილ ხალხების სწრაფი სამეურნეო აღორძინება, რაც მათი ნამდვილი თავისუფლების და დამოუკიდებლობის უტყუარი საწინდარია. საბჭოთა ხელისუფლებას იმ თავიდანვე აქეთკენ აქვს გეზი აღებული. ეს სჩანს იმ ფართე მშენებლობაში, რომელსაც ადგილი აქვს ჩვენში, საქართველოში, და აგრეთვე სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში. 1926—27 წლის სამრეწველო გეგმაშიც ჰპოვა გამოხატულება ამ პოლიტიკამ. კერძოთ ამიერკავკასიის მრეწველობის ზრდა ამ გეგმით 28% უფრო მეტია წინა წლისაზე. გარდა ამისა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ განზრახულია ბათომში ნავთის გამოსახდელ ქარხნის გახსნა, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ნავთის ექსპორტის გაძლიერებისათვის და ბათომის ეკონომიური გამოცოცხლებისათვის.

1926—27 წლის სამრეწველო გეგმა დიდი ნაბიჯია წინ გადადგმული საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაციის გზაზე. რა თქმა უნდა, ჩვენ მხედველობაში გვაქვს მისი განხორციელება ცხოვრებაში. არსებობს ყოველგვარი საფუძველი ვსთქვათ, რომ ეს გეგმა რეალურია. 1926—27 წ. პირველი კვარტალი, როცა მრეწველობის გაფართოება ჩქარი ტემპით მიმდინარეობდა, გვიჩვენებს, რომ ხსენებული პროგრამის მთელი ასი პროცენტით შესრულება შესაძლებელია. ოღონდ საჭიროა გეგმიანობის მტკიცედ დაცვა, შრომის დისციპლინის განმტკიცება, შრომის ნაყოფიერების გაზრდა, მომჭირნეობის რეჟიმის გატარება, წარმოების რაციონალიზაცია.

ამ გზით, სხვათა შორის, გადაჭრილი იქნება ჩვენი მრეწველობის ერთი მეტად მნიშვნელოვანი სადღეისო ამოცანათაგანი, სახელდობრ მისი პროდუქციის თვითღირებულების დაკლება. ეს თვითღირებულება ბოლო დროს რამდენიმედ გაიზარდა, რასაც შეუძლია შეაფერხოს მისი გასაღება, რომ არ ვილაპარაკოთ სხვა უარყოფით შედეგებზე, რომლებსაც მაღალი სამრეწველო ფასები იწვევენ. საკავშირო მთავრობამ დაადგინა—1926—27 წ. მრეწველობის პროდუქციის თვითღირებულება შემცირებულ იქნეს 5 პროც. ეს დირექტივა აუცილებლად უნდა გავატაროთ.

მაგრამ, ცხადია, ამას არ უნდა მოჰყვეს პროდუქციის თვისების გაუარესება. პირიქით, ჩვენს გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს ნაწარმოების ხარისხის გაუმჯობესება, ვინაიდან მომხმარებელი, რომელმაც დაიკმაყოფილა პირველი მოთხოვნილება ქალაქის ნაწარმოებზე, ეხლა საკმაოდ მაღალ მოთხოვნებს უყენებს მრეწველობას. ამასთან, რაკი მოსახლეობის მოთხოვნილება გაიზარდა მრავალფეროვანი შეიქნა, მრეწველობამ უნდა მიიღოს ეს მხედველობაში და საჭირო ასორტიმენტის საქონელი მიაწოდოს მომხმარებელს.

1926—27 წლის სამრეწველო გეგმაში და მის გამო საკავშირო მთავრობის მიერ მიღებულ დადგენილებაში ყველაფერი ეს გათვალისწინებულია. ამ გეგმის განხორციელება ნიშნავს დიდ გამარჯვებას საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაციის, სოციალისტური მშენებლობის და მოსახლეობის მოთხოვნილებათა უფრო მეტად დაკმაყოფილების დარგში.

ინგლისი განაგრძობს სამხედრო მზადებას ჩინეთის წინააღმდეგ

ნაციონალური მთავრობის დეკლარაცია ინგლისთან მოლაპარაკების შესახებ

მოლაპარაკების განახლების პირობად კანტონი აყენებს ინგლისელ ჯარების გაყვანას ჩინეთიდან

„მუშათა პარტია“ მაკდონალდის მეთაურობით მხარს უჭერს იმპერიალისტებს

მზადება ინტერვენციისათვის

სამხედრო მზადება

ლონდონი, 3 თებერვალი. თებერვალს მინისტრთა კაბინეტს ორი სხდომა ჰქონდა, რომლებზედაც ირჩეოდა ჩინეთის მდგომარეობა; სხდომების შემდეგ ხელმძღვანელ მინისტრებს განსაკუთრებული თათბირი ჰქონდათ გარეშე საქმეთა სამინისტროს შენობაში. კომპეტენტურ წყაროებიდან იტყობინებიან, რომ გადაწყდა არ იქნეს შეცვლილი პოლიტიკური კურსი ჩინეთში და გაგრძელდეს სამხედრო მზადება დასახული გეგმის მიხედვით.

ოფიციალურ წრეებში დაბეჯითებით აღნიშნავენ, რომ მოლაპარაკება ო,მალისა და ჩენს შორის არ შეწყვეტილა.

„დეილი ექსპრეს“-ის დიპლომატიური კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ თებერვალს დანიშნულ მთავრობის თათბირზე მოსალოდნელია შეცვლილ იქნეს შანხაიში გაგზავნილ სამხედრო ძალთა მარშრუტი იმ მიზნით, რომ ისინი გაგზავნონ ისეთ ადგილებში, საიდანაც უფრო ადვილი იქნება მათი გამოყენება საჭიროების დროს. (ადს).

ინგლისი თავისას განაგრძობს

ლონდონი, 3 თებერვალი. გუშინ ინგლისის მთავრობას თათბირი ჰქონდა ჩინეთში შექმნილი მდგომარეობის შესახებ. იტყობინებიან, რომ გადაწყდა არ იქნეს შეცვლილი პოლიტიკური ხაზი ჩინეთში და გაგრძელდეს სამხედრო სამზადისი.

„დეილი ექსპრეს“-ის ცნობით, ო,მალის ხანკოუში გაეგზავნა ახალი ინსტრუქციები. (ადს).

შეიარაღებული დისკუსიის წესით

რომი, 2 თებერვალი. ოფიციოზები „ტრიბუნა“ და „ჯორნალე დ, იტალია“ გამოვიდენ განცხადებით, რომ იტალიამ ინგლისთან ერთად აუცილებლად დაუყოვნებლივ უნდა მიიღოს აქტიური მონაწილეობა ჩინეთის შესაძლებელ ინტერვენციის მომზადებაში.

„ჯორნალე დ“იტალია“ სწერს: „იტალიის განსაკუთრებული ინტერესები ჩინეთში, უკარნახებენ იტალიას, რომ აუცილებლად ინგლისთან ერთად გამოვიდეს, თუ კი ეს საჭირო შეიქნება“.

„ტრიბუნა“ რედაქტორ აიანცატის მოწინავეებში აღნიშნავს, რომ შეუძლებელია ჩინეთში მყოფი უცხოელების ექსტერიტორიალობის გაუქმება, ვინაიდან ეს პრივილეგია არის „ეკონომიური ურთიერთობის შენარჩუნების აუცილებელი წინასწარი პირობა“.

აიანცატი აცხადებს: სახელმწიფოების პრივილეგიებზე უარის თქმით გზას გაუკაფავენ ჩინეთის სოციალიზმს და იძულებული შეიქნებიან დათმობაზე წავიდენ მსოფლიო მნიშვნელობის საკითხში. ინგლისის ჯარების გაგზავნა ჩინეთში უეჭველად საბუთიანია. ვინაიდან ჩინეთის მთელი საკითხი შეიძლება იქნას გადაწყვეტილი მხოლოდ შეიარაღებული დისკუსიის წესით, რომელშიც იტალიამ უნდა მიიღოს მონაწილეობა“. (ადს).

შეტაკება უ-პეი-ფუსა და ჩჟან-ძო-ლინის ჯარებს შორის

ლონდონი, 2 თებერვალი. „დეილი ტელეგრაფ“-ის ცნობით, ცზე-ჩჟოუში (ხე-ნანი) უ-პეი-ფუსა და ჩჟან-ძო-ლინის ჯარებს შორის მოხდა შეტაკება. შეტაკება მოხდა იმის შემდეგ, როცა უ-პეი-ფუს ჯარებმა არ გაატარეს მუკდენელები თავის ხაზზე. (ადს).

დიპლომატები თათბირობენ

პეკინი, 2 თებ. ჯერ კიდევ შეუმოწმებელ ცნობების თანახმად, ინგლისის ელჩმა ლემპსონმა პეკინის მთავრობას განუცხადა პროტესტი საზღვაო საბაჟოების ინსპექტორის ეგლენის დათხოვნის წინააღმდეგ. მოელიან ეგლენის ჩამოსვლას ხანკოუდან პეკინში. შესდგა პეკინის დიპლომატიურ კორპუსის საგანგებო სხდომა, რომელზედაც განხილულ იქნა ინგლისის ელჩის წინადადება ეგლენის დათხოვნის წინააღმდეგ საერთო პროტესტის წარდგენის შესახებ. დიპლომატიური კორპუსის გადაწყვეტილება ჯერ არ განიქვეყნებულა. (ადს).

ინგლისის ჯარი შანხაიში

ნიუ-იორკი, 3 თებერვალი. „ასოშიეიტედპრეს“-ის დეპეშათა სააგენტოს გადმოცემით ქალ. შანხაიში მუნიციპალურ საბჭოს არა ინგლისელი წევრები წინააღმდეგი არიან ინგლისელების ჯარის მოთავსებისა შენობებში, რომლებიც საერთაშორისო საკუთრებას წარმოადგენენ.

ჩინეთის სავაჭრო პალატა წინააღმდეგია ინგლისისჯარის მოთავსების ჩინელების შენობებში. (ადს).

პანიკა ლონდონის ბირჟაზე

ლონდონი, 3 თებერვალი. ლონდონის ბირჟაზე განწყობილება მეტად მოღუშულია, რაც აიხსნება ჩინეთის ამბების ღრმა გავლენით.

განსაკუთრებით დაიწიეს ჩინეთის და რკინაფოლადის მრეწველობის ფასიანმა ქაღალდებმა. (ადს).

რომის პაპის შიში

რომი, 2 თებერვალი. ჩინეთის ამბების გამო, რომში მყოფი ვატიკანის წარმომადგენელი ჩინეთში სასწრაფოდ გაემგზავრა შანხაიში. დასტურდება, რომ იერჩილთან საუბარში პაპა პიიმ გამოსთქვა შიში, რომ ინგლისის დათმობებმა ჩინეთისადმი შეიძლება დაარღვიოს კათოლიკური მისიონერების მოქმედების ბაზა. ვატიკანი საჭიროდ სცნობს, იმ მისიონერების ენერგიულად დაცვას, რომელნიც ჩინეთში იმყოფებიან.

პროვინციაში შანსში საზეიმო ცერემონიის შემდეგ გაემგზავრა მისიონერთ-ფრანცისკანელთა ახალი ჯგუფი. (ადს).

სესხი ჩჟან-ძო-ლინს

ლონდონი, 2 თებერვალი. კომუნისტური „უორკერს ლაიფ“ იტყობინება, რომ ინგლისის მიერ ჩჟან-ძო-ლინისათვის ახალი სესხის მიცემის შესახებ გავრცელებული ხმები გამართლდა. სესხი ჩჟან-ძო-ლინს მიეცა 5 მილ. გირ. სტერლინგის რაოდენობით. ამ თანხის ნაწილი უკვე გაეგზავნა ჩჟან-ძო-ლინს იმ მიზნით, რომ ის დაუყოვნებლივ მოემზადოს სამხრეთისაკენ გასალაშქრებლად. (ადს).

ინგლისის „ახალი“ წინადადებები

ინგლისის „ახალი“ წინადადებები

ლონდონი, 2 თებერვალი. რეიტერი იუწყება, რომ ინგლისის წინადადების ტექსტში, რომელიც 28 იანვარს გადაეცა ჩინეთის ხელისუფლებას პეკინში და ხანკოუში, არის შემდეგი პუნქტები:

ინგლისის მთავრობა აცხადებს, რომ იგი მზად არის იცნოს ჩინეთის ეხლანდელი სასამართლოების კომპეტენცია ინგლისელ მესარჩელეთა ან მოპასუხეთა საქმეთა გარჩევაში და თანახმა არის უარი განაცხადოს ასეთი საქმეების გარჩევის დროს ინგლისელ წარმომადგენელთა დასწრების უფლებაზე. ინგლისის მთავრობა მზად არის ინგლისის (საკონსულო) სასამართლოებში ჩინეთში გამოიყენოს ჩინეთის თანამედროვე სამოქალაქო და სავაჭრო კოდექსები, პროცესუალური და პიროვნების უფლებათა შესახებ კანონების გამონაკლისით. ინგლისის მთავრობა მზად არის ვალდებული გახადოს ჩინეთში მცხოვრები ინგლისელები გადაიხადონ ის გადასახადები, რომლებსაც ჩინეთის მოქალაქენი იხდიან ჩინეთის მთელ ტერიტორიაზე; იგი მზად არის განიხილოს ჩინეთის გადასინჯული სისხლის სამართლის კოდექსის გამოყენების საკითხი ჩინეთში არსებული საკონსულო სასამართლოებში, როგორც კი ეს კოდექსი შევა ძალაში ჩინეთის სასამართლოებში. ინგლისის მთავრობა მზად არის დასდოს შეთანხმება მუნიციპალური მმართველობის შეცვლის შესახებ ინგლისის კონცესიებზე, რომ ეს სისტემა შეუთანხმდეს სპეციალურ ჩინურ მმართველობას. რომელიც ეხლა არის შემოღებული უცხოეთის ყოფილ კონცესიებზე (მხედველობაში არის გერმანიის, ავსტრიის და რუსეთის კონცესიები ჩინეთში), ან ინგლისის კონცესიები მუნიციპალური მმართველობის მხრივ შეუერთონ უცხოეთის ყოფილ კონცესიებს, რომელნიც ეხლა ჩინეთის ხელისუფლების მმართველობაში იმყოფებიან, ან საპოლიციო კონტროლი ინგლისის კონცესიების ტერიტორიაზე გადაეცეს ჩინეთის ხელისუფლებას.

ინგლისის მთავრობა მზად არის განაცხადოს, რომ ინგლისელ მისიონერებს ამიერიდან აღარ შეეძლებათ პრეტენზიები განაცხადონ მიწების ყიდვის უფლებაზე ჩინეთის შინაგან ნაწილებში.

ო,მალიმ (ინგლისის მისიის მრჩეველი პეკინში, რომელიც ეხლა ხანკოუში იმყოფება) გადასცა რა ზემოხსენებული ევგენი ჩენს, შემდეგი შესავალი წარუმძღვარა:

„როცა მიღწეული იქნება დამაკმაყოფილებელი შეთანხმება ინგლისის კონცესიების შესახებ ხანკოუში და ცზი-ცზიანში, როცა ეროვნული მთავრობა მოგვცემს იმის გარანტიას, რომ იგი მხოლოდ მოლაპარაკებათა გზით შეიტანს ცვლილებებს ინგლისის კონცესიების და საერთაშორისო კვარტალების უფლებრივ მდგომარეობაში, მაშინ ინგლისის მთავრობა მზად იქნება დაუყოვნებლივ წავიდეს ნაწილობრივ დათმობებზე ჩინეთის ეროვნული პარტიის წინაშე. ინგლისის მთავრობა სცნობს, რომ ასეთი კეთილმოსურნე ნაბიჯი მისი მხრივ, არ შეიძლება გაგებულ იქნეს სხვაგვარად, თუ არ როგორც დამტკიცება იმ შემარიგებელი სულისკვეთების სერიოზულობისა და გულწრფელობისა, რომლითაც არის განმსჭვალული ინგლისის მთავრობა. (ადს).

კანტონის პოზიცია

ნაციონალური მთავრობის დეკლარაცია

პეკინი, 3 თებერვალი. ნაციონალური მთავრობის მიერ გამოქვეყნებულ დეკლარაციაში ნათქვამია:

„ინგლისის სამხედრო ძალების შეუჩერებელი კონცენტრაცია შანხაიში ნაციონალურ მთავრობას არ შეუძლია არ ახსნას, როგორც იძულების აქტი, მიმართული ჩინეთის ნაციონალური მოძრაობის წინააღმდეგ. ამ პირობებში ხელმოწერილი შეთანხმება იქნებოდა ძალდატანებითი და ის არ იქნებოდა რეალური და კანონიერი.

ნაციონალური მთავრობა იძულებულია მანამდე ხელი არ მოაწეროს ამ შეთანხმებას, სანამ არ დამთავრდება ეს ძალდატანების პერიოდი“.

რეიტერის სააგენტო ეხება ცნობის მოლაპარაკების შეწყვეტის შესახებ ევგენი ჩენსა და ო,მალის შორის. სააგენტო იტყობინება, რომ შეთანხმების საბოლოო ტექსტი მზად იყო 30 იანვარს და ელოდენ, რომ შეთანხმება ხელმოწერილი იქნებოდა იმავე დღეს. მაგრამ უკანასკნელ მომენტში ევგენი ჩენმა განაცხადა, რომ ნაციონალურ მთავრობას არ შეუძლია ხელი მოაწეროს შეთანხმებას, სანამ ჩინეთიდან მოყვანილი არ იქნებიან ინგლისის სამხედრო ძალებით. (ადს).

წინასწარი პირობა

პეკინი, 3 თებერვალი. ვინაიდან ინგლისელები კიდევ განაგრძობენ შანხაიში ჯარების გზავნას, მოლაპარაკება ნაციონალურ მთავრობასა და ინგლისის მთავრობის რწმუნებულ ო,მალის შორის შეწყდა.

ევგენი ჩენმა მოითხოვა ინგლისის ჯარების გაყვანა, როგორც მოლაპარაკების განახლების წინასწარი პირობა. (ადს).

ევგენი ჩენის პასუხი

ლონდონი, 3 თებერვალი. მუშათა პარტიის აღმასკომმა და პროფკავშირების გენერალურმა საბჭომ მიიღეს მათ მიმართვაზე პასუხი ევგენი ჩენისაგან:

— თუ შეიარაღებულ ძალთა მასიური თავმოყრა ჩინეთში — სწერს ევგენი ჩენი, არის ინგლისის მმართველი წრეების პსიქოლოგიის გამოხატულება, შეიძლება გამოვსთქვათ შიში, რომ ინგლისის ვაჭრობისა და მრეწველობის კრიზისი გაგრძელდება მანამ, სანამ ინგლისის მუშები არ იკისრებენ შესცვალონ კონსერვატორების სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობა, რომელიც აგებულია იმპერიალისტურ ზრახვებზე ახალ ხელმძღვანელობით, რომელიც აგებული იქნება მშვიდობიანობაზე. (ადს).

მოლაპარაკება დასრულდა

ნიუ-იორკი, 3 თებერვალი. „ასოშიეიტედ პრესს“ ცნობით, ევგენი ჩენმა განაცხადა, მოლაპარაკება ინგლისელების კონცესიის გამო ხანკოუში უკვე დასრულდა. საჭირო აარის მხოლოდ ხელის მოწერა შეთანხმებაზე. ხელისმოწერა კი მანამ არ მოხდება, სანამ ინგლისელები არ გაიყვანენ ჯარს შანხაიდან.

ბრძოლა იმპერიალიზმის წინააღმდეგ

პირველ შემთხვევისთანავე

ტოკიო, 2 თებერვალი. ტოკიოში მცხოვრებ ინდოელებს შორის გაბატონებულია ისეთი აზრი, რომ ინგლისს არ შეუძლია ინდოეთში ჩაატაროს მობილიზაცია ჯარების კვლავ გასაგზავნად ჩინეთში, ვინაიდან ინგლისის ჯარები პირველ შემთხვევისთანავე გადავლენ ჩინეთის ეროვნულ-რევოლიუციონური მოძრაობის მხარეზე. (ადს).

კუკის წერილი

ლონდონი, 3 თებერვალი. მუშათა პარტიის ორგანო „დეილი ჰერალდ“-ში გამოქვეყნებულია კუკის წერილი, რომელშიაც ავტორი აფრთხილებს ინგლისის მუშებს, რომ კონსერვატორები სცდილობენ განხეთქილება ჩამოაგდონ საბჭოთა კავშირთან.

სავსებით ცხადია, — სწერს კუკი—რომ ინგლისის მთავრობა, თუ ჩვენ მას ამის ნებას მივცემთ, შესწყვეტს რუსეთთან ყოველგვარ კავშირს, რუსის მუშების მიერ, ინგლისელ მემაღაროებისადმი გაწეული დახმარების გამო შურის საძიებლად.

მაგრამ ინგლისის მემაღაროები, მათი ცოლები და ბავშვები წინანდებურად სრული ნდობით მოეკიდებიან მათ, ვინც გაუწოდა დახმარების ხელი უძნელეს მომენტში. (ადს).

ინგლისის შიში

ლონდონი, 3 თებერვალი. ინგლისის ოფიციალურ წრეებში შიშს გამოსთქვამენ იმის გამო, რომ სულ უფრო და უფრო იზრდება თანაგრძნობა ჩინეთის ნაციონალურ - განმანთავისუფლებელი მოძრაობისადმი, აღმოსავლეთის ქვეყნებში.

განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევენ კანტონის მთავრობის ოსმალეთთან და ავღანისტანთან დაახლოების ნიშნებს.

ინგლისის ოფიციალურ წრეებში შიშს გამოსთქვამენ „ხმელთაშუა ზღვისა და წყნარი ოკეანის ანტი-ინგლისური ბლოკის შექმნის შესაძლებლობის გამო. (ადს).

ინდოეთის ჯარების გაგზავნის წინააღმდეგ

ლონდონი, 2 თებერვალი. ინგლისის კომუნისტურმა პარტიამ დეპეშა გაუგზავნა ინდოეთში მყოფ კომუნისტ დეპუტატს საკლატვალას და დაავალა გიული პროტესტი განაცხადოს ინდოე- ენერგიული პროტესტი განაცხადოს ინდოეთის ჯარების გაგზავნის წინააღმდეგ ჩინეთში. (ადს.)

სუნ-ჩუან-ფანის არმიის დამარცხება

ნიუ-იორკი, 3 თებერვალი. „იუნაიტედ პრესს“-ის გადმოცემით, ეროვნულმა არმიამ დიდი ზიანი მიაყენა და სასტიკად დაამარცხა სუნ-ჩუან-ფანის არმია, რომელიც იხევს ჩჟეძიანის მთელ ფრონტზე.

სუნ-ჩუან-ფანის არმია იხევს ხანჩჟოუს მიმართულებით. (ადს).

ინგლისის იმპერიალიზმის წინააღმდეგ

ლონდონი, 3 თებერვალი. მკითხველებისადმი მიმართვაში კომპარტიის ახალ ორგანოს „უორკერს ლაიფ“-ის რედაქცია აცხადებს, რომ გაზეთის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იქნება ბრძოლა ინგლისის იმპერიალიზმის წინააღმდეგ. (ადს).

მოითხოვენ ინგლისის ჯარების გაყვანას

ლონდონი, 3 თებერვალი. მანჩესტერის მუნიციპალიტეტმა მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც მოითხოვენ ინგლისის ჯარების გაყვანას ჩინეთიდან. რეზოლიუცია მიღებულ იქნა მუშათა პარტიის წევრ ხმოსნების ხმის უმრავლესობით.

მუნიციპალიტეტის კონსერვატორმა-წევრმა თავი შეიკავეს. (ადს).

მაკდონალდის მოღალატეობა

კომპარტიის ცეკას ცნობა

ლონდონი, 3 თებერვალი. ინგლისის კომპარტიის ცეკამ გამოაქვეყნა ცნობა მაკდონალდის როლის შესახებ ჩინეთის ამბებში. ცნობაში ნათქვამია:

— მაკდონალდმა მიიღო ყოველი ზომა, რომ ხელი შეეშალა მუშებისათვის ომის საშიშროებასთან ბრძოლაში.

თავიდანვე მაკდონალდი საფარათ ყავდა ინგლისის მთავრობას. მაკდონალდი ყოველთვის იხსენიებდა ჩინეთის მებრძოლ მუშებს და გლეხებს, როგორც „ბრბოს“.

ამიტომ მაკდონალდი ყოველთვის მოქმედებდა, როგორც ინგლისის მთავრობის ერთგული მოკავშირე.

კომუნისტური პარტია მოუწოდებს მუშათა პარტიას უარი სთქვას იმპერიალისტურ პოლიტიკაზე და აშკარათ გამოვიდეს მოთხოვნით ჩინეთიდან ინგლისის საზღვაო და ხმელეთის შეიარაღებულ ძალთა გასაყვანათ.

კომპარტია მოუწოდებს მუშებს დამოუკიდებლათ დაიწყონ აქტიური მუშაობა ომიანობის თავიდან ასაცილებლად პირდაპირი ზეგავლენისა და „ხელები შორს ჩინეთიდან“-ის კომიტეტის დაარსების გზით. (ადს).

ხიქსის გადადგომა

ლონდონი, 3 თებერვალი. პროფკავშირთა გენერალურ საბჭოს თავმჯდომარე ჯორჯ ხიქსი რომელსაც ეჭირა ჩინეთის თავისუფლების დამცველ „ინგლისის მუშათა საბჭოს“ თავმჯდომარის პოსტი, გავიდა უკანასკნელის შემადგენლობიდან.

მუშათა საბჭო ჩინეთის თავისუფლების დასაცავად დაარსებული იყო პროფკავშირთა ლონდონის საბჭოს მიერ; ამის გარშემო ენერგიულ პროპაგანდას აწარმოებდა ინგლისის კომპარტია შემდეგი ლოზუნგით: „ხელები შორს ჩინეთისაგან“. ამ საბჭოს დიდი ინტერესით შეხვდენ მუშათა მასები. საბჭოს განცხადებებმა დიდი უკმაყოფილება გამოიწვიეს მუშათა პარტიაში.

ხიქსის გადადგომა უსათუოდ გამოიწვია მუშათა პარტიის საპარლამენტო ფრაქციამ, რადგან უკანასკნელი ყოველთვის ილაშქრებდა იმის წინააღმდეგ, რომ მუშათა პარტიის წევრებს ჩინეთის მდგომარეობის შესახებ ისეთი რამე განეცხადებიათ, რაც პარტიის ოფიციალურ თვალსაზრისს ეწინააღმდეგება. (ადს).

უკანასკნელი ცნობები

სამი წლის ციხე

რომი, 2 თებერვ. გამოტანილ იქნა განაჩენი მეორე სხდომაზე, რომელიც განიხილა სახელმწიფოს დაცვის შესახებ კანონის საფუძველზე დაარსებულმა განსაკუთრებულმა ტრიბუნალმა.

მუშა რიჩჩის, რომელიც პასუხისგებაში იქნა მიცემული იმის გამო, რომ „აშკარად აქებდა“ ლიუჩეტის მუსოლინიზე თავდამსხმელს, წარსული წლის გაზაფხულზე, მიუსაჯეს სამი წლის ციხე (ადს).

ოლინის საქმე.

რიგა, 2 თებერვალი. „იაუნაკას ზინიას“ ცნობით, სამხედრო პროკურატურამ ვოლმარში მომხდარ ფაშისტურ აჯანყების მეთაურის ოლინის საქმე გადასცა სამხედრო სასამართლოს.

ოლინს ბრალდებად წაუყენეს არსებულ წესწყობილების დამხობის ცდა. (ადს)

ამხ. პიატაკოვის განთავისუფლება.

მოსკოვი, 3 თებერვალი. საკავშირო ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა პიატაკოვის საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობიდან განთავისუფლების გამო განთავისუფლებულ იქნეს ის აგრეთვე საფრანგეთთან მოლაპარაკების მწარმოებელ დელეგაციის წევრობიდანაც. (ადს).

ამხ. რაკოვსკი მოსკოვში.

მოსკოვი, 3 თებერვალი. მოსკოვში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი საფრანგეთში რაკოვსკი.

ვაჭრობის წარმომადგენელთა თათბირი

მოსკოვი, 3 თებერვალი. გაიხსნა სახელმწიფო სავაჭრო საპაიო ამხანაგობათა სამმართველოების წარმომადგენელთა საკავშირო თათბირი. პირველ სხდომაზე ირჩეოდა სახელმწიფო სავაჭრო ორგანოების და საიმპორტო საზოგადოებების ურთიერთობის საკითხი უცხოეთის ბაზარზე შეთანხმებულად გამოსვლის მიზნით.

კრემპტელის არჩევა

პარიზი 2 თებერვალი. საფრანგეთის სენატის საფინანსო კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა კრემპტელი — სენატის დემოკრატიული მემარცხენე ნაწილის წევრი (ადს).

საბჭოთა შაქრის ექსპორტი

ოდესა, 3 თებერვალი. შაქრის ტრესტის საექსპორტო კამპანიის დაწყების შემდეგ საზღვარ-გარეთ გატანილია 36.000 ტონა შაქარი, უმთავრესად საფრანგეთში, ეგვიპტეში და ინდოეთში. საბჭოთა შაქრის რეალიზაციის რაიონი ფართოვდება. ბომბეის, კალკუტის, ალექსანდრიის და მარსელის გარდა შაქარი გადის ახლო აღმოსავლეთის ყველა ნავთსადგურებში და იტალიაში. მთელი გატანილი შაქარი ხელსაყრელად იქნა გასაღებული.

დახმარება უმუშევრებს.

მოსკოვი, 3 თებერვალი. შრომის საკავშირო სახალხო კომისარიატის ცნობით, უმუშევართათვის შრომითი დახმარების აღმოსაჩენად წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გაღებულ იქნება 8.100.000 მანეთი, დაზღვევის ცენტრალური სამმართველოს მიერ—5 მილ. მანეთი, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტიდან გადადებული იქნება 4.800.000 მანეთი.

ზაფხულის განმავლობაში საზოგადოებრივ სამუშაოებზე გაიგზავნება 75.000 უმუშევარი.

კომუნისტების სიკვდილით დასჯა

კოვნო, 3 თებერვალი. 2 თებერვალს პონევეჟის საველე სამხედრო სასამართლომ სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა შემდეგ კომუნისტებს: სტრუცას, კაზაკევიჩოსს და ალეკნოს.

კომუნისტ ტურლას მიუსაჯეს 13 წლის კატორღა. (ადს).

მასიური გაქცევა ციხიდან.

პარიზი, 2 თებერვალი. „ინდო-პასიფიკ“-ის სააგენტოს ცნობით, ლაიჩაოს (ინდო-ჩინეთი) ციხის პატიმრები გაიქცენ ციხიდან.

68 გაქცეულიდან დადევნების დროს მოკლულ იქნა 11 კაცი, დააპატიმრეს—5. (ადს).

ლექციების აკრძალვა.

პრაღა, 2 თებერვალი. ცენზურამ აკრძალა ზოგიერთი ლექციები, რომელნიც დანიშნული იყო რადიოთი გადასაცემათ პრაღის ორგანიზაციის „მუშათა რადიო“-ს მიერ.

აკრძალულია ლექციები: „რა ვნახე საბჭოთა კავშირში“,—პროფესორ მატეზიუსის, „მუშათა მოძრაობა“, „ახალი ლიტერატურის სოციალური მოტივები“. (ადს).

ანტი-საბჭოთა კამპანია გრძელდება

„დამნაშავე“ იპოვეს

ლონდონი, 2 თებერვალი. ინგლისში ძლიერდება კონსერვატიული პრესის ანტი საბჭოთა კამპანია. კონსერვატიული გაზეთები ათავსებენ ურკვარტის ცირკულიარულ წერილს „რუსეთ-აზიის საზოგადოების“ აქციონერებისადმი. ურკვარტი მოითხოვს დიპლომატიური ურთი-ერთობის შეწყვეტას საბჭოთა კავშირთან.

„ჩინეთის ტრაგედია—სწერს გაზეთი—ინგლისს თავს დაატეხა საბჭოთა რუსეთმა. ჩვენს მთავრობას შეუძლია საშინელი ლახვარი ჩასცეს საბჭოთა მაქინაციებს და პრესტიჟს, თუ ის იმოქმედებს საკმაოდ გაბედულათ, რომ წაართვას ჩვენს უბოროტეს მტრებს დიპლომატიური პრივილეგიები“. (ადს)

ურკვარტი დორბლს ყრის

პარიზი, 2 თებერ. საფინანსო-ეკონომიური სააგენტო აქვეყნებს ურკვარტის განცხადებას, რომელიც საფრანგეთს მიუთითებს „საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკების პროვოკაციულ ხასიათზე ინგლისის მიმართ“.

— ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებამ—სწერს ურკვარტი—ხელი შეუწყო ანტი-ბრიტანულ პროპაგანდის გაძლიერებას. საგარეო ვაჭრობის მონოპოლია ხელს უშლის სავაჭრო ურთი-ერთობის განვითარებას ინგლისსა და რუსეთს შორის. საბჭოთა მთავრობის ცნობა იყო სანქციის მიცემა რუსეთში ინგლისის ქონების კონფისკაციაზე. ყველა ამის შედეგებია ინგლისის კონცესიების ეხლანდელი კონფისკაცია ჩინეთში, რასაც მოჰყვება ანალოგიური ამბები სპარსეთში. საბჭოთა მთავრობის ცნობა ასუსტებს იმ სახელმწიფოს, რომელიც მას იცნობს და აძლიერებს საბჭოთა ექსტრემისტებს. საბჭოთა კავშირის გონს მოსაყვანად საუკეთესო საშუალებაა დიპლომატიური ურთიერთობის შეწყვეტა მასთან. (ადს).

შუბლმაგართა ძველი სიმღერა

ლონდონი, 2 თებერვალი. ინგლისის გაზეთებში გამოქვეყნებულია რუსეთის ბრიტანელ კრედიტორთა ასოციაციის თავმჯდომარის ტვიდის წერილი. ტვიდი აღნიშნავს, რომ ჩინეთში შესაძლოა „საბჭოთა მაგალითის“ განმეორება, კერძოთ. შესაძლოა მოხდეს უცხოელთა ქონების კონფისკაცია. ტვიდი მოითხოვს მოხდენილ იქნეს გავლენა ინგლისის მთავრობაზე, რათა მან აიძულოს საბჭოთა მთავრობა „შეასრულოს სავაჭრო ხელშეკრულება ინგლისთან და აუნაზღაუროს ინგლისელებს ნატურით ან ფულით კონფისკაციის წესით ჩამორთმეული ქონება“. (ადს).

ურკვარტის წერილის გამოძახილი

ლონდონი, 3 თებერვალი. ინგლისის პრესა კვლავ ვრცლად ეხება ურკვარტის გუშინდელ ცირკულიარულ წერილს.

„არის მხოლოდ ერთი საშუალება რუსეთთან ჩვენი ურთიერთობის გასაუმჯობესებლად—ეს არის მისი სავსებით შეწყვეტა“—სწერს რეაქციონური „მორნინგ-პოსტი“.

ლიბერალური „დეილი ნიუზ“ აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირი მიდის სწრაფი აღორძინების გზით და ინგლისს არ შეუძლია დაჰკარგოს საბჭოთა კავშირთან ვაჭრობის შესაძლებლობა.

კონსერვატიული „დეილი მეილ“ სწერს: „ინგლისის კომიტეტის თვალსაზრისით იცვლება და ეხლა უფრო მეტად, ვინემ ოდესმე, უეჭველი ხდება, რომ საბჭოთა პრივილეგიების დღეები ინგლისში დათვლილია“. (ადს).

კომუნისტური გავლენის ზრდა

ბერლინი, 3 თებერვალი. ზოგიერთ პროფკავშირებში მომხდარ არჩევნებში ოპოზიციას კვლავ ხვდა წილათ ახალი გამარჯვებები.

კენისბერგის სახელმწიფო და კომუნალურ დაწესებულებათა მოსამსახურეებმა კავშირის ადგილობრივ მმართველობებში ხმის დიდი უმრავლესობით გაიყვანეს 10 კომუნისტი და 3 უპარტიო.

პლაუენში დურგლების საერთო კრებაზე არჩეულ იქნა კავშირის ახალი გამგეობა 5 კომუნისტისა და 1 უპარტიოსაგან. გასულ წელს იყო 2 კომუნისტი, 2 სოც.-დემოკრატი და 2 უპარტიო.

მელითონეთა კავშირის კრებაზე ქალ. მელკინგენში ერთხმად იქნა მიღებული ოპოზიციის მიერ წარდგენილი სია. კავშირის გამგეობაში გავიდა 8 კომუნისტი და 2 სოც-დემოკრატი. (ადს).

საპროტესტო გაფიცვა

ვენა, 2 თებერვალი. უნგრეთში გაქცეული ავსტრიელი ფაშისტების ნაწილი, რომელნიც მონაწილეობას იღებდენ მუშების მოკვლაში შატენდორფში, დაბრუნდენ უნგრეთიდან. ყველა დაბრუნებული ფაშისტები დაპატიმრებული არიან და გამოტყდენ მუშების მკვლელობაში.

2 თებერვალს დილით ავსტრიაში ჩატარებულ იქნა 15 წუთის საყოველთაო საპროტესტო გაფიცვა მუშების მოკვლის წინააღმდეგ შატენდორფში. გაფიცვის მომენტი შეფარდებული იყო დახოცილი მუშების დაკრძალვის მომენტთან. (ადს).

საბჭოთა გადარჩევა და ჩვენი ამოცანები

(„პრავდა“-ს მოწინავე წერილი)

საბჭოების გადარჩევა გაცხოველებით მიმდინარეობს. მთელმა პარტიამ განსაკუთრებული ყურადღებით უნდა ადევნოს თვალი არჩევნებს და უდიდესი აქტიური მონაწილეობა მიიღოს ამ მეტად მნიშვნელოვან პოლიტიკურ კამპანიაში.

ეხლა კამპანია გაცხოველებულია. იგი ჩვენს თვალწინ ფართოვდება. თუმცა არჩევნების ჯამობრივი შედეგები არა გვაქვს, მაგრამ ჩვენ ეხლავე საკმაო სიცხადით ვხედავთ ჩვენი მუშაობის მთელ რიგ ნაკლს და შეცდომებს ამ დარგში. ეს ნაკლი და შეცდომები ჩვენ ერთხელ კიდევ გვაიძულებენ მოვიგონოთ ჩვენი პოლიტიკური ხაზი საბჭოების გადარჩევის საკითხში და ყოველთვის, ყოველ წამში გვახსოვდეს და მხედველობაში გვქონდეს შემდეგი მომენტები.

უპირველეს ყოვლისა, ჩვენ ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოვუღოთ ბოლო არჩევნების მნიშვნელობის სათანადოთ შეუფასებლობას. ჯერ კიდევ გვიან არაა, ჯერ კიდევ შეიძლება საქმის გამოსწორება, ჩვენ უნდა ვსძლიოთ ყოველგვარი გულგრილობა საბჭოების არჩევნებისადმი. საბჭოების გადარჩევა-პირველხარისხოვანი პოლიტიკური ამოცანაა. ცუდი ჩვეულებაა „საგებიოდ“ მოქმედება და ფიქრი, რომ ჩვენი „პლანიდა“ სულერთია „გაგვიყვანს“, სულ ერთია, არჩევნების შედეგი მაინც კარგი იქნება. აქედან—არჩევნების ამოცანების „სხვათა შორის“ გადაწყვეტის ჩვეულება გადაჭრით უნდა იქნას აღმოფხვრილი ჩვენი პრაქტიკიდან. ყოველი „ეგებისობა“ ჩვენ მხოლოდ ვნებას მოგვაყენებს.

რასაკვირველია, მასები ჩვენი მომხრეა, 9 წლის განმავლობაში დაგროვილი მშრომელთა ნდობა საბჭოთა ხელისუფლებისადმი, უდიდესია და ჩვენი პარტია სარგებლობს განსაკუთრებული ავტორიტეტით. მაგრამ მით უფრო დაუშვებელია ჩვენი პოლიტიკური კაპიტალის დაშლა, მით უფრო საზიანოა ყოველგვარი გულგრილობა და პასიობა, მით უფრო მიუტევებელია ჩვენთვის, რომ „ხელიდან გაუშვათ“ ყოველგვარი, თუნდ სრულიად უმნიშვნელო შესაძლებლობა იმისა, რომ არჩევნები გამოვიყენოთ მასებთან კავშირის კიდევ უფრო განმტკიცებისათვის, ამ მასების კიდევ უფრო მეტად მიზიდვისათვის სოციალისტურ აღმშენებლობისა და ჩვენი სოციალისტური ამოცანებისაკენ. ჩვენი კავშირის მასები და ყველა კლასები „გამოცოცხლდენ“ და პოლიტიკურად გაიზარდენ ჩვენი სამეურნეო ზრდის ნიადაგზე. ჩვენთვის აბსოლუტურად სავალდებულოა, რომ მშრომელთა მასების პოლიტიკური ზრდა გამოვიყენოთ პროლეტარული დიქტატურის ინტერესებისა და სოციალიზმის აღმშენებლობისათვის და პირიქით. აბსოლიუტურად დაუშვებელია, რომ მშრომელთა ელემენტების პოლიტიკური აქტიობა მიიმართებოდეს სხვისი კალაპოტით, რომ ნეპმანმა, კულაკმა და საზღვარგარეთის საყვირებმა „მილიუკოვსკი ნოვოსტი“-მ და „სოციალისტიჩესკი ვესტნიკ“-მა (მეჭორემ, თუ გინდ ოდნავ მაინც ისარგებლოს მასების პოლიტიკური აქტიობით.

საბჭოების გადარჩევა წარმოადგენს აგრეთვე კლასიურ ბრძოლას, რომლის მოწმენიც ჩვენ ვართ, თუმცა ეს ბრძოლა განსაკუთრებულ ფორმებში სწარმოებს. საარჩევნო კამპანიის პირველმა ეტაპებმა უკვე გვიჩვენეს, რომ ჩვენდამი მტრულად და ნახევრად-მტრულად განწყობილ სოციალურ ჯგუფებს არ სძინავთ. იქ, სადაც მათ შეუძლიათ, კულაკი და ნეპმანი პირდაპირ ამოდის ზედაპირზე. სხვა ადგილებში ისინი მოქმედებენ მალულად, სხვადასხვა ხერხების საშუალებით. „ჩვენი“ ნეპმანი, ჩვენ მიღწევათა გამო არის უკან დახევის გზაზე შემდგარი ნეპმანი, მაგრამ ეს არ უშლის ხელს, რომ ჩვენთან აწარმოოს კლასიური ბრძოლა და გაგვიმართოს ჩვენ, ასე ვთქვათ, „საარიეგარდო“ ბრძოლები. ბურჟუაზიული ზედაფენა სოფლად კულაკებიც ჩვენს წინააღმდეგ მოქმედებენ, როგორც გვიჩვენებენ წინასწარი ცნობები გადარჩევის შესახებ. იგი უფრო მეტ აქტივობას იჩენს, ვიდრე ნეპმანი, რამდენადაც პროლეტარული დიქტატურის მარწუხი ქალაქში უფრო მკვარია, ვიდრე სოფლად. ნეპმანურ-კულაკური ჯგუფების ნაწილობრივი პოლიტიკური ზრდა თავს იჩენს სათანადო სულისკვეთებაში და სათანადო „იდეოლოგიურ“ ელფერში: ანტი-საბჭოთა სულის-კვეთებაში, შოვინიზმში, ნაციონალიზმში და ანტისემიტიზმში, რომელიც აქ-იქ არსებობს. პოლიტიკური ბეცობა იქნებოდა, რომ ყოველივე ეს არ გაგვეთვალისწინებია საარჩევნო კამპანიის დროს.

ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ საბჭოების გადარჩევა პოლიტიკური გამოცდაა ჩვენი პოლიტიკისათვის სოფლად. ჩვენი ხაზი,—ღარიბ გლეხობაზე დაყრდნობით და მტკიცე კავშირის დაჭერით საშუალო შეძლების გლეხობასთან სძლევს კულაკს. იყენებს რა მთელ რიგ დაბრკოლებებს ეხლანდელ პირობებში, და უპირველეს ყოვლისა, დაბრკოლებებს ფასების დარგში, კულაკი სცდილობს, რომ აქა-იქ გაიყოლიოს სოფლის ყველა ფენები. საშუალო შეძლებისა და ღარიბი გლეხის ბლოკის განმტკიცებით ჩვენ დამბლა უნდა დავსცეთ კულაკის აქტიობას.

საარჩევნო მუშაობაში არ შეიძლება დავუშვათ რაიმე გადახვევა ჩვენი სასოფლო პოლიტიკის საფუძვლებიდან. კულაკი არ შეიძლება დავუშვათ საბჭოში. მაგრამ უაზრობა იქნებოდა, რომ საშუალო შეძლების გლეხების მასის აქტიობის ზრდის შეგვშინებოდა. გულუბრყვილობაა ჩვენს დამსახურებად ჩავსთვალოთ და ვიამაყოთ, იმით, რომ ამა თუ იმ რაიონში სასოფლო საბჭოში 70—80 პროცენტი ღარიბი გლეხების გაყვანა და საშუალო შეძლების გლეხები გავრიყოთ. საბჭოთა სოფლის ცენტრალური ფიგურა არ შეიძლება უყურადღებოდ დავსტოვოთ არჩევნების დროს.

პროლეტარიატს კავშირი აქვს გლეხობასთან, მაგრამ იგი ამასთანავე ხელმძღვანელობს მას. აი, რატომ განსაკუთრებით უნდა ვიზრუნოთ ჩვენ იმაზე, რომ ქალაქის აქტიობა არა მარტო არ ჩამორჩეს სოფლის აქტიობას, არამედ გაუსწროს მას. პროლეტარიატის აქტიობა ქალაქში მაქსიმალურად უნდა გაიზარდოს. მაქსიმალური ყურადღება უნდა მიექცეს არჩევნებს ჩვენი კავშირის მუშათა ცენტრებში. გასაგებია ის პასუხისმგებლობა, რომელიც ამის გამო ეკისრება პროფესიონალურ კავშირებს.

გადარჩევა ამჟამად ცენტრალური პოლიტიკური ამოცანაა. ამიტომ ჩვენი პოლიტიკური ყურადღება ჩვენი ქვეყნის შიგნით უპირველეს ყოვლისა და უმეტეს წილად ეხლა უნდა მიექცეს საარჩევნო კამპანიას. ყველა საზოგადოებრივი პროლეტარული და საბჭოთა ორგანიზაციების ენერგიული, ერთსულოვანი და შეთანხმებული მუშაობა კომუნისტურ პარტიის მტკიცე და ფხიზელი ხელმძღვანელობით—არჩევნების წარმატებით დამთავრების საფუძველი და საწინდარია.

მოსკოვი, 3 თებერვალი.

„მათრახის და ტკბილი ენის პოლიტიკა“

(„იზვესტია“-ს მოწინავე წერილი)

მოსკოვი, 3 თებ. „იზვესტია“ მოწინავეში სათაურით „მათრახისა და ტკბილი ენის პოლიტიკა“ სწერს:

„ჩემბერლენის სიტყვა ინგლისის პოლიტიკის შესახებ ჩინეთში წარმოადგენს მეტად საინტერესო დოკუმენტს, რომელიც გამოხატავს საქმის ნამდვილ მდგომარეობას. მთელი პროგრამა მთლიანად მეტად სიმპტომატიური მაჩვენებელია ჩინეთის ეროვნულ-განმანთავისუფლებელი ბრძოლის ძალისა და ძლიერებისა. არას დროს ინგლისის საგარეო საქმეთა არც ერთ მინისტრს არ ულაპარაკნია ჩინეთთან ისეთი ენით, არ ჩამოუყალიბებია ისეთი პროგრამა როგორც ჩემბერლენს. თითქოს ჩემბერლენს სურს წინ გაუსწროს ამერიკას, იგი თავის წინადადებას უფრო რადიკალურ ფორმებში აყალიბებს, ვიდრე შეერთებული შტატების მთავრობა. ასეთია ჩემბერლენის პოლიტიკის ერთი ნაწილი. მაგრამ ამასთან ერთად არ სწყდება იმავე პოლიტიკის მეორე ნახევრის განვითარება.

გრძელდება ჯარების, გემების და ჰაეროპლანების გზავნა შანხაიში. ჯარების ამ თავმოყრამ ფორმალური პროტესტიც კი გამოიწვია პეკინის მთავრობის მხრივ, რომელმაც სპეციალური ნოტა გადასცა ინგლისის ელჩს. ინგლისის ცდა,—შეექმნა სახელმწიფოთა ერთიანი ფრონტი ჩინეთში—ამჟამად დამარცხებულად უნდა ჩაითვალოს.

ჯარების გაგზავნას ჩინეთში, ინგლისის მთავრობის აზრით, გავლენა უნდა მოეხდინა ნაციონალურ მთავრობაზე იმ მხრივ, რომ იგი დათანხმებულიყო ჩემბერლენის მიერ წაყენებულ შეთანხმებაზე. მისი აზრით მათრახისა და ტკბილი ენის პოლიტიკას უნდა გამოეღო სასურველი შედეგები.

ამ პოლიტიკაში ჩემბერლენმა იპოვა ახალი მომხრე მაკდონალდის სახით, რომელმაც განაცხადა, რომ „ოპოზიცია გულწრფელად მზად არის ყოველმხრივ ხელი შეუწყოს საგარეო საქმეთა მინისტრს მისი პოლიტიკური ხაზის გატარებაში“.

ჩვენ კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ ჩემბერლენის საპროგრამო სიტყვა მოწმობს ჩინეთის ნაციონალური მოძრაობის ძალასა და ძლიერებას, რომელმაც ასეთი ენით აალაპარაკა ინგლისის იმპერიალიზმი. მით უმეტეს გამარჯვების ნაკლები შანსები აქვს ამ პროგრამისთვის ხიშტების, ზარბაზნების და ჰაეროპლანების დამატების მეთოდს.

სამუდამოთ განვლო ის დრომ, როდესაც ინგლისი მათრახის საშუალებით ღებულობდა რაიმე პრივილეგიებს ჩინეთში. ამას თვით ჩემბერლენის სიტყვაც მოწმობს. ასევე დამარცხდება მათრახისა და ტკბილი ენის პოლიტიკა ამ პრივილეგიების ნაშთების დაცვის საქმეშიაც“. (ადს).

„უორკერს ლაიფ“

ლონდონი, 2 თებერვალი. გამოვიდა ახალი კომუნისტური გაზეთის „უორკერს ლაიფ“-ის („მუშის ცხოვრება“) პირველი ნომერი დახურულ ყოველკვირეულ გაზეთის „უორკერს უიკლი“-ის მაგიერ. უკანასკნელი დახურულ იქნა შემდეგი მიზეზის გამო: მემაღაროეთა გაფიცვასთან დაკავშირებით აღძრული იყო საქმე აღნიშნულ გაზეთის წინააღმდეგ და ის დაჯარიმებულ იქნა 1100 გირ. სტერლინგით. ჯარიმა გაზეთმა ვერ გადაიხადა.

„უორკერს ლაიფ“-ის პირველი ნომერი პირველ გვერდს სავსებით ჩინეთის ამბებს უძღვნის.

პოლონეთი უკმაყოფილოა

ვარშავა, 3 თებერვალი. პოლონეთის პრესა უკმაყოფილოა იმ შეთანხმებით, რომელიც მოხდა ელჩთა კონფერენციისა და გერმანიის მთავრობას შორის გერმანიის აღმოსავლეთ საზღვრების სიმაგრეების შესახებ.

ნაციონალ-დემოკრატების ორგანო „პორანა-ვარშავსკა“ ფიქრობს, რომ კენისბერგის სიმაგრეს განსაკუთრებული სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს ბერლინისა და მოსკოვისათვის.

2 თებერვალს შესდგა ნაციონალ-სახალხო კავშირის ვარშავის ორგანიზაციის კონფერენცია რომელიც თავის რეზოლიუციაში გერმანიის საფრთხის შესახებ აცხადებს, რომ პოლონეთისათვის პომოროუს და სილეზიის წართმევის ცდა ომს გამოიწვევსო. (ადს).

რთველოს
ოვნული

უზუნოვიჩის პირველი მარცხი

პრემიერი იმუქრება

ვენა, 2 თებერვალი. რადიკალურ პარტიის ჯგუფმა უარი განაცხადა უზუნოვიჩის მთავრობაში შესვლაზე. ამიტომ უზუნოვიჩს სკუპშჩინაში ჰყავს უმრავლესობა მხოლოდ ორი ხმით. ახალი მთავრობის სისუსტის პირველ ნიშნებათ უნდა ჩაითვალოს ის, რომ ორმა მინისტრმა—ტრიფუნოვიჩმა და ვუჟიჩმა (რადიკალები), რომლებიც უკმაყოფილონი იყვნენ პორთფელების განაწილებით, უარი განაცხადეს ფიცის მიღებაზე. უზუნოვიჩმა პრესაში გამოაქვეყნა განცხადება, რომელიც ფაშისტური ტონით არის შედგენილი.

„სამხრეთ სლავია—სწერს უზუნოვიჩი—ამაყობს პარლამენტარიზმით. მაგრამ თუ პარლამენტი მომავალშიაც ისეთ შედეგებს მოგვცემს, როგორც აქამდის, ჩვენ იძულებული ვიქნებით უარი ვსთქვათ მასზე". (ადს).

პროფმოძრაობის მთლიანობისათვის

სტოკჰოლმი, 2 თებერვალი. დამთავრდა იმ მუშათა ორგანიზაციების 400 დელეგატის ყრილობა, რომელმაც უარი სთქვეს ტრანმელისტების და სოციალ-დემოკრატების გამაერთიანებელ კონგრესის საორგანიზაციო კომიტეტის დირექტივების შესრულებაზე.

ყრილობამ დაადგინა დაარსებულ იქნეს ნორვეგია-რუსეთ-ფინეთის პროფმოძრაობის მთლიანობის კომიტეტი. ცენტრალურ კომიტეტში, რომელიც დაარსა მთლიანობის ახალ მუშათა პარტიის ყრილობამ, არჩეულია 9 კაცი. ცეკას თავმჯდომარედ არჩეულია **ვოლინი**, მის მოადგილედ—**სტანგი**.

ყრილობა დაიხურა საკავშირო ცენტრალურ პროფსაბჭოს წარმომადგენელ იაგლომის გამოსვლის შემდეგ (ადს).

ფაშისტურ ლიტვაში

„უდიდესი შეურაცხყოფა" არმიისათვის

კოვნო, 2 თებერვალი. „ხალხოსნები,—სწერს ნაციონალისტების ორგანო „ლეტუვა", — მოითხოვენ, რომ სეიმში იქნას წაკითხული ახალი მთავრობის დეკლარაცია. ვოლდემარასის მთავრობამ მიიღო თავისი რწმუნებანი არმიისაგან, და არა სეიმისაგან და ამიტომ არმიისათვის უდიდესი შეურაცხყოფა იქნება, თუ მთავრობა დაუშვებს, რომ სეიმი კვლავ გახდეს ჩვენი ქვეყნის ბატონ-პატრონი.

იმის ნდობის ძიება, ვისაც იგი არ აქვს, არაა გონიერი პოლიტიკა. მთავრობა არ სთვლის საჭიროდ პარლამენტარული გზით გამოხატული ნდობა ექნეს. ხალხოსნებმა ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა ისწავლონ და შეიძლება მაშინ აიღონ ხელი თავიანთ არქაულ შეხედულებებზე დემოკრატიის საკითხში". (ადს).

სასკანდალო ინციდენტი

პარიზი, 2 თებერვალი. პროკურორმა, რომელმაც მიიღო სადულის სააპელაციო საჩივარი მისი ვექილთა შემადგენლობიდან გამორიცხვის შესახებ, ამაზე ხელსაყრელი დასკვნა მისცა.

მაგრამ ადვოკატური საბჭოს, რეაქციონურ ელემენტების მოთხოვნილებით, რომელნიც გადადგომით იმუქრებოდენ, იუსტიციის მინისტრმა აპელაციის განხილვა გადასცა სხვა პროკურორს, რომლიდანაც პირველი დასკვნის საწინააღმდეგო დასკვნის გამოტანა მოითხოვა.

ამ სასკანდალო ინცინდენტმა დიდი შთაბეჭდილება მოხდინა ადვოკატურის ბურჟუაზიულ წრეებზედაც კი. ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა ლიგამ პროტესტი განაცხადა. (სადული ადვოკატების რიცხვიდან გამორიცხულ იქნა ფაშისტი - ვექილის ცემისათვის, რომელმაც პროვოკაციის მიზნით გაარტყა. მას).

ტერორი რუმინეთში

პოლიტიკურ პატიმართა დაჭრა

ვენა, 2 თებერვალი. რუმინელ კომუნისტებს კაგანეს და ფონაგის გერმშტადში გადაყვანის დროს, სადაც მათი საქმე უნდა გარჩეულიყო სააპელაციო სასამართლოში, გამყოლმა დარაჯებმა დაუწყეს სროლა იმ საბაბით, რომ თითქოს „ისინი გაქცევას სცდილობდნენ". ფონაგი უვნებლად გადარჩა. კაგანე დაჭრილია რამდენიმე ტყვიით ფეხებში. საჭირო გახდა ერთი ფეხის მოჭრა. კაგანეს სიცოცხლე საფრთხეშია.

რუმინეთის კომპარტიის უნგრულ ორგანოს ყოფილ რედაქტორს კაგანეს და მხატვარ ფონაგის 1926 წლის ნოემბერში კლაუზენბურგის სასამართლომ მიუსაჯა 5 წლის ციხე. კაგანეს და ფონაგის ბრალდებოდათ მონაწილეობა არალეგალურ კომუნისტურ მოძრაობაში, ბოროტმოქმედებები სახელმწიფოს წინააღმდეგ და დარღვევა კანონისა კერძო საკითხების შესახებ. კაგანე და ფონაგი დაპატიმრებული იყვნენ 1926 წლის მარტიდან. (ადს).

რუმინეთის უნიტარულ პროფკავშირების კონგრესი

ვენა, 2 თებერვალი. რუმინეთის უნიტარულ პროფკავშირთა კონგრესი, რომელიც მრავალჯერ იქნა აკრძალული, საბოლოოდ დანიშნულია 20 თებერვლისათვის კლაუზენბურგში. უნიტარულ პროფორგანიზაციებში გაძლიერდა მოძრაობა კონგრესზე ამსტერდამის ინტერნაციონალთან შეერთების საკითხის გარჩევის წინააღმდეგ. ამ მოძრაობის მომხრეების აზრით საკითხი იმის შესახებ, თუ რომელ საერთაშორისო ორგანიზაციაში უნდა შედიოდენ რუმინეთის პროფკავშირები, გადაწყვეტილ უნდა იქნეს რეფორმისტულ და უნიტარულ პროფკავშირების გაერთიანებულ კონგრესზე.

რეფორმისტები ამტკიცებენ, რომ რუმინეთის უნიტარული პროფკავშირები პროფინტერნის სექციას წარმოადგენენ. ამაზედ უნიტარული პროფკავშირები უპასუხებენ, რომ ისინი არ შედიან არც პროფინტერნში, არც ამსტერდამის ინტერნაციონალში, მაგრამ ცდილობენ პროფმოძრაობის მთლიანობის განხორციელებას ინგლის-რუსეთის კომიტეტის მაგალითის მიხედვით. (ადს).

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

მადლობა „ვოლხოვსტროის" მშენებლებს

მოსკოვი, 3 თებერვალი. საკავშირო სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ამხ. კუიბიშევის მიერ ხელმოწერილ ბრძანებაში ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმის სახელით მადლობა გამოუცხადა „ვოლხოვსტროის" მუშებს და მოსამსახურეებს, და აგრეთვე ხელმძღვანელ ადმინისტრატიულ და ტეხნიკურ პერსონალს. ბრძანებაში განსაკუთრებით აღნიშნულია „ვოლხოვსტროის" მთავარ ინჟინერის გრაფტიოსი და მისი თანაშემწის ინჟ. ვედენეევის დამსახურებანი. (ადს).

უდიდესი სატრაქტორო ქარხანა

ლენინგრადი, 3 თებერვალი. „კრასნი პუტილოვეცი" შეუდგა უდიდეს სატრაქტორო ქარხნის აგებას თავის ტერიტორიაზე. ამ ქარხნის ასაშენებელი მუშაობა 90 პროც. იწარმოებს ფორდის სისტემის მიხედვით. ქარხანა ყოველწლიურად გამოუშვებს 5.000 ტრაქტორს და, აგრეთვე, 40.000 ტრაქტორის სხვადასხვა ნაწილებს. (ადს).

კულაკური შურისძიება

სემიპალატინსკი, 3 თებერვალი. სტანიცა დოლონ'ში საარჩევნო უფლება წართმეულმა კულაკებმა მოჰკლეს სტანიცის საარჩევნო კომიტეტის თავმჯდომარე დიკოპოლსკი. მკვლელები დაპატიმრებული არიან. (ადს).

საბჭოთა კავშირის ტრაქტორიზაცია

მოსკოვი, 3 თებერვალი. სრულიად რუსეთის სატრაქტორო თათბირმა დაადგინა მიესალმოს მთავრობის გადაწყვეტილებას სტალინგრადში ტრაქტორების ქარხნის აგების შესახებ. ქარხანა წლიურად გამოუშვებს 12.000 ტრაქტორს. თათბირმა აღნიშნა საბჭოთა ტრაქტორების ხარისხის გაუმჯობესება და აუცილებლათ სცნო ტრაქტორის მყიდველთათვის კრედიტის ვადის განგრძობა 3 წლამდე და 1-ნახ. მილიონიანი ფონდის შექმნა სასოფლო-სამეურნეო მანქანების შესაკეთებლათ. (ადს).

მოსკოვის ელექტროფიკაცია

მოსკოვი, 3 თებერვალი. მოსკოვის ელექტროსადგურის მიმდინარე სამშენებლო სეზონში შეუდგა მაღალვოლტიან ელექტროგოლის აგებას 115.000 ვოლტის ძაბვით, რაც აუცილებელია კავშირის, შატურის და აგრეთვე ინჟ. კლასონის სახელობის ელექტრო სადგურებიდან მიღებული ენერგიის რაციონალურ განაწილებისათვის. (ადს).

საბჭოთა დაკვეთები

საზღვარგარეთ

ხარკოვი, 3 თებერვალი. „დონუგოლ"-ის კომისიამ, რომელიც იმყოფება ბერლინში, წარსული წლის კრედიტების ანგარიშზე აქამდის საზღვარ გარეთ გაანაწილა 13 მილ. მანეთის დაკვეთები. დაკვეთების დიდი ნაწილი გადაეცა გერმანიას. დაკვეთების განაწილება სავსებით ნორმალურად მიმდინარეობს. დადებულია ხელშეკრულება გერმანიის ფირმების ძალებით 2 კოქსის ქარხნის აგების შესახებ დონბასში. ქარხნების აგება უკვე დაწყებულია.

„დონუგოლ"-მა ცნობილ გერმანელ სპეციალისტს სამთამადნო ინჟინერს გაიზეს დაავალა შეადგინოს 2 კაპიტალური მაღაროს პროექტი. (ად

ფინანსების მიწოდება

ა.-კ. მრეწველობისათვის

მოსკოვი, 3 თებერვალი. 1926—27 წელში ამიერკავკასიის მრეწველობისათვის, სპილენძის მრეწველობის გარდა, გადადებულია 12.775.000 მანეთი სახელმწიფო ბიუჯეტიდან, 300.000 მან. სამრეწველო ბანკის გრძელვადიანი სესხის განყოფილებიდან და 400.000 მან. ცენტრალურ კომუნალურ ბანკიდან. უკანასკნელი თანხა დანიშნულია ტყიბულის მაღაროების და, აგრეთვე აზერბეიჯანის თევზის მრეწველობის საბინაო მშენებლობისათვის. (ადს).

პოლარულ ქვეყნების შესწავლა

ლენინგრადი, 3 თებერვალი. დაიწყო მოსამზადებელი მუშაობა სამეცნიერო გაფრენისათვის პრაქტიკაში ამ გაფრენას დირიჟაბლით აწყობს პოლიარულ ქვეყნების შემსწავლელი საერთაშორისო საზოგადოება. გაფრენა დაიწყება ლენინგრადიდან მურმანსკენ—ჩრდილოეთის პოლიუსის მიმართულებით, ალიასკაზე გადასვლით ტაიმირის ნახევარ კუნძულისა და ჩრდილოეთ მიწისკენ. საზოგადოება „ცეპელინის" დირექტორი გაფრენისათვის ერთი თვით იძლევა თავის დირიჟაბლს. შემდეგისთვის განზრახულია საკუთარ დირიჟაბლის შეძენა. (ადს).

საბიუჯეტო კომისიის პლენუმი

1926—27 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი

ამხ. ბრიუხანოვის მოხსენება

მოსკოვი, 2 თებერვალი. საკავშირო ცაკის საბიუჯეტო კომისიის პლენუმის 2 თებერვლის დილის სხდომა გაიხსნა ამხ. ბრიუხანოვის მოხსენებით ერთიან სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ ვიდრე შეუდგებოდა 1926—27 წლის ბიუჯეტის განხილვას, ამხ. ბრიუხანოვმა მოკლედ დაახასიათა წარსული წლის ბიუჯეტის შესრულება და ის საერთო მოთხოვნილებები, რომლებიც უნდა წარედგინოს ახალ ბიუჯეტს.

— როგორი უნდა იყოს ის საერთო მოთხოვნილებები, რომლებმაც თავისი გამოხატულება უნდა ჰპოვონ 1926—27 წლის ბიუჯეტში,—კითხულობს მომხსენებელი. საერთო სამეურნეო მდგომარეობა, გაზრდილი მეურნეობის მოთხოვნილებები, ჩვენს მიერ ომის წინადროინდელ დონემდე მიღწევა, სახალხო მეურნეობის განვითარების ტემპის მაქსიმალური დაჩქარების საჭიროება—ყველაფერი ეს გვაიძულებს, რომ სახელმწიფოებრივი ბიუჯეტი ავაგოთ მთლიანად ჩვენი მეურნეობის ინდუსტრიალიზაციის თვალსაზრისით, ამ მეურნეობაში მსხვილი კაპიტალის დაბანდების თვალსაზრისით და, აგრეთვე კულტურულ მშენებლობით. ამ ამოცანების განხორციელება შეიძლება მხოლოდ ჩვენი საშემოსავლო რესურსების მაქსიმალური გამოყენებით და სასტიკი ეკონომიით ჩვენი ხარჯების დარგში. ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი სახკომსაბჭოს მიერ განსაზღვრულია 4.928 მილ. მან., შარშანდელ წლის 3.851 მილ. მან. მაგიერ. 1926—27 წლის ბიუჯეტის საშემოსავლო ციფრებში შეტანილია 71 მილ. მან.—სამეურნეობიდან შარშან ფაქტიურად მიღებული თანხა. არსებითად ჩვენი საბიუჯეტო შემოსავალი განზრახულია გადიდებულ იქნას 23,8 პროცენტით, შარშანდელთან შედარებით აღემატება თუ არა სახალხო მეურნეობის ძალას ბიუჯეტის ზრდა 24 პროცენტით? შარშანდელი წლის ბიუჯეტი შარშანწინდელ ბიუჯეტთან შედარებით გაიზარდა 31 პროცენტით. კიდევ უფრო ადრე, 1923—24 წელში, ჩვენმა პირველმა ბიუჯეტმა, რომელიც შედგენილ იქნა მტკიცე ვალიუტით, მოგვცა ზრდა 57 პროცენტით. წარსულ წლების ბიუჯეტების ზრდის ციფრები გამოხატავდენ მთელი ჩვენი სახალხო მეურნეობის სწრაფ ზრდას აღორძინების პერიოდის პირველ წლებში. მაშინ სამრეწველო პროდუქციას ასწრებდა ზრდას 50 პროცენტით. უფრო ნაკლებ გარკვეულ, მაგრამ ისევე აჩქარებული ტემპით იზრდებოდა ჩვენი სასოფლო მეურნეობა—დღეს ჩვენი მეურნეობის განვითარების დარგში შემჩნეულია შემდგომი განვითარების უფრო შენელებული ტემპი. ამ თვალსაზრისით ბიუჯეტის საშემოსავლო ამ ნაწილის ზრდა 24 პროცენტით ცოტა არ არის. საბიუჯეტო პროექტის მიხედვით პირდაპირი გადასახადები იზრდება 28 პროცენტით შარშანდელთან შედარებით. ამ წლის განმავლობაში სასოფლო-სამეურნეო საშემოსავლო და სარეწაო გადასახადები მიდიოდა დაბეგვრის გაზრდის გზით. სხვა სახის პირდაპირი გადასახადების მხრივ, დაბეგვრის გადათვალიერების შედეგად, სიმძიმის ცენტრი გადატანილ იქნა უფრო შეძლებულ მეურნეობებზე და მრეწველობის უფრო მომგებიან დარგებზე. ჩვენი ბიუჯეტი პირდაპირი გადასახადების დარგში მეტად გადიდებულია, მაგრამ მისი განხორციელება შესაძლებელია. შარშანდელთან შედარებით, აქციზი ახალ ბიუჯეტში იძლევა ზრდას 26 ნახ. პროცენტით. სახელმწიფო მრეწველობის საშემოსავლო მუხლი შარშან შეიცავდა 90 ნახ. მილ. მანეთს, ხოლო წელს განზრახულია მისი გადიდება 179 მილ. მანეთამდე,—ესე იგი თითქმის 70 პროც. მეტი.

დაასრულა რა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის მიმოხილვა, ამხ. ბრიუხანოვმა აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის საბიუჯეტო პროექტი ითვალისწინებს 210 მილ. მან. მიღებას სესხის სახით,—ზრდა თითქმის 45 პროცენტით განვლილ წელთან შედარებით.

— საერთოდ,—ამბობს მომხსენებელი—მიუხედავად იმისა, რომ მეტად გადიდებულია ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი, საბჭოთა მთავრობის ორგანოების და მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობის საერთო ძალღონით ჩვენ დავძლევთ ყველა სიძნელეს და შევასრულებთ ამ ბიუჯეტს.

ბიუჯეტის გასავლის ნაწილი,—აცხადებს ამხ. ბრიუხანოვი,—1926—27 წელში შეადგენს 4.856 მილ. მანეთს, ე. ი. 24 პროცენტით მეტია შარშანდელი ბიუჯეტის საგასავლო ნაწილზე. შარშან ადგილებს გადეცა 249 მილ. მანეთი. სახკომსაბჭო შეგნებულად მიდიოდა ამგვარ მსხვერპლზე იმ ანგარიშით, რომ ასეთი დიდი თანხების მიწოდების შემდეგ ადგილობრივი ბიუჯეტი გამტკიცდებოდა.

— მომჭირნეობის რეჟიმს,—განაგრძობს ამხ. ბრიუხანოვი,—ბუნებრივად თავისი გამოხატულება უნდა ეპოვა ცალკე უწყებების მიერ შედგენილ ხარჯთაღრიცხვებში, მაგრამ მხოლოდ ფინსახკომმა და შრომის სახალხო კომისარიატმა წარმოადგინეს შარშანდელთან შედარებით ცოტად შემცირებული ხარჯთაღრიცხვა. დიდი შრომის დახარჯვა შეიქნა საჭირო ჩვენი მეურნეობის საერთო ზრდასთან შეუფარდებელ იმ აშკარად გაბერილ, ცალმხრივ მოთხოვნილებების შესამცირებლად და განსახილველად, რომლებიც არ არიან შეთანხმებული ქვეყნის წინაშე წამოჭრილ ამოცანებთან და საერთო გეგმასთან. მომჭირნეობის რეჟიმი გატარდა უწყებების იგრეთ წოდებულ სამეურნეო ხარჯების ნაწილში.

ეხება რა სახალხო მეურნეობისათვის კრედიტების მიწოდებასთან დაკავშირებულ თანხების გადიდებას, ამხ. ბრიუხანოვი აღნიშნავს, რომ ამ გადიდებულ თანხების საერთო ჯამი შეადგენს 886 ნახ. მილიონ მანეთს, ნაცვლად შარშანდელი 538 ნახ. მილ. მანეთისა. შეეხო რა თანხების გადიდებას კაპიტალურ მრეწველობაზე, ამხ. ბრიუხანოვმა აღნიშნა, რომ მრეწველობაზე, ახალი ქარხნების ასაშენებლად, ძველი ქარხნების კაპიტალური შეკეთებისთვის და ახალი იარაღ-მანქანების შესაძენათ გადადებული იქნება, დაახლოვებით 950 მილიონი მანეთი.

სასოფლო-მეურნეობაზე 1926—27 წლის ბიუჯეტიდან გადადებულია 150 მილ. მანეთისა ნაცვლად შარშანდელი 159 მილ. მანეთისა. ამავე დროს მორწყვაზე გადადებულ თანხები გადიდებულია 11 მილ. მანეთით შარშანდელთან შედარებით. მრეწველობის დანარჩენ დარგებზე გადადებულ თანხების ჯამი შემცირებულია 20 მილ. მანეთით, შარშანდელთან შედარებით.

მოხსენების საბოლოო ნაწილში ამხ. ბრიუხანოვმა აღნიშნა, რომ სახელმწიფო სათადარიგო თანხა განსაზღვრულია 103 მილ. მანეთში. რომ უზრუნველყოფილ იქნას სახელმწიფო სათადარიგო თანხა, ამისთვის საჭიროა რომ მთლიანად იქნას განხორციელებული როგორც საშემოსავლო, ისე საგასავლო ნაწილი.

სახელმწიფო ბიუჯეტის საგასავლო ნაწილის საფუძველია—სახელმწიფო შემოსავალი. სახელმწიფო შემოსავლის სწორი შესრულების საფუძველია—სახელმწიფო ბიუჯეტის მიხედვით გადასახადის გადამხდელთა მიერ ყველა იმ მოვალეობის სწორი შესრულება, რომლებიც დაკისრებული აქვთ ყველა ჩვენს ორგანიზაციებს და მთელ მოსახლეობას სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის მიერ. (ადს).

კამათი ამხ. ბრიუხანოვის მოხსენების გარშემო

მოსკოვი, 2 თებერვალი. საბიუჯეტო კომისიის 2 თებერვლის საღამოს სხდომაზე ბრიუხანოვის მოხსენების გარშემო გამართულ კამათის დროს ორატორები ეხებოდენ ბიუჯეტის შედგენის, ასიგნობების რაოდენობის და ცალკე რესპუბლიკების საბიუჯეტო უფლებების საკითხებს.

ვასილიევიჩი (ბელორუსია) ლაპარაკობს, რომ რესპუბლიკების საბიუჯეტო უფლებები გარკვეული უნდა იქნენ. არსებობს წესი, რომლის თანახმად ზოგიერთ რესპუბლიკის შემოსავლის ნარჩენი საბიუჯეტო წლის დამთავრების შემდეგ ირიცხება ახალი წლის ბიუჯეტში. ეს დასაშვებია იმ რესპუბლიკაში, რომელსაც ძლიერი ეკონომიკა აქვს. რაც შეეხება ეკონომიურად სუსტ რესპუბლიკებს, უფრო სწორი იქნებოდა უდეფიციტო ბიუჯეტის შედგენის დაკისრების მაგიერ გადიდებული იქნეს თანხების გაღება სამეურნეო საჭიროებათათვის.

ბოლხანინი (ივანოვო-ვოზნესენსკი) საჭიროდ სთვლის, რომ მეტი თანხები იქნეს გადადებული საბინაო მშენებლობისათვის.

პავლიუკოვიჩი (ბელორუსია) ყურადღებას აქცევს სამრეწველო და საშემოსავლო გადასახადებს და აღნიშნავს, რომ ზოგიერთ რაიონში მოსალოდნელია მათი დაკლება.

ქარტელი (უკრაინა) ლაპარაკობს, რომ საჭიროა დაწესებულ იქნეს საფინანსო გეგმა მახლობელ 5 წლის განმავლობაში. უამისოდ წარმოუდგენელია საბიუჯეტო მშენებლობა. საჭიროა შესწავლილ იქნეს ცალკე რესპუბლიკების მდგომარეობა და სოციალურ-კულტურული და სამეურნეო მშენებლობის ხუთი წლის გეგმის საფუძველზე აგებულ უნდა იქნეს ახალი კანონი ცალკე რესპუბლიკების საბიუჯეტო უფლებების შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში აუცილებელია შეცდომების დაშვება.

ლეჟავა აღნიშნავს, რომ ჩვენი ბიუჯეტი ვერ იძლევა ჩვენი სახალხო მეურნეობის ამომწურავ განსახიერებას. ჩვენი ბიუჯეტი ისეთი სარკეა, რომელიც არ გვაძლევს მთელი სახალხო მეურნეობის სახეს.

საჭიროა შედგენილი იქნეს ისეთი ბიუჯეტი, რომელიც დამყარებული იქნება მეურნეობის დაწვრილებით შემუშავებულ გეგმაზე.

პეტროვსკი (უკრაინა) აღნიშნავს, რომ ფინსახკომის მუშაკების უბედურება იმაშია, რომ ისინი ბიუჯეტს უდგებიან მექანიკურად. ჩვენი ხარჯები დანაწილებული უნდა იქნენ რაიონების მიხედვით. თუ ამ საკითხს მივუდგებით მთელი კავშირის თვალსაზრისით, უნდა ვსთქვათ, რომ თანხების განაწილება წესიერად არ ხდება. ისეთ რაიონებს, როგორიც არის რ. ს. ფ. ს. რ-ი და უკრაინა, ნაკლები ყურადღება ექცევა, ხოლო საბჭოთა კავშირის თვალსაზრისით ამ რაიონებს უდიდესი მნიშვნელობა აქვთ. (ადს).

პარტიული ცხოვრება

ა. ლ. კ. კ. თბილისის ორგ. მე-14 კონფერენცია

მეცხრე სხდომა

სამი თებერვლის დილის სხდომაზე კონფერენციამ მოისმინა ამხ. გობეჩიას მოხსენება

მუშაობის ფორმების მეთოდების და კონკრეტული ხელმძღვანელობის შესახებ

ამხანაგებო! მე უმთავრესად შევჩერდები იმაზე თუ რამდენად შესძლო ჩვენმა ორგანიზაციამ პარტიის მეთოთხმეტე და კომკავშირის მეშვიდე ყრილობების დადგენილებების ცხოვრებაში გატარება, მუშაობის ფორმების და მეთოდების მუშურ - გლეხური ახალგაზრდობის მოთხოვნილებებთან შეფარდების სფეროში. შევჩერდები აგრეთვე იმ ძირითად ამოცანებზე, რომელიც კომკავშირის წინაშე არის დასმული კონკრეტული ხელმძღვანელობის დარგში. უპირველესად ყოვლისა უნდა გავითვალისწინოთ თუ, როგორია ამჟამად კომკავშირის ორგანიზაციის და საერთოდ მუშურ-გლეხური ახალგაზრდობის მდგომარეობა. ძირითადი მომენტი, რითაც ხასიათდება დღევანდელი მდგომარეობა არის მუშურ-გლეხური ახალგაზრდობის პოლიტიკური აქტივობის ზრდა როგორც ქალაქად, ისე სოფლად. ის დაინტერესება, რომელსაც ადგილი ჰქონდა ორგანიზაციის მხრით შინაპარტიული ბრძოლის საკითხებისადმი, საუკეთესო დამადასტურებელი არის ამ აქტივობის ზრდის. იყო დრო როცა მუშური ახალგაზრდობა გულგრილად ეპყრობოდა წარმოებას, აგვიანებდა ან და აცდენდა სამუშაო დროს და სხვა. დღეს ასეთ არანორმალურ მოვლენებს წარმოებაში ადგილი არა აქვს. ეს გარემოება იმის მაჩვენებელია, რომ მუშური ახალგაზრდობა აქტიურად არის ჩაბმული წარმოებაში, რომ ის შეგნებულად ეპყრობა სოციალისტურ მშენებლობას. ქალაქად ჩვენ ვამჩნევთ აგრეთვე ახალგაზრდობის ლტოლვას პროფესიონალურ - ტეხნიკური განათლებისადმი. კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისაკენ და სხვა.

სოფლის პირობებშიც იგივე სურათია. უკანასკნელ ხანებში გლეხური ახალგაზრდობის აქტივობა ძლიერ გაიზარდა. დიდი მისწრაფება არის გლეხურ ახალგაზრდობაში სასოფლო-სამეურნეო განათლებისაკენ, ადმინისტრაციული გადახრა, რომელსაც ჩვენ წინა წლებში ვამჩნევდით კომკავშირის მუშაობაში სოფლად, ამჟამად აღმოფხვრილია. კომკავშირის ორგანიზაცია სოფლად ამჟამად უფრო მეტ აქტიურ მონაწილეობას იღებს კოოპერაციაში, გლეხკომებში, საბჭოებში, და სხვა საზოგადოებრივი და სამეურნეო ორგანიზაციებში. ყველაფერი ეს მაჩვენებელი არის მუშურ - გლეხურ ახალგაზრდობის აქტივობის გაზრდისა.

მთელ რიგ მიღწევებთან ერთად გვაქვს ნაკლიც. უმთავრესი ნაკლი ჩვენ მუშაობაში, მდგომარეობს იმაში, რომ ეს აქტივობა არ არის ყველგან მიმართული სწორი კალაპოტით. ჩვენი უმთავრესი ამოცანაა მდგომარეობს იმაში, რომ მუშურ - გლეხური ახალგაზრდობის აქტივობა წარვმართოთ საბჭოთა გზით, კომკავშირის ორგანიზაციის საშუალებით; პოლიტიკური აქტივობამ თავისი ნათელი გამომჟღავნება უნდა ჰპოვოს სოციალისტურ მშენებლობაში აქტიური მონაწილეობის მიღებაში. მთავარი დირექტივა, რომელიც ჩვენ მოგვცა პარტიის და საკავშირო კომკავშირის ყრილობებმა, ეს იყო მუშური აქტივის აღზრდა და წამოწევა საპასუხისმგებლო ადგილებზე. ამ დირექტივის ცხოვრებაში გატარება ჩვენ შევძელით საანგარიშო პერიოდში. მუშური აქტივი დღეს დაწინაურებული და გამტკიცებული არის. თბილისის ორგანიზაციაში მუშური ახალგაზრდობის აქტივი გაიზარდა, როგორც რიცხობრივად, ისე თვისობრივად. მაგრამ, მიღწეული შედეგებით დაკმაყოფილება შეუძლებელი არის. საჭიროა მუშური აქტივის აღზრდის და გამტკიცების მიმართულებით მუშაობის გაგრძელება.

მეორე მომენტი კომკავშირის მუშაობაში ეს არის შინა საკავშირო დემოკრატიის გაშლა და გაფართოება. საანგარიშო კამპანიამ, რომელსაც ჩვენ ამ უკანასკნელ ხანებში ვატარებდით, აშკარად დაგვანახვა, რომ საკავშირო დემოკრატია ბიუროების და სხვა ორგანიზაციების გადარჩევების დროს ტარდებოდა სისწორით. როგორ უნდა გვესმოდეს ჩვენ შინა საკავშირო დემოკრატია? საკავშირო დემოკრატია ჩვენ უნდა გავიგოთ, როგორც საშუალება კომკავშირის მასის თვითმოქმედების აწევის, როგორც საშუალება ფართო მასის ჩაბმისა ორგანიზაციის ყოველდღიურ საქმიანობაში. დასასრულ შინა საკავშირო დემოკრატია ჩვენ უნდა გავიგოთ. როგორც ანგარიშიანობა და პასუხისმგებლობა საკავშირო ორგანოებისა კომკავშირის მასის წინაშე. სწორედ ამ მიმართულებით უნდა გავაღრმავოთ ჩვენი მუშაობა.

შემდეგ მომხსენებელი ჩერდება შინა საუჯრედო მუშაობაზე და ამასთან დაკავშირებით. კონკრეტიული ხელმძღვანელობის საკითხზე. ზოგიერთი უჯრედები მარტო ადგილობრივი ხასიათის კითხვებს არჩევენ. პირიქით არის უჯრედები, რომლებსაც საწინააღმდეგო გადახრა ეტყობათ. ისინი მხოლოდ საერთაშორისო ხასიათის საკითხებს აქცევენ უმთავრეს ყურადღებას. როგორც პირველი, ისე მეორე მოვლენა საზიანო გადახრა არის და ამიტომაც ამ ნაკლის გამოსწორებას კავშირის აქტივმა უნდა მიაქციოს ჯეროვანი ყურადღება. რაც შეეხება კონკრეტიულ ხელმძღვანელობას, აქ უნდა აღინიშნოს ხელმძღვანელობის სამი უმთავრესი ფორმა: პირველი—ცირკულიარები და დირექტივები; მეორე—თათბირების მოწვევა და მესამე—ინსტრუქტაჟი. ყოველი ღონისძიებები უნდა ვიხმაროთ იმისათვის, რომ ცირკულიარებში ზოგადი ფრაზები არ იყოს აღნიშნული; მეტი კონკრეტიულობა, ნაკლები საერთო ფრაზები. აი მთავარი ლოზუნგი. მეორეს მხრით ჩვენ უნდა ვეცადოთ მუშაობიდან გავდევნოთ „ცირკულიარშჩინა". მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს ცოცხალ კავშირს ადგილებთან, როგორც ინსტრუქტორების საშუალებით ისე კომისიების და თათბირების მოწვევით.

აი როგორ უნდა გვესმოდეს კონკრეტიული ხელმძღვანელობის ამოცანა.

იგივე ითქმის ჩვენი უჯრედების მუშაობის შესახებ. თქვენ ხშირად შეხვდებით უჯრედის დადგენილებებში ასეთ ადგილებს: „გაცხოველდეს მუშაობა", „აღმოფხვრილ იქნას დეფექტები", და სხვა ასეთები. ამხანაგებო, ასეთი საერთო ფრაზებისაგან განსაკუთრებით უჯრედის მუშაობაში, თავი უნდა შევიკავოთ. დღეს მთავარი ის კი არ არის თუ რა უნდა გაკეთდეს, არამედ ის, თუ როგორ და რა საშუალებით გაკეთდეს. ჩვენს აქტივს ნათლად აქვს გათვალისწინებული თუ რა არის გასაკეთებელი.

რაც შეეხება პრაქტიკულ ღონისძიებებს უნდა ითქვას გარკვევით, რომ ამ მხრივ ჩვენი აქტივი მოისუსტებს. ამ ნაკლის გამოსწორებას ჩვენმა აქტივმა და საკავშირო ორგანოებმა უნდა მიაქციონ სერიოზული ყურადღება. უამისოდ ჩვენ ვერ შევძლებთ მუშაობის ახალი ფორმების და მეთოდების შეგუებას მუშურ-გლეხური ახალგაზრდობის მოთხოვნილებებთან. ყველა ამ მომენტების გათვალისწინებით ჩვენ შევძლებთ კონკრეტიული ხელმძღვანელობის გაძლიერებას და კავშირის მასის სოციალიზმის პრაქტიკულ მშენებლობაში ჩაბმას—ასეთია ჩვენი ამოცანები მუშაობის ახალი ფორმების მეთოდების და კონკრეტიული ხელმძღვანელობის გამოცოცხლების დარგში. (ტაში).

წითელდროშოვან არმიის მე-5 პარტკონფერენცია

უკანასკნელი სხდომა

კონფერენციის უკანასკნელი სხდომა შესდგა გუშინ, საღამოს 6 საათზე.

ამ სხდომაზე კონფერენციამ მოისმინა რადიო ბატალიონის უპარტიო მეთაურების, არსენალის მელითონე, მეორე რაიონის და ტრამვაის მუშების მისასალმებელი სიტყვები.

სამანდატო კომისიის მოხსენებიდან გაირკვა, რომ კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო 209 დელეგატი, აქედან 162 გადამწყვეტი და 47 სათათბირო ხმით.

კონფერენციამ მიიღო რეზოლიუციები არმიის პოლიტსამმართველოს, პარტკომისიის, სამხედრო-საზღვაო ინსპექციის მუშაობის და ამხ. ლანდას მოხსენების გარშემო.

შემდეგ შესდგა არმიის პარტკომისიის ახალი შემადგენლობის არჩევნები, პარტკომისიის წევრებათ არჩეულ იქნენ: ამხ. ამხ. ვაცეკი, გუბინი, ტიგიშვილი, პავერმანი, ციმმანი, გურგენიანი, ნიკოლაევი, კლიმჩუკი, ევდოკიმოვი, იუსუფოვი, ანტონოვი, სკომოროვსკი, სტელმახი. კანდიდატებათ — ამხ. ამხ. მიქაძე, მიტროფანოვი, წულუკიძე, მაგერრამოვი, მიხაილოვი, ულედევი, პროხოროვი.

კონფერენციის დახურვის წინ სიტყვას ამბობს ამხ. რატნეკი.

იგი აღნიშნავს, რომ კონფერენციის მუშაობა ფრიად ნაყოფიერი იყო. კონფერენციამ გადასინჯა ერთი წლის პარტიული მუშაობა, აღნუსხა ამ მუშაობის ნაკლი და ხაზი გაუსვა მიღწევებს.

კონფერენციამ დაგვანახვა, რომ არმიის პარტორგანიზაცია არის მთლიანი ურყევი და მიდის ლენინური გზით.

შეეხო რა წითელარმიელთა აღზრდის საქმეს ამხ. რატნეკმა აღნიშნა, რომ არმია ზრდიდა და ზრდის ინტერნაციონალურ მებრძოლს და შეგნებულ მოქალაქეს, რომელიც [illegible] ფაბრიკ-ქარხნებში უდგება სათავეში ახალ ცხოვრების აღმშენებლობას. ამის დასამტკიცებლად იგი აქვეყნებს შვებული წითელი არმიელის წერილს, რომელშიაც წითელი არმიელი იწერება, თუ რა მუშაობას აწარმოებს იგი სოფლის აღორძინებლად.

ეხლა საჭიროა, ამბობს ამხ. რატნეკი, რომ არმიის პარტორგანიზაციების მთელი ყურადღება მიქცეულ იქნეს არმიის საბრძოლო უნარიანობის გასაძლიერებლად, რადგან ამას გვიკარნახებს შექმნილი საერთაშორისო მდგომარეობა.

საჭიროა გაძლიერებულ იქნეს მუშაობა მოსახლეობის შორის მის გასამხედროებისათვის.

— მე ვისურვებდი, რომ ჩვენი მშვიდობიანი მუშაობა ყოფილიყვეს მუშაობა ჩვენი ქვეყნის მზადებისათვის მომავალ ომისათვის. ამისათვის გავაძლიეროთ სწავლება და დისციპლინა.

ამხ. რატნეკის სიტყვას დელეგატები ხვდებიან მხურვალე ტაშით.

კონფერენცია იხურება ინტერნაციონალით.

ო.

ა.-კ. სოლქო კომიტეტში

ა.-კ. საბჭოთა უჯრედების თათბირი

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას ცირკულიარის (საბჭოთა უჯრედების მუშაობის შესახებ) და საბჭოთა კავშირის მუშათა და გლეხთა ინსპექციის პრაქტიკული დირექტივების გამო, საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტმა დაადგინა რესპუბლიკების კომპარტიების (ბ) ცენტრალურ კომიტეტებს ურჩიოს:

რესპუბლიკების ცენტრ. კომიტეტებთან მოწვეულ იქნას ხოლმე საბჭოთა მსხვილი უჯრედების და სამეურნეო დაწესებულებათა უჯრედების მდივნების თათბირი.

მიიღონ აქტიური მონაწილეობა რესპუბლიკურ მუშათა და გლეხთა ინსპექციების თათბირების მუშაობაში.

ფართოდ გააშუქონ პრესაში საბჭოთა უჯრედების ამოცანები და მუშაობა.

გარდა ამისა, პრეზიდიუმმა დაადგინა, მაისში მოიწვიოს საბჭოთა მსხვილი უჯრედების, სამეურნეო და დაწესებულებათა უჯრედების მდივნების საოლქო თათბირი.

ქალთა განყ. გამგეთა თათბირი

საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის სამდივნოს დადგენილებით, 15 თებერვალს აგიტპროპგანყოფილებათა გამგეების საოლქო თათბირის მოწვევასთან ერთად მოეწყობა მუშა ქალთა და გლეხ ქალთა შორის მომუშავე განყოფილებათა გამგეების თათბირი.

თათბირის დღის წესრიგში იქნება შემდეგი საკითხები:

საძღეგატო კრებების მუშაობის შედეგები ამ.-კავკ. სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკაში 1925-26 წ. და დელეგატი ქალების არჩევა 1926-27 წლისათვის.

1926 წლის ქალთა საბჭოების წევრების მუშაობა და ქალთა განყოფილებების მომზადება საბჭოთა მომავალი არჩევნებისათვის.

მასიური მუშაობა მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა შორის.

მუშაობა ყოფა-ცხოვრების დარგში.

მომზადება 8 მარტის დღისათვის.

მუშაობა ზაფხულის პერიოდში.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის მუშა-ქალთა და გლეხ ქალთა შორის მომუშავე განყოფილების მუშაობის გეგმა.

ხარჯების შემცირება

საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტმა დაამტკიცა საბიუჯეტო-საშტატო კომისიის მიერ წარმოდგენილი გეგმა ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის ხარჯთაღრიცხვის გასავლის ნაწილის შემცირების შესახებ.

გეგმის თანახმად გადასინჯულ და შემცირებულ იქნა ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის აპარატი.

მუშაკთა ხელფასის შემცირებასთან ერთად შემცირებულია აგრეთვე მივლინების ხარჯები და მინიმუმამდე იქნა დაყვანილი ყველა სამეურნეო ხარჯები (გაუქმებულია საკუთარი გარაჟი და სხ.) ღონისძიებათა ჩატარების შემდეგ მნიშვნელოვანი რაოდენობის მომჭირნეობა იქნება.

რა იყო მაშინ და რა არის დღეს*)

III.

მოხდა 25 თებერვალი. ამ დღეს ჩვენ ვგლოვობდით, დღესაც გლოვობს „პარიზი" და მისი აქაური ამყოლები. ამ გლოვას ერთნაირ სარჩულს უდებენ. ჩვენ ვამბობდით: ბოლშევიკებმა მოსპეს დამოუკიდებლობაო. ვნახოთ, რა მოხდა.

ბოლშევიკები არ სცნობდენ ჩვენ დამოუკიდებლობას და ამტკიცებდნენ, რომ ის ცალიერი ქაღალდია, უშინაარსო სიტყვაა, ნამდვილად კი სავსებით დამოკიდებული დამოუკიდებლობააო. ამ აზრის დასამტკიცებლად მათ უამრავი ფაქტები ჰქონდათ ხელში. ამ ფაქტების შესახებ მე შემდეგ მოგახსენებთ. მას შემდეგ, როდესაც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამკვიდრდა, ცხადია, ბოლშევიკებს საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ თავისი სიტყვა უნდა ეთქვათ და აი, ისინიც დღესასწაულობენ ამ დამოუკიდებლობას. ეს ყველასათვის გასაგები უნდა ყოფილიყო, მაგრამ ჩვენ იმდენად დაბრმავებულნი ვიყავით და სხვებსაც ვაბრმავებდით, რომ სავსებით დავკარგეთ უბრალო მოვლენების გაგების უნარი. მაგრამ ვსთქვათ—როგორც ზოგიერთები ამბობდენ,—რომ ეს აქტი მყვირალი აქტი იყო. მაგრამ ჩვენ ვიცით მეორე აქტი, ჩუმი, ბევრისათვის ჯერაც არ ნახულ-გაგონილი. პირადათ მე მას გავეცანი მასალების მოგროვების და გაცნობის დროს. ეს აქტიც მეტად დამახასიათებელია, ბევრის მთქმელია,—რაღა თქმა უნდა—არა ყრუთათვის. ჩვენ ვიცით, რომ მეფის რუსეთმა საქართველოდან ისტორიულ-კულტურული განძეულობა წაიღო, და აი, ქართველი ბოლშევიკები სთხოვენ **მოსკოვს**, რათა მან ეს განძეულობა **თბილისს** დაუბრუნოს იმ მოსაზრებით, რომ „საქართველოს ისტორიულ-კულტურულ" განძთა რუსეთში არსებობა ძველ დაპყრობილობის მაუწყებელიაო. დღეს ეს განძეულობა თბილისში ინახება, და ყველას შეუძლია მისი დათვალიერება. მე აქ მხოლოდ ზოგიერთ საგნებს ჩამოვთვლი: 1) რუსეთ-საქართველოს ტრაქტატი 1783 წ.; 2) მე-18 საუკუნის ქართველ მოღვაწეთა და მეთაურთა სურათები; 3) თეიმურაზ ბატონიშვილის ბიბლიოთეკა მრავალი ძველი ხელნაწერით; 4) უკანასკნელი მეფის ტახტი და ოქროს გვირგვინი; 5) ძველი ქართული დროშა და ფარი.

ჩვენ ვიცით, როგორ „უყვარს" ბოლშევიკებს მეფეები და როგორი „პატივისცემით" ეპყრობიან მათ. უცნაური ხალხია ეს ბოლშევიკები. მეფეებს საუკუნო განსვენებას აძლევენ, მათი გვირგვინის თბილისში მოსატანად კი „ხლაფორთობენ". ვიმეორებ, არც ყვირილი, არც ზეიმი, არც საჯარო დეკლარაცია. ჩამოიტანეს და მუზეუმში დაალაგეს. მე ვამბობ: ჯერთაც ბოლშევიკებმა საქართველოს დამოუკიდებლობა აღიარეს.

მაგრამ ეს საკითხის მხოლოდ გარეგანი მხარეა. დამოუკიდებლობას ჩვენც ვზეიმობდით, განძეულობის ჩამოტანის წინააღმდეგ არც ჩვენ ვიქნებოდით, მხოლოდ რა კარგი იქნა, რომ არ ჩამოვიტანეთ, თორემ მათაც **პარიზში** გადავიტანდით. დიახ, ყველაფერი ეს გარეგნობაა. ამასთან ერთად ბოლშევიკებმა დამოუკიდებლობას შინაარსიც მისცეს, აძლევენ და მისცემენ. მათ **ფიქტიური** დამოუკიდებლობა **ფაქტიურად** აქციეს. დღეს გერმანელი გენერალი **ფონ-კრესი** ვერ მოითხოვს, რომ გორის მაზრის გლეხობამ ღალა მისცეს თავადებს და საზოგადოთ ვერ მოითხოვს, რომ საქართველოს მთავრობა რიგიანად მოეპყრას მემამულეებს; ვერ მოითხოვს, სხვათაშორის, იმიტომაც, რომ დღეს თავადი მოკვდა, ვერც **ინგლისელი ლეიტენანტი** მოითხოვს მთავრობისაგან, რომ მან ციხიდან გამოუშვას ძეგვის ხიდის ამფეთქებელი მეფის პოლკოვნიკი ვინმე შმაგაილო, და ვერც ინგლისის გენერალი **უოკერი** „წაუკითხავს ნოტაციებს" მთავრობის თავმჯდომარეს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ესმოდეს მას, თავმჯდომარეს, ერის დამოუკიდებლობა, რის შესახებ ჩვენ ქვევით გვექნება საუბარი. არა, ასეთ რამეებს აწი ვერავინ მოესწრებიან. საქართველო დღეს მართლაც დამოუკიდებელი სახელმწიფოა, რომელიც შედის საბჭოთა სოციალისტურ ფედერატიულ კავშირში, როგორც სრულიად სწორუფლებიანი წევრი. განა ფედერაციაში შესვლა ჰლახავს სახელმწიფოს უფლებას. და თუ ეს ასეა, რატომ იყო რომ ჩვენ შევდიოდით ამიერ-კავკასიის ფედერაციაში (სეიმის ხანა). რატომ არის რომ დღეს **პარიზელი** მენშევიკური საქართველო, დაშნაკური სომხეთი და მუსავატური აზერბეიჯანი ფედერატიულად არიან შეკრულნი. მართალია, ისინი თამაშობენ, მაგრამ მაინც დამახასიათებლად თამაშობენ. მე ვფიქრობ: ის გარემოება, რომ საბჭოთა საქართველო შედის საბჭოთა კავშირში, მოწმობს იმას, რომ ის მართლაც დამოუკიდებელია. წინააღმდეგ შემთხვევაში ის შევიდოდა, როგორც ერთი ოლქი, ან კუთხე, როგორც მეფის დროს „შედიოდა".

მაგრამ დამოუკიდებლობის დასამტკიცებლად ესეც ცოტაა: თუ პოლიტიკურ დამოუკიდებლობას ეკონომიურ-კულტურული საფუძველი არა აქვს, ის უბრალო თავშესაქცევი, თავის მოსატყუებელი, მხოლოდ გრძნობის ამთამაშებელი საგანი იქნება. არ არის საკმარისი მაღლობებზე „სამფეროვანი დროშა" ფრიალებდეს, საჭიროა დროშა ისეთ ნიადაგზე იყვეს მიმაგრებული, რომ ვერავითარ გრიგალმა ის ვერ მოგლიჯოს. დროშას საძირკველი უნდა ამაგრებდეს და არა დროშა საძირკველს, როგორც ჩვენ დაგვემართა. ბოლშევიკები კი საქართველოს დამოუკიდებლობას ეკონომიურ საძირკველს უმაგრებენ. ამის დამამტკიცებელი ფაქტები და ციფრები მე ზევით მოვიყვანე. ხოლო ჩვენს დროშას საძირკველი დაუღუპა, ჩემის აზრით მე ესეც დავამტკიცე.

ეკონომიურად გამაგრების გარდა, სახელმწიფოს კულტურული გამაგრებაც საჭიროება. ეს ორი ფაქტორი ერთი მეორეს მისდევს, ერთი მეორესთან არის გადაბმული—დაკავშირებული. აქ მარტო სურვილში და მონდომებაში როდია საქმე. ეკონომიურად სუსტი,—კულტურულადაც სუსტია. ვინც ეკონომიურად სუსტია, ის კულტურულ საქმის დაყენებას და მის განხორციელებას ვერ შესძლებს და მხოლოდ ქაღალდზე ხატვით და ხაზვით გაათავებს. ჩვენ ულონონი ვიყავით აქ რამე გაგვეკეთებია, სკოლები კიდეც რომ დაგვეარსებია, იქ თურმე ბავშვები, სიტიტვლის გამო, ვერ ივლიდენ, წიგნი კიდეც რომ გამოგვეცა, ცალიერ კუჭზე მას ვერავინ წაიკითხავდა. ამიტომ არის, რომ ჩვენ, ბოლშევიკებთან შედარებით სკოლებიც გაცილებით ნაკლები გვქონდა, წიგნებსაც ცოტას ვბეჭდავდით. მე აქ ბევრი ციფრებით არავის მოვაწყენ, მხოლოდ ზოგიერთებს მოვიყვან. მაგრამ მარტო რაოდენობით როდი შეფასდება მუშაობა. ბევრს და ცუდს, ცოტა და კარგი თვისების სჯობია. და აი, როდესაც ამ თვისებას ვეხებით, ჩვენ ვხედავთ, რომ კულტურულ-განმანათლებელ საქმეში ბოლშევიკებმა აჯობეს მენშევიკებს: მათ სკოლა, წიგნი ხალხს დაუახლოვეს და ხალხის მოთხოვნილებას შეუფარდეს, გარდა ამისა მათ მოსწავლეთა აქტივობა გამოიწვიეს, მაგალითად ყველა საბავშვო ბაღები და სახლები, ბავშვთა ახალშენები, სკოლა-კომუნები და დეფექტიურ ბავშვთა სკოლები მოაწყვეს, რომელთა რიცხვი 1925 წლის პირველ დეკემბრისათვის უდრიდა 100-ს, სადაც სწავლობდა 6.264 ბავშვი და მათ ხელმძღვანელობდა 424 მასწავლებელი. აქ ყველგან ბავშვები აქტივობას იჩენენ. ასეთი სკოლა-ბაღების რიცხვი კი მენშევიკების დროს იყო შვიდი, სადაც ბავშვთა რიცხვი 700-მდეც არ აღწევდა. მე სკოლების და მოწაფეების რიცხვს არ მოვიყვან საერთოდ. მე მინდა მხოლოდ აღვნიშნო, რომ ბოლშევიკებმა გახსნეს ისეთი სკოლები, რომელიც სულ არ იყო მენშევიკების დროს, მაგალითად საქარხნო-საფაბრიკო სკოლები, სამრეწველო-ეკონომიური ტეხნიკუმები და სხვ. ჩვენ ეხლა გვაქვს ტრაქტორების კურსებიც, ცხადია რომ ასეთი სკოლები მენშევიკებს არ ექნებოდათ, ვინაიდან მაშინ ტრაქტორები ჩვენ არ გვქონდა და აბა მისი კურსები ვის რა ოხრად გამოადგებოდა. ან და ვის რად ესაჭიროებოდა სამრეწველო-ეკონომიური და საქარხნო-საფაბრიკო სკოლები, როდესაც, როგორც ეს ზევით ციფრებიდან დავინახეთ, მრეწველობა ჩვენ დროს მოკვდა, ფაბრიკა-ქარხნები კი არ გაგვაჩნდა. მდგომარეობა შეიქმნა შეგნებასაც და.. უსკოლობასაც. ასე, რომ მარქსიზმის თვალსაზრისით ჩვენი მაშინდელი უილაჯობა ასე ვსთქვათ, გასაგებია.

მინდა კიდევ მოვიყვანო ორი მეტად დამახასიათებელი ცნობა. საქართველოს წიგნის პალატის—„წიგნის მატიანე"-ს *) (№ 1, 1917—1925 წ. წ.) ცნობით, 1917—1920 წ. წ. გამოგვიცია სულ 559 სახელწოდების წიგნი, ბოლშევიკებს 1921—25 წ. წ. გამოუციათ 1.578 სახელწოდების წიგნი, ქართული წიგნი. ეს კიდევ ისე საინტერესო განსხვავება არ არის, როგორც მეორე ცნობა: სოფლის მეურნეობისათვის, გლეხისათვის, მენშევიკურ ხანაში დაბეჭდილა ხუთი წიგნი, ბოლშევიკურ ხანაში კი „სულ რაღაც" 163.

რა ცნობებს აწვდიან გლეხებს ბოლშევიკები ამ წიგნებით. მოვიყვანოთ ზოგიერთის სათაური: **კეცხოველი ნიკო. როგორ ვებრძოლოთ ნათესების მტრებს.** 15 გვ. ფასი 10 კაპ. **პროფესორი ზაიცევი. როგორ უნდა ვებრძოლოთ ბამბის ტილს.** 14 გვ. ფასი 10 კაპ. (ჩვენ დროს ბამბა აღარ ითესებოდა, და ასეთი წიგნიც საჭირო არ იყო), **მაისურაძე ნიკო. თამბაქოს თესვა და ნათესების მოვლა.** გვ. 16, ფასი 10 კაპ. (თამბაქოს მოყვანა ჩვენს დროს შეწყდა, სხვათა შორის, ჩვენი უცნაური მონოპოლიის გამოც და გლეხი საჩიბუხო თუთუნს უწიგნოთაც მოიყვანდა). **ათაბეგოვი ანაიდა. კრუხის დასმა და წიწილების მოვლა.** 16 გვ. ფასი 10 კაპ. ყველა 163 წიგნი ასეთი შინაარსისაა, 20 გვერდს არ აღემატება და ერთ აბაზზე მეტი არ ღირს. ჩვენ კრუხებსა და წიწილებისათვის არ გვეცალა, ჩვენ მხოლოდ გავკიოდით: „საქართველო კულტურული ევროპის ავანგარდია აღმოსავლეთში"-ო. ეს უცნაური ბოლშევიკები კი აღმოსავლეთსაც „ხელში იგდებენ", ბურჟუაზიულ— „კულტურულ ევროპასაც" ემუქრებიან და კრუხ-წიწილებსაც უვლიან. ჩვენ ყვავილების თაიგულებს ვკრავდით კაუცკის ცოლ-ქალიშვილისათვის, მაკდონალდ-რენოდელ - შოუებისათვის. ჩვენ ისინი წინანდალში უნდა წაგვეყვანა სუფთა კახური საგემებლად და ასეთი უცხო სანახაობისათვის ზანდუკებში გადამალული წითელი დროშებიც გამოგვემზეურებინა. ამის გარდა ჩვენ გერმანელ-ინგლისელ-ფრანგ გენერლებთან (როდესაც ისინი მოვიდოდნენ ან მოვიხმობდით) გვქონდა დიდ საკითხებზე მასლაათი. და აი მე მინდა სანიმუშოთ ავალაპარაკო აქ ერთი ამ გენერალთაგანი, ვინმე ინგლისელი უოკერი.

ჩვენ უკვე ვიცით, რომ აგვისტოს აჯანყება იმიტომ მოაწყო „პარიზმა", რომ ბოლშევიკებმა დაამარცხეს მენშევიკები და რომ ისინი საქართველოს „დამოუკიდებლობას" არ სცნობდენ. სხვათა შორის, ამიტომაც ურჩევნია ჟორდანიას „დასავლეთის იმპერიალისტები, აღმოსავლეთის ფანატიკოსებს" და ამ იმპერიალისტებისაგან მოელის ხსნას და შველას. ვნახოთ ერთი დასავლეთის იმპერიალისტების წარმომადგენელი, რას გვეტყვის ის ერის დამოუკიდებლობის შესახებ.

მე უთუოდ უნდა მოვიყვანო უოკერის მიმართვა (მის აქ ყოფნის დროს) „საქართველოს დემოკრატიულ მთავრობისადმი".

უოკერი ამბობს ამ მიმართვაში: „მოკავშირე სახელმწიფოებს არ აქვთ აზრად აუქციონ გვერდი წვრილი ერების თვითგამორკვევის დიდ პრინციპს. ისინი მხოლოდ მაშინ უკუაგდებენ მას, როდესაც იძულებულნი შეიქმნებიან დარწმუნდენ, რომ რომელიმე დროებით დამოუკიდებელი ერი (უნდა გითხრათ არ მესმის რას ნიშნავს ეს „დროებით დამოუკიდებელი ერი".) ვერ შესძლებს წესრიგის დაცვას, იწყებს მიცევებას და აგრესიულ მოქმედებას ან და თავისი საკუთარი ღირსების მუდმივი ბავშური და ზედმეტი მტკიცებით დაანახვებს მათ, რომ იგი წარმოადგენს შესაძლო საშიშროებას მსოფლიოს მშვიდობიანობისათვის. ასეთ ერის დამოუკიდებლობას დიდი სახელმწიფოები ვერ მოითმენენ, ვინაიდან მათ გადაწყვეტილი აქვთ, რომ მშვიდობიანობა მთელი ქვეყნისა უნდა დაცულ იქნეს"-ო. მე მინდოდა ზოგიერთი ადგილებისათვის ხაზი გამესვა, მაგრამ შევჩერდი: ყველა ხაზგასმულია.

აქ ევროპა სტუქსავს „დამოუკიდებელ" საქართველოს, ის მას როზგავს, არიგებს, ჰკუას ასწავლის, დასცინის და ემუქრება.

ახლა ვთქვათ, გამართლდა „პარიზის" იმედი, ამოუვიდა კბილი ბაყაყს და მფარველად ინგლისი მოგვევლინა. მერე? მერე რა ვიცით, როგორ გუნებაზე გამოიღვიძებს ერთ მშვენიერ დღეს უოკერი, რომელ ფეხზე წამოდგება ლოგინიდან! არ ვიცით მას რა დაესიზმრება! ერთიც ვნახოთ და დაესიზმრა: ვითომც „დამოუკიდებელი საქართველო" „მიცევებას იწყებს", ანდა „ბავშურად საკუთარ ღირსებაზე" ალაპარაკდა, ან და ღამით ქუჩაზე მთვრალებმა აყალ-მაყალი ასტეხეს და პოლისმენმა (მაშინ უეჭველად პოლისმენი გვეყოლება) „ვერ შესძლო წესრიგის დაცვა", ან და... საქართველო უკვე „წარმოადგენს შესაძლო საშიშროებას მშვიდობიანობისათვის" და ისიც „მსოფლიოსთვის" (რადგან ჩვენ ვიცით ინგლისიც და ევროპის სხვა სახელმწიფოებიც მუდამ მსოფლიო ინტერესებისათვის იღწვიან!) რა მოხდება ასეთი სიზმრის შემდეგ? მაშინ ინგლისი „ასეთ ერის დამოუკიდებლობას ვერ მოითმენს" და, „დროებით დამოუკიდებელი ერი" დამოკიდებული გახდება. აი, ეხლა კი მესმის, რატომ გამოაბა უოკერმა „დამოუკიდებელ ერს" სიტყვა „დროებითი", ე. ი. ეს „დამოუკიდებლობა" იხოვინებს მანამ, სანამ გენერალი კარგ გუნებაზე იქნება. ასეთ დამოუკიდებლობას პირადათ მე კატორღა მირჩევნია.

ჩვენ დავინახეთ სწამთ თუ არა ბოლშევიკებს საქართველოს ნამდვილი დამოუკიდებლობა, ამოავსეს ეს სიტყვა შინაარსით თუ არა, გაამაგრეს და ამაგრებენ თუ არა მის ეკონომიურ-კულტურულ საფუძვლებს. ჩვენ გავეცანით მენშევიკურ „დამოუკიდებლობასაც", მის უშინაარსობას, მის ეკონომიურ-კულტურულ უღონობას, მის დამპალი კბილივით ფამფალს, და მის პერსპექტივებს კი იმპერიალისტების ინგლისელმა წარმომადგენელმა მათრახით ხელში დაცინვით და მუქარით გაგვაცნო. და ასეთი მუქარა არა ერთხელ და არა ერთ იმპერიალისტურ სახელმწიფოებს სისრულეში მოუყვანია. და დღესაც მოყავს სხვა პატარა ერებისადმი. აი მოკლედ, გაკვრით ნაწყვეტი ფაქტები მცირე ერთა ტანჯვა-ვაებისა „კულტურულ-ევროპის" ხელში: ჯერაც ყურში გვესმის ირლანდიელების გმინვა ინგლისელ ლორდების მსუბუქ მჩხვლეტავ ტუფლებ ქვეშ. ამავე ლორდებმა გამოსწოვეს საზღაპრო სიმდიდრე ინდოელებს და მათ მშიერ-ტიტვლებს არონიებენ. თუ კოლონიალური მონა გაკადნიერდა და ქუჩის იმ მხარეზე გაიარა, სადაც ინგლისელი მიაბიჯებს, უკანასკნელი მას მათრახს გადააწნავს და გადააგდებს ქვა-ფენილიდან. საფრანგეთს ჯერაც არ შეუჩერებია თოფ-ზარბაზნების გრიალი დამოუკიდებელ მაროკოელთა მთა-გორაკებიან მიდამოებში და მათი ბელადი აბდელ-ქერიმი ტყვეთ ჰყავს წაყვანილი.

ისინი დღესაც სისხლს ღვრიან საფრანგეთთან ბრძოლაში: ალბად მაროკელებმა და სირიელებმა „იწყეს მიცევება" და „საკუთარი ღირსების ბავშური მტკიცება". იმპერიალისტური ყაჩაღობის ისტორიაში ბევრია ჩაწერილი მსგავსი შავი და სისხლიანი ფურცლები და სწორედ ასეთი „დასავლეთის იმპერიალისტები ურჩევნია" ჟორდანიას. ამიტომაც იყო, რომ „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა" თანდათან უკან იწევდა, ინგრეოდა, უფსკრულისაკენ მიდიოდა.

მე დამთავრებულად მიმაჩნია ჩემი წერილი. მე მინდოდა ორი სურათი მომეცა და რამდენადაც შემეძლო დავასურათე ორი ხანა: მენშევიკური და ბოლშევიკური. მე მინდა დაბოლოს ერთ გარემოებას შევეხო, ვინაიდან მე ვიცი, რომ ურწმუნო თომები სხვაფრივ რომ ვერ გააბათილებენ ჩემ მიერ მოყვანილ ციფრებს, ცნობებს და დასკვნებს, უთუოდ ამ გარემოებას წამოაჩხირებენ.

იტყვიან, შეუძლებელია ამ ორი ხანის შედარებაო. ბოლშევიკ-მენშევიკის დაპირისპირება გინდოდა, უნდა შეგედარებია მენშევიკური საქართველო ბოლშევიკურ რუსეთისათვისო. ჩემის აზრით კი სწორედ ასეთი შედარება დაუშვებელი და შეუძლებელია.

იმ დროის რუსეთი ცეცხლში იწვოდა. ჯერ კიდევ მსოფლიო ომის საშინელება არ იყო გათავებული, რომ იქ დაიწყო თებერვლის რევოლიუცია. მე არ ვიტყვი, რაღა თქმა უნდა, რომ საქართველომ „ფოსტით მიიღო" პეტროგრადიდან რევოლიუციათ: ქართველ მშრომელს არა ერთი მსხვერპლი შეუწირავს განთავისუფლების საქმისთვის, მაგრამ თებერვალ-მარტის და მათი მიმყოლი დღეები მას მაინც არ განუცდია. ამას იქ მოყვა ოქტომბრის რევოლიუცია და სამოქალაქო ომი, ნამდვილი სამოქალაქო ომი, და არა ის „ანარქია" რომელზეც ჩვენ ზევით ჟორდანია გველაპარაკებოდა. ამას იქ ზედ დაერთო სამხედრო ინტერვენცია. იმ დროს, როდესაც ჩვენში ევროპის ჯარები „მეგობრულად" შემოდიოდენ, იქ ისინი თოფ-ზარბაზნებს აღრიალებდენ. შიგ რუსეთში მოსკოვს ოთხ მხრიდან აწვებოდენ და რუსეთის მეფის ღენერლების ქუსლის ქვეშ ყოველივე ნადგურდებოდა. იქ სოფლებს და ქალაქებს სწვავდენ და ანგრევდენ. ღენერლებს წინ სახრჩობელა მიუძღოდა (ამას სიტყვის „გასალამაზებლად" როდი ვამბობ) და მასზე აღრჩობდენ „ურჩ" მუშებს და გლეხებს. ეს კიდევ ცოტაა. შიგ რუსეთში იდგა ჩეხელ-ლეგიონერების მთელი კორპუსი, რომელიც ცეცხლითა და მახვილით უსწორდებოდა რუსის მშრომელს, რუსის „სოციალისტების" კარნახით და საფრანგეთის ფულებით. მხოლოდ „სასწაულს" შეეძლო მოსკოვი გადაერჩინა და ოქტომბერი არ ჩაეშალა. და ეს „სასწაული" მოახდინა მშიერ მწყურვალმა, შიშველ-ტიტველმა მშრომელებმა. ასე რომ ისედაც ჩამორჩენილმა, იმპერიალისტურ ომში გაპარტახებულმა, რუსეთმა გადაიტანა შინაურ-გარეული სამოქალაქო ომი. გავიხსენოთ: რუსეთიდან გამოქცეული ყოველი ჯურის კონტრრევოლიუციონერი საქართველოში მორბოდა, და აქ „სამოთხეს" ნახულობდა. ჩვენ დენიკინელებს ვაპურებდით, ფულად ვეხმარებოდით და ისე უგზავნიდით. ამის შესახებ ჩვენ შეგვიძლია ევგენი გეგეჭკორი და გენ. მაზნიაშვილი აგველაპარაკებინა. მაგრამ ფაქტი ის არის, რომ ამ დროს რუსეთში ჩირაღდანი იყო, იქ სისხლის ზღვა იდგა, ომმა, ომებმა იქ ყველაფერი გაანადგურეს, აქ კი, საქართველოში კი?...

დაირღვა, დაიშალა, კავკასიის ფრონტი. ამ ფრონტის ცენტრი, მისი ზურგი თბილისში იყო. ფრონტს დიდი მარაგი ჰქონდა. ქალაქთა კავშირის, ერობათა კავშირის საწყობები, ეს რაღაც უცნაური სანახაობა იყო:, მიუმატეთ წითელი ჯვრის საწყობები. ეს მარაგი საქართველოს ორი სამი წელი ეყოფოდა. და თუ ჩვენ ამის გარდა მოვიგონებთ ნავთლუღის „ნივთთა საწყობებს" (вещевые склады) რომელთაც ქალაქის ერთი უბანი ეკავათ, სადაც ნივთები გადაჰქონ-გადმოჰქონდათ, იქვე დაგებულ რელსებზე მოსრიალე [illegible] და სადაც საწყობების თაროები ვეღარ იმაგრებდენ ნივთებს—თუ ჩვენ ამას მოვიგონებთ, ჩვენთვის ცხადი იქნება, რომ საქართველოს შეეძლო თავი შეენახა რამდენიმე წლით. თუ ევროპას ალყა შემორტყმული ჰყავდა რუსეთი და მას ეომებოდა ჩვენ ღია გვქონდა კარები ევროპისაკენ 1918 წლის მიწურულიდან.

იტყვიან, ჩვენ აქ ვეომებოდით პატარა საქართველოს მასშტაბით, ომი კი არა რაღაც ომისებური „გამოსვლები" იყო. მეორე,—რაც უმთავრესია—ვინ იყო ამაში დამნაშავე? მე, რასაკვირველია, არ დავდებ ამაში ბრალს მარტო საქართველოს: აქ ერთი მეორეს ეომებოდენ სომხეთის დაშნაკი, ადერბეიჯანის დაშნაკი და საქართველოს დაშნაკი. მენშევიკების ეს სახელწოდება მე არ გამომიგონია. პარიზში ირაკლი წერეთელმა ამ სახელით მონათლა ნოე რამიშვილი. მე მხოლოდ ნოე რამიშვილიდან ეს სახელწოდება მის ამხანაგებზედაც გადამაქვს.

რატომ ვომობდით და რატომ მოხდა და ხდება, რომ დღეს ასეთ ომებს ადგილი აღარ აქვს? იმის დასამტკიცებლად, რომ მაშინ ომობდენ დაშნაკები და არა მშრომელები, საკმარისი არ არის იმ ფაქტის მოყვანა, რომ საბჭოთა ხელისუფლება, მუშურ-გლეხურ ხელისუფლება ჯარების მაგიერ 1924 წლის აპრილში აგზავნის სომხეთში სამეცნიერო ექსპედიციის პროფესორ ჩუბინაშვილის მეთაურობით?

მაშასადამე, მენშევიკური ხანის და მაშინდელი ბოლშევიკური რუსეთის შედარება მართლაც შეუძლებელია, მათი სულ სხვადასხვა მდგომარეობის გამო.

იტყვიან, ცოტა გვქონდა და მეტის გაკეთება შეუძლებელი იყოვო. მაგრამ საქმე დროში კი არ არის და მეტ ნაკლებობაში. მე ხაზგასმით აღვნიშნავდი და ციფრები მომყავდა იმ გარემოების დასამტკიცებლად, რომ მენშევიკურ ხანას ახასიათებს დაღმასვლის ტენდენცია. 17 წელი 18-ს სჯობნის, 19-ტი 18-ზე უარესია; 20-ში 19-ს შევნატროდით და 21-ის დასაწყისში, 20-ს წყევლა-კრულვით ვიხსენიებდით და თან მას მაინც ვამჯობინებდით ახალ წელს. სულ ასე მივგორავდით უფსკრულისაკენ.

ჩვენ დავმარცხდით არა იმიტომ, რომ ვინმემ დაგვამარცხა. ჩვენ დავმარცხდით იმიტომ რომ ჩვენ ოქტომბერს ზურგი შევაქციეთ და იმისი დამარცხება მოვინდომეთ.

ჩვენ დავმარცხდით იმიტომ, რომ მეფის დროის რუსეთთან ერთად ვიყავით და ავტონომისტებსაც კი რეაქციონერებად ვნათლავდით, პროლეტარულ რუსეთს, ოქტომბრის რუსეთს კი ჩამოვშორდით. ამან დასცა მენშევიკური საქართველო.

ივ. კაპუხაშვილი.

---

*) იხ. „კომუნისტი" №№ 25 და 26.

*) მენშევიკების დროს ასეთი დაწესებულება და ასეთი გამოცემა არნახული ხილი იყო.

საბჭოთა არჩევნები დაიწყო

საშეფო მუშაობა და არჩევნები

ჩვენ ხშირად ვლაპარაკობთ მუშებისა და გლეხკაცობის მჭიდრო კავშირზე. ვამბობთ, ამ კავშირს საქმიანი ხასიათი უნდა ჰქონდეს. ამასთან დაკავშირებით ზედმეტი არ იქნება დაისვას საკითხი, რაში გამოიხატება მუშების მონაწილეობა სოფლის საარჩევნო კამპანიაში, რამდენად აქტიურია აქ ჩვენი შეფები?

ამაზე ბევრ შემთხვევაში უარყოფითი პასუხის გაცემა მოგვიხდება. საშეფო კომისიები ბევრგან არჩევნების საქმეში სოფლად არა თუ რაიმე აქტიურობას არ იჩენენ, პირიქით, სრულიად მუნჯათ ხვდებიან ამ კამპანიას. ხშირათ ისმის საყვედური სოფლებიდან — შეფმა დაგვივიწყა, შეფი არ ასრულებს დაპირებას და სხვა. თუ ასეთი გულგრილობა თავის მოვალეობისადმი კიდევ რამდენადმე მოსათმენია ჩვეულებრივ დროს, ეს დაუშვებელია მაშინ, როცა სოფლად მიმდინარეობს ასეთი დიდი მნიშვნელობის კამპანია, როგორიცაა საბჭოთა არჩევნები.

საშეფო კომისიებმა ეს ნაკლი აქედანვე უნდა გამოასწორონ. საჭიროა მისვლა საშეფო სოფელში. საარჩევნო კამპანიის მსვლელობაში აქტიურად ჩარევა. ღარიბ გლეხთა კრებებზე დასწრება, საჭირბოროტო მიმდინარე კითხვების გადაჭრაში ცოცხალი მონაწილეობის მიღება და სხვ. შეფი ამ კითხვებში უფრო კარგათ გაერკვევა.

გარდა ამისა ამხანაგების მისვლა ფაბრიკა - ქარხნებიდან გააძლიერებს ინტერესს არჩევნებისადმი, მეტ სიცოცხლეს და ხალისს შეიტანს მასში. ეს ხელს შეუწყობს აგრეთვე ღარიბ გლეხკაცობის აქტივობის ზრდასაც.

ჩვენი საშეფო კომისიები სამწუხაროთ ამას არ უწევენ სათანადო ანგარიშს. რაც ადრე მოეღება ბოლო ამ არანორმალობას, მით უკეთესია საბჭოთა კამპანიის ნორმალური მსვლელობისათვის და მუშებისა და გლეხების კავშირის განმტკიცებისათვის.

რ. ბ—ნი.

როგორ წარმოებს არჩევნები თბილისში

გუშინ არჩევნები ჩატარდა

ცეკავშირის სტამბაში

დღის სამ საათზე ცეკავშირის სტამბის წითელ კუთხეში იხსნება სტამბის მუშა-მოსამსახურეთა საარჩევნო კრება. წაკითხული იქნა ნაკაზი ქართულ და რუსულ ენებზე, რის შემდეგ კრებაზე გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა ნაკაზისათვის დასამატებელ მუხლების შესახებ.

მუშები სჩივიან: ვერ იყო მოგვარებული სასკოლო საქმე და ბევრი ბავშვი სასწავლებელს გარეთ დაგვირჩა, უნდა მოგვარდეს ქუჩებში მოძრაობა, ბევრი ხალხი ეწირება მსხვერპლად ქუჩებში მოძრაობის მოუწესრიგებლობას, საჭირო არის საავადმყოფოების ქსელის გაფართოება, საჭირო არის განაპირა უბნებში ქვა-ფენილების მოგება და სხვ.



ამხ. სერგო ბიბილაშვილი
პარტიის წევრი, ასოთ-ამწყობი 21 წ. სტაჟით.

ყველა შემოტანილი წინადადებები და დამატებები მიღებულ იქნა და დაემატა ნაკაზს. დასასრულ კრება შეუდგა საბჭოს დეპუტატის არჩევას. ხმების უმრავლესობით საბჭოს დეპუტატად გაიდა ამხ. სერგო ბიბილაშვილი (კომუნისტი, სტამბის ძველი მუშა).

ნდობის გამოცხადებისათვის ახალმა დეპუტატმა სიტყვით მიმართა კრებას, რომელშიაც აღუთქვა ამხანაგებს, რომ შეეცდება პირნათლად შეასრულოს მისთვის დაკისრებული მოვალეობა.

ცხენთსაშენში

გუშინ დაიწყო არჩევნები მეორე რაიონში.

დღის 3 საათზე შესდგა მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატის ცხენთსაშენების, ცენტრალური საწყობის და სასოფლო - სამეურნეო სკოლის მუშა-მოსამსახურეთა გაერთიანებული კრება. დაესწრო ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 80 პროც., დიასახლისები—35 პროც.

კრებამ მოისმინა საარჩევნო ინსტრუქცია, რის შემდეგ შეუდგა არჩევნებს. დეპუტატათ საბჭოში ერთხმად არჩეული იქნა ამხ. ალექსანდრე კენგიშვილი (პარტიის წევრი).

ამხ. კენგიშვილი ცხენთსაშენის მუშა-მოსამსახურეთა ადგილკომის თავმჯდომარეა.

პოლიგრაფიულ სკოლაში

დღის 3 საათზე მუშებმა თავი მოიყარეს სტამბის შენობის დიდ დარბაზში და კრების გახსნის მოლოდინში მსჯელობდნენ, თუ ვინ გაეყვანათ საბჭოს დეპუტატათ, ვინ უფრო უნარიანი გამოდგებოდა და სხ. ცოტა ხნის შემდეგ დარბაზში შემოდის საარჩევნო კომისია და კრებაც იხსნება.

წაიკითხეს ნაკაზი ქართულად და რუსულად. ნაკაზის წაკითხვის შემდეგ მუშები გამოვიდენ მრავალი შესწორებებით და დამატებებით, ტრამვაის მოძრაობის, ბიუროკრატიზმის მოსპობის, სადგურზე შემჩნეული უწესრიგობის, ქუჩების მოკირწყვლის და სხვათა შესახებ.

მეტად საქმიანი და შინაარსიანი სიტყვებით გამოვიდენ ასოთ-ამწყობნი ამხ. გიორგაძე და ამხ. შირიაევი.

საბჭოს დეპუტატებათ წარმოდგენილ იქნა 10 კანდიდატურა. მათ შორის ერთხმად იქნა არჩეული ამხ. სამოილოვი (კომუნისტი) და ამხ. გიორგაძე (კომპარტიის კანდიდატი).

რუსთაველის თეატრის ელსადგურში

ელექტრო-სადგურის დასასვენებელ დარბაზში თავის მოყრა დაიწყეს ელსადგურის მუშა-მოსამსახურეებმა და მათი ოჯახის წევრებმა.



ამხ. იოსებ ბაზინოვი
პარტიის წევრი, ხარატი 21 წლის სტაჟით.

ნაკაზში შეტანილ იქნა შემდეგი დამატებანი და შესწორებანი: გაფართოებულ იქნეს საბინაო მშენებლობა, მოხდის კეთილ სახლების გადაცემა საბინაო ამხანაგობისათვის, ყურადღება მიექცეს, რომ ქუჩებს არ ჰგავდენ უდროო-დროს და სხ.

საბჭოს დეპუტატად ხმის უმრავლესობით გაყვანილი იქნა ამხ. ბაზანოვი.

კრებას დაესწრო 30 მუშაზე მეტი.

ავტო - კლუბში

საღამოს 6 საათზე ავტო-კლუბში შესდგა თბილისის ერთეულ შოფერების კრება, რომელსაც დაესწრო 210 კაცი. ასარჩევი იყო ოთხი დეპუტატი.

ინსტრუქციის გაცნობის შემდეგ კრებამ საბჭოში ერთხმად აირჩია ამხ. სტეპანოვი — უპარტიო, (ჯკის წევრი, ამხ. ლებანიძე — პარტიის წევრი, ამხ. ბაინდუროვი — კომკავშირის წევრი და ამხ. კრონტალი — პარტიის წევრი.

არჩევნების შემდეგ კრებამ განიხილა და მიიღო ნაკაზი.

სად შესდგება დღეს არჩევნები

1) სახალხო კომისართა საბჭოში—კომისარიატის მუშა-მოსამსახურეებისათვის, დღის ორ ნახევარ საათზე.

2) პოლიგრაფიული ტრესტის მესამე სტამბაში—სტამბის მუშა-მოსამსახურეებისათვის და მათი ოჯახის წევრთათვის, —დღის 3 ს.

მეორე რაიონში

დღეს არჩევნები მოხდება მეაბრეშუმეობის სადგურში, საზ-ბა „მწყემსში", „საქართველოს სატყეო მრეწველობის ქარხანაში და „ზაკპოგრუზ"-ის საბაჟო განყოფილებაში.

პირველ რაიონში

დღეს იწყება არჩევნები პირველ რაიონში.

დღის 2 საათზე პლეხანოვის სახელობის კლუბში შესდგება სადგურ თბილისის მოძრაობის დარგის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება.

დღესვე 2 საათზე ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის კლუბში შესდგება საქონლის სადგურის მუშების კრება.

ლენინის რაიონის მუშებს და მათ ოჯახების წევრებს

ძვირფასო ამხანაგებო! ჩვენი რაიონის მუშებმა არა ერთხელ დაამტკიცეს თავისი თავდადება მუშათა კლასის საქმისათვის.

უკვე ათეული წლების განმავლობაში ლენინის რაიონი ითვლება თბილისის და საქართველოს პროლეტარიატის ავანგარდათ.

ყოველთვის წინა რიგებში, ყოველთვის მებრძოლთა სადარაჯოზე —აი რით განირჩეოდა ლენინის რაიონი დღემდე. ამისათვის ამხანაგებო, ნუ დავივიწყებთ, რომ 4 თებერვალს ლენინის რაიონში იწყება საბჭოთა არჩევნები.

ყველანი გამოცხადდით არჩევნებზე. არ დარჩეთ სახლში ცოლებო და ოჯახის წევრებო, იცოდეთ, რომ თქვენი დასწრება არჩევნებზე დიდათ საჭიროა.

ყველანი არჩევნებზე, ჩვეულებრივი სიმტკიცით და ალფრთოვანებით. საქართველოს პროლეტარიატის ავანგარდის სახელწოდება ამას თქვენ გავალებთ.

ამხანაგური სალამით ლენინის რაიონის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე
ლადო ქავთარაძე.

ეკუთვნის ხ/ა თუ არა ნარეკლიშვილს

საარჩევნო მუშაობა კარგად მიმდინარეობს, მხოლოდ მათ ხელს უშლის ის, რომ ინსტრუქციის ზოგიერთ კითხვებში ვერ არიან კარგად გარკვეულნი. აი ერთი ამისთანა მაგალითი: ყანდარაულისავე თემში შედის რუსების სოფელი ახ. ბოგდანოვკა, სადაც 3—4 ქართველი კომლის გარდა სულ რუსები სცხოვრობენ. ერთი მათგანი, მოქ. ვასო ნარეკლიშვილი არის ყოფ. პოლიციელი. მიუხედავათ იმისა, რომ იგი უკვე 1909 წ. დაუთხოვნიათ სამსახურიდან და იმის შემდეგ თავის მეურნეობაში მუშაობს, ბოგდანოვკის სასოფლო საარჩევნო კომისიას იგი შეუტანია „შავ სიაში", და არ უწევენ ანგარიშს იმას, რომ იგი არის მეურნე გლეხი და ცუდი მას არაფერი ჩაუდენია არამც თუ უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში, არამედ 1909 წლიდან. ახლა კი ამ მოქალაქეს მოუხდება დიდი წვალება და ვაება, რომ მან ხმის უფლება აღიდგინოს. ამისთანა მაგალითი არის თვითონ ყანდარაულშიაც.

აი სწორეთ აქ არის საჭირო, რომ საარჩევნო კომისია ამა თუ იმ პიროვნების დახასიათებას მიუდგეს დიდი სიფრთხილით და არ ჩაიდინოს რაიმე შეცდომა.

რაც შეეხება თვითონ კომისიას, მასში შედიან როგორც მიწა-ტყის კავშირის წარმომადგენლები, აგრეთვე კომკავშირის წარმომადგენელი, ქალთა წარმომადგენელიც და სხვა. ამ დიადი საქმის დროს საჭიროა კ. პარტიამ და კ. კავშირმა დიდი აქტიური მონაწილეობა მიიღონ და ჩააბან ამ საქმეში მთელი ღარიბი და საშუალო მოსახლეობა, რომ არ შეგვეპაროს საბჭოში არა საიმედო პიროვნება და სოფლის საქმიანობა უკუღმა არ წაიყვანოს. მეტი ენერგია, მეტი აქტივობა და თანაც მეტი სიფრთხილეა საჭირო, რომ წრევანდელი არჩევნები ჩატარდეს ისე, როგორც ამას მოითხოვს საბჭოთა ხელისუფლების ინტერესები

დათიკო.

არჩევნები ადგილებზე

საარჩევნო მზადება აჭარისტანში

(საუბარი აჭარისტანის შინაგან საქმეთა სახ. კომისართან ამხ. ბრეგაძესთან)

ბათომი, 3 თებერვალი. ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში აჭარისტანის შინაგან საქმეთა სახ. კომისარმა ამხ. ბრეგაძემ წინასწარი საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობის შესახებ განაცხადა:

— 5 იანვრიდან ცენტრალური საარჩევნო კომისია შეუდგა სამაზრო, სათემო და საქალაქო აღმასკომებისათვის ახალ ინსტრუქციების და საარჩევნო სქემების დაგზავნას. აჭარისტანში სასოფლო საბჭოები შეცვლილი იქნება სათემო საბჭოებით. სათემო საბჭოებში დეპუტატები უნდა იქნეს თვითეულ სოფლიდან. მიმდინარე წელს არჩევნების მეთოდი უზრუნველჰყოფს საბჭოებში მუშების გაყვანას. უკანასკნელნი 35-დან 100 ამომრჩეველზე ირჩევენ ერთ დეპუტატს, ორგანიზაციულად დაურაზმავი მოქალაქენი და ხელოსნები კი თითო დეპუტატს ირჩევენ საარჩევნო კრებებზე.

უკვე დამთავრებულია ამომრჩეველთა სიების და აგრეთვე „შავი სიების" შედგენა. მიმდინარე წელს ინსტრუქციაში გარკვევით ჩამოთვლილია ის პირები, რომელთაც არა აქვთ არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება.

ამჟამათ სწარმოებს საანგარიშო კამპანია, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. აღმასკომები ანგარიშს აბარებენ ამომრჩეველთა ფართე კრებებს.

აჭარისტანში არჩევნები დაიწყება 10 თებერვალს და დამთავრდება 1 მარტს საბჭოების სამაზრო ყრილობები 10 მარტამდე გაგრძელდება. აჭარისტანის გასაბჭოების წლის თავზე 18 მარტს მოწვეულ იქნება სრულიად აჭარის საბჭოების ყრილობა, რომლის მუშაობა გაგრძელდება 22 მარტამდე.

წარსული წლის არჩევნების გამოცდილებამ გაადიდა ღარიბ გლეხობის აქტივობა. სოფლის ღარიბი მოსახლეობა დიდის ინტერესით ხვდება წინასწარ საარჩევნო კამპანიას.

სოფლის მოსახლეობის შეძლებული ფენები, რასაკვირველია, ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ მოხვდენ საარჩევნო კომისიებში. იყო შემთხვევები, როცა კულაკები პროვოკაციას მიმართავდენ ამა თუ იმ მუშაკისათვის სახელის გატეხის მიზნით, მაგრამ ღარიბ და საშუალო გლეხობის სიფხიზლის მეოხებით ყველა მათი ცდები უშედეგოთ თავდება. დაკვირვებით შედგენილი და შემოწმებული „შავი სიები" კი საშუალებას მოგვცემს განმარტოებული დავსტოვოთ კულაკები. (ადს).

ახალმა საბჭომ უნდა გამოასწოროს

ამ ბოლო ხანს ქურდები ამოძრავდენ: არ უშვებენ სოფლათ ცხენებს, მანდარინის, ლიმონის და სხვა ტროპიკულ მცენარეების ნერგებს. ქურდები სთხრიან ნამყენებს და ჰყიდიან.

გარდა ამისა ამავე თემში ხშირია შემთხვევა, როდესაც ძალდატანებით სურთ ოჯახიდან ქალის გატაცება. ესხმიან თავს ოჯახს. არის ერთი სროლა და აურზაური და შემდეგ წივილ-კივილით მიჰყავთ ქალი. ეს არამზადები ატუსაღებენ ქალის მახლობელ მეზობლებს, რომლებიც მათ წინააღმდეგობას უწევენ. მშობლებს კი ცემით უმასპინძლდებიან. ყოველივე ამას კი ვერ აქვს სათანადო ყურადღება მიპყრობილი. საჭიროა ახალმა საბჭომ მეტი ყურადღება მიაქციოს ხსენებულ უმსგავსოებას და გამოასწოროს ჩვენი კუთხის ეს უდიდესი ნაკლი.

ი. გორდელაძე.

„ნუ მიჭქარავთ"

მოსკოვში არის ასეთი დაწესებულება: ცხიმ-ზეთის სინდიკატი («Масложирсиндикат»). ეს დაწესებულება იმდენად ბედნიერია, რომ იგი არსებობს პროლეტარული რევოლიუციის მეათე წელში. კომპარტია და საბჭოთა ხელისუფლება ატარებს პროლეტარულ, ლენინურ ეროვნულ პოლიტიკას. ეს გარემოება თურმე არავითარ როლს არ თამაშობს ცხიმ-ზეთის სინდიკატისათვის. შეუპოვარი ბიუროკრატი, თუმცაღა კომუნისტურ სამოსში, რომელიც დღემდე ზის ცხიმ-ზეთის სინდიკატში, ფიქრობს, რომ ამიერ-კავკასიას კიდევ შეიძლება მოეპყრო, როგორც „კოლონიას". ცხიმ-ზეთის სინდიკატისათვის **არავითარი მნიშვნელობა არ აქვს** ამიერ-კავკასიის უმაღლესი პარტიული და საბჭოთა ორგანოების გადაწყვეტილებას. ცხიმ-ზეთის სინდიკატს მოუვიდა აზრათ ამიერ - კავკასიის კანტორის ცენტრის თბილისიდან ბაქოში გადატანა.

ცხიმ-ზეთის სინდიკატმა გადასწყვიტა ცენტრის გადატანა **მომჭირნეობის** მოსაზრებით. დაუშვათ, რომ ეს ასეა. მაგრამ არსებობს წესი, რომელიც მას ავალებს, რომ ასეთი საკითხები შეუთანხმოს ამიერ-კავკასიის ხელმძღვანელ ორგანოებს. აქედან იწყება ისტორია:

1. ცხიმ-ზეთის სინდიკატი, ამიერ-კავკასიის ორგანიზაციებთან შეუთანხმებლად. სცემს ბრძანებას ცენტრის ბაქოში გადატანის შესახებ.

2. ამიერკავკასიის ხელმძღვანელი ორგანოები. მათ შორის საკავშირო კომპარტიის ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტი ამის წინააღმდეგი არიან და სათანადო დეპეშას გზავნიან მოსკოვში.

3. მიუხედავად ამისა, დირექტივას მოსკოვიდან იღებს თბილისის (ამიერ-კავკასიის) განყოფილების გამგე. ამიერ-კავკასიის ხელმძღვანელი ორგანიზაციები ადასტურებენ თავიანთ გადაწყვეტილებას.

4. მიუხედავად უმაღლესი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების გადაწყვეტილებისა, ცხიმ-ზეთის სინდიკატი თავისი ხაზით კვლავ სცემს ბრძანებას და მოითხოვს თავისი განკარგულების შესრულებას.

5. თბილისის განყოფილების გამგე სწერს დეპეშას: „**ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტისა** და ამიერ-კავკასიის მომწესრიგებელ ორგანოების **დირექტივების** თანახმად, თავს ვიჭერ თქვენი დირექტივების შესრულებისაგან... ველი თქვენს შემდგომ დირექტივებს".

რა პასუხს იძლევა ცხიმ-ზეთის სინდიკატი დეპეშაზე, რომელშიაც ლაპარაკია **ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის და ამიერ-კავკასიის მომწესრიგებელი ორგანოების დირექტივებზე.**

6. ბიუროკრატები ცხიმ-ზეთის სინდიკატიდან უპასუხებენ: „ნუ მიჭქარავთ! მოვითხოვთ სისწორით შეასრულოთ ჩვენი განკარგულება კანტორის რეორგანიზაციის შესახებ. (ხაზი ჩვენია. რ.). განკარგულებისადმი დაუმორჩილებლობა პასუხისმგებლობას გაკისრებთ სასამართლოს წესით. თუ არ გსურთ დამორჩილება, შეგიძლიათ მიატოვოთ მუშაობა. 11447. სუჩკოვი. ელიზაროვი".

საიდანაა დეპეშის ასეთი თავხედური ტონი. პირდაპირ ისეთია, რომ თითქოს ჩემბერლენი სწერს დეპეშას თავის ჩინეთის კოლონიაში. ობიექტიურად ასე გამოდის: რის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის და ამიერ-კავკასიის მომწესრიგებელი ორგანიზაციების დირექტივები—რას მიჭქარავთ!!..

7. საქმე ამით არ თავდება. ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი აღნიშნავს დეპეშის უკადრის ტონს და საქმეს გადასცემს საკავშირო კომპარტიის ცენტრალურ საკონტროლო კომისიას.

ამიერ-კავკასიის ეკონომიური საბჭო ადასტურებს ცენტრის თბილისში დატოვების აუცილებლობას.

ცხიმ-ზეთის სინდიკატი კი თავისას გაიძახის. იგი, ამიერ-კავკასიის ზოგიერთი ცხოველების მაგვარ ჯიუტობით დეპეშას დეპეშაზე აგზავნის: „...კატეგორიულად გაძლევთ წინადადებას მოახდინოთ რეორგანიზაცია..."

ასეთი უმნიშვნელო საკითხის გამო დაწერილია უკვე რამოდენიმე ათეული დეპეშა, შეიქნა დიდი საქმე და საქმე კვლავ გაიზრდება ცხიმ-ზეთის სინდიკატის ბიუროკრატიული ჯიუტობის პროპორციით.

ცხიმ-ზეთის სინდიკატის საკითხი, ბიუროკრატიული გადამახინჯების საკითხის გარდა, საინტერესოა ეროვნული მომენტის თვალსაზრისით. „ნუ მიჭქარავთ!"—ეს კლასიკური ფორმულაა იმ ხალხისათვის, რომელნიც „ველიკოდერჟავნიკული" სულისკვეთების სენით არიან შეპყრობილი. ცხიმ-ზეთის ქარხნის სინდიკატის დეპეშა—ეს არის სურათი **ძველი ჩინოვნიკის—ბიუროკრატისა,** რომელიც დაჩვეულია „განაპირა ქვეყნებს" უყუროს ისე, როგორც თავის კოლონიას.

ჩვენ გვგონია, რომ ცხიმ-ზეთის სინდიკატის ხელები ძალიან მოკლეა იმისათვის, რომ მათ შეეძლოთ ჩვენი ეროვნული პოლიტიკის საქმე მიაბრუნოს ფორმულისაკენ: „ნუ მიჭქარავთ!" მე პირადათ ვშიშობ, რომ ცხიმ-ზეთის სინდიკატი მართლაც მეტად არასასიამოვნო ფაქტის წინაშე შეიძლება დადგეს. ყოველ შემთხვევაში, ამიერ-კავკასიის კაკალს ისე გატეხას, როგორც ცხიმ-ზეთის სინდიკატი ფიქრობს, ვერავინ შესძლებს. მაგრამ, რომ კბილებს მოიტეხენ ეს კი მართალია. შეიძლება თავიც დაზიანდეს.

რუბენ.

საბინაო მშენებლობა

საქ. საგეგმო კომისიამ ამიერ-კავკასიის საგეგმო კომისიას დასამტკიცებლად წარუდგინა საბინაო მშენებლობის ხუთწლიანი გეგმა. საქართველოს ყველა ქალაქებში 1927 წლის 1-ლ იანვრისათვის აღრიცხული იყო 556.000 მცხოვრები. ამავე ქალაქებში აღრიცხულია 6.328.000 კვადრ. არშინი საცხოვრებელი არე, რაც ქალაქის თვითეულ მოსახლეზე შეადგენს 11,36 კვ. არშინს. კერძოდ, თბილისში ყოველ სულზე მოდის 11,4 კვ. არშინი. თუ თვითეულ სულზე ნორმათ 20 კვადრ. არშინს ჩავთვლით, საბინაო არეს დეფიციტი საქ. ქალაქებში უდრის 4.800.000 კვადრ. არშინს. მარტო თბილისში ნორმას აკლია 2.240.000 კვ. არშ. თუ მცხოვრებთა ყოველწლიურ მომატებას 4 პროცენტს ვიანგარიშებთ და მივიღებთ მხედველობაში საბინაო არეს ყოველწლიურ შემცირებას სახლების დაძველების გამო, საგეგმო კომისიის გამოანგარიშებით, საქართველოში ხუთი წლის განმავლობაში აგებული უნდა იქნეს 7.053.000 კვ. არშინი იმ მიზნით, რომ საბინაო არე მიყვანილ იქნეს ნორმამდე.

ზემოხსენებულ საბინაო არეს მოსაწყობად საჭიროა 313.481.600 მანეთი. ვინაიდან შეუძლებელია ამ საჭიროების დაკმაყოფილება, საგეგმო კომისიამ საბინაო მშენებლობის გეგმას საფუძვლად დაუდო რეალური ფინანსიური შესაძლებლობანი. არსებული კანონმდებლობის მიხედვით, საბინაო მშენებლობის მთავარ მონაწილეებს წარმოადგენენ: სახელმწიფო ორგანოები, აღმასკომები, ტრანსპორტი, კოოპერაცია და ინდივიდუალური მშენებლები. ამ ორგანოებმა და კერძო მშენებლებმა საქართველოს გასაბჭოებიდან უკანასკნელ დრომდე საბინაო მშენებლობაზე დახარჯეს 3 მილიონ მანეთზე მეტი.. ამ თანხიდან აღმასკომს დაუხარჯავს 42 პროცენტი, კოოპერაციას—28,7 პროცენტი, ტრანსპორტს—11,9 პროცენტი, კერძო პირებს—10.1 პროცენტი, სამეურნეო ორგანოებს—7,3 პროცენტი. საბინაო მშენებლობა ზემოხსენებულ ორგანოების მიერ უნდა სწარმოებდეს იმავე პროცენტული შეფარდებით. საგეგმო კომისიის გამოანგარიშებით ხუთი წლის განმავლობაში შეიძლება შეგროვდეს საბინაო მშენებლობისათვის 21.880.000 მანეთი. ამ თანხის მიხედვით, ცენკომბანკისაგან მიღებული იქნება 51.690.000 მან. კრედიტი. ამგვარად საერთო ჯამი, რომელიც უნდა მოხმარდეს საბინაო მშენებლობას, მიაღწევს 73.570.000 მანეთს. ამ თანხით შეიძლება აშენდეს სულ 1.655.325 კვადრ. არშინი, რაც ამჟამად არსებულ ნორმას გაადიდებს მხოლოდ 0,3 კვადრ. არშინით.

აბრეშუმის პარკის დამზადება

(ამ.-კ. მ.-გ. ინსპექციის მასალებიდან)

ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციამ შეისწავლა აბრეშუმის პარკის დამზადების საკითხი; საკითხის შესწავლის შემდეგ მუშათა და გლეხთა ინსპექციამ ის აზრი გამოსთქვა, რომ ერთად-ერთ საექსპორტო ორგანიზაციათ მიჩნეული უნდა იქნეს ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველო.

1926—27 წელში დამამზადებელ ორგანიზაციებად მიჩნეულია: საქართველოში—„საქართველოს აბრეშუმი" და აფხაზეთის კოოპერატიული კავშირი, სომხეთში—„აიგიუხკოოპ" და აზერბეიჯანში—„კეიბირლიგი", „ნახიტიფაკი" და „კარაბტორგ"-ი. ამასთანავე, აბრეშუმის პარკის მოსავლის სისწორით გამოანგარიშების მიზნით, მუშათა და გლეხთა ინსპექციამ აუცილებლად სცნო წინადადება მისცეს ამიერ-კავკასიის შინავაჭრობის სახალხო კომისარიატს მოაგვაროს ფაქტიურად დარიგებულ თესლის აღრიცხვა; აღრიცხული უნდა იქნეს აგრეთვე ადგილობრივ დამზადებულ თესლის რაოდენობა. ამასთან ერთად სისწორით გამორკვეული უნდა იქნეს, თუ რამდენი პარკი სჭირდებათ ადგილობრივ სახელმწიფო მრეწველობას და შინამრეწველებს. დამზადების გეგმასთან ერთად შედგენილი უნდა იქნეს აბრეშუმის პარკის განაწილების მტკიცე გეგმაც.

შემდეგ მუშათა და გლეხთა ინსპექციამ აღნიშნა, რომ მკაცრმა ადმინისტრატიულმა ღონისძიებებმა, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ზოგან, ხელი შეუწყო აბრეშუმის პარკის დამზადების შესუსტებას; ამიტომ მომავალში ბაზრის მოწესრიგების სიმძიმის ცენტრი დამყარებული უნდა იქნეს ეკონომიურ ნიშნებზე.

ამის გამო წინადადება მიეცა ამიერ-კავკ. შინავაჭრობის სახალხო კომისარიატს, რომ არ დაუშვას ადგილებზე სახელმწიფო პოლიტიკის გადამახინჯება ბაზრის მოწესრიგების დარგში. ამავე დროს ამიერ-კავკასიის შინავაჭრობის სახალხო კომისარიატმა დაწვრილებით უნდა შეისწავლოს ხარჯების ყველა ელემენტები და უნდა გამოიმუშაოს უფრო სწორი კალკულაცია, რომლითაც უნდა იხელმძღვანელონ დამამზადებელმა ორგანიზაციებმა.

ქაღალდის ფაბრიკა საქართველოში

მილიონ ნახევარ მანეთის გადადება

მოსკოვი, 3 თებერვალი. საკავშირო სახკომსაბჭოს და შრომისა და თავდაცვის საბჭოს გაერთიანებულმა სხდომამ საჭიროდ სცნო ქაღალდის ფაბრიკის აგება საქართველოში. 1926—27 წელში სახელმწიფო ბიუჯეტიდან მუშაობის დასაწყებად გაცემული იქნება 1.500.000 მანეთი. ფაბრიკის აგება დაჯდება 10 მილ. მანეთი. ფაბრიკის დასრულების ვადა 2—3 წელიწადი. (ადს).

სად უნდა აშენდეს ქაღალდის ფაბრიკა

გუშინ, საღამოს 6 საათზე, ამხ. ს. ჯუღელის კაბინეტში, მისივე თავმჯდომარეობით, შესდგა სპეციალური თათბირი ქაღალდის ქარხნის ასაგები ადგილის გამოსარკვევად.

თათბირს დაესწრნენ ს. მ. უ. ს., მიწათ-მოქმ. სახ. კომისარიატის, აფხაზეთის ს. მ. ს, ხაჯევმო კომისიის და პარტპროფორგანიზაციების წარმომადგენელნი.

ქარხნის ასაგები ადგილის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. ავაქოვი, რომელიც შეეხო საქართველოში ქაღალდის ქარხნის აგების ორ ვარიანტს—ერთი ინგურის და მეორე ბზიბის. მომხსენებლის აზრით, მიღებული უნდა იქნეს ინგურზე ქარხნის აგების ვარიანტი, ვინაიდან ინგრ. ქარხანას ექნება მთელი რიგი უპირატესობანი ბზიბთან შედარებით. ჯერ ერთი მდ. ინგური უფრო ხელსაყრელია სატყეო მასალის გადასაზიდად, ვიდრე ბზიბი, მეორე—მუშა ხელი უფრო ეტანება ინგურის რაიონს და რკინის გზა უფრო ახლოს უდგება აქ ქარხნის ასაგებ ტერიტორიას.

მეორეს მხრივ, მომხსენებლის აზრით, ბზიბზე ქარხნის აგებასთან დაკავშირებულია მთელი რიგი ხარჯებისა, როგორც, მაგალითად, ახალი რკ. გზის გაყვანა, ნავთსადგურის აგება, მუშა ხელის შორი გზიდან მოყვანა და სხ. ყველა საჭირო ხარჯების გაწევა გამოიწვევს ბზიბის ქარხნის ნაწარმოების ღირებულების მომატებას 8 პროცენტით, ხოლო ამდენათვე უფრო იაფი იქნება ინგურის ქარხნის ნაწარმოები.

თანამოხსენებით ამავე საკითხის შესახებ გამოვიდა აფხაზეთის ს. მ. უ. ს. წარმომადგენელი ინჟ. იუშკინი (რომელსაც აღნიშნა ბზიბის ვარიანტის მიღების საჭიროება, ვინაიდან ყველა გაწეული ხარჯების დასაფარავათ შესაძლებელი გახდება ახალი საშემოსავლიანო წარმოებების მოწყობა ბზის დამუშავება და სხ.).

მოხსენებების გარშემო გამართულ კამათში ორატორების უმრავლესობა იცავდა ინგურის ვარიანტს და ამბობდენ, რომ ინგურის ქარხნის ნაწარმოები ბევრათ იაფი დაჯდება ბზიბის ქარხნის ნაწარმოებზე.

დასასრულ, თათბირზე არჩეულ იქნა სპეციალური კომისია, რომელსაც დაევალა ერთი კვირის განმავლობაში დაამუშაოს აღნიშნული საკითხი ყოველმხრივ და თავისი დასკვნები წარადგინოს მომავალ თათბირზე.

კომისიაში არჩეულ იქნენ: ამხ. ავაქოვი, ინჟ. იუშკინი, პროფ. ვინოგრადოვ-ნიკიტინი, პროფ. ქურდიანი, ინჟ. ვაწაძე, კაციტაძე, ზაკტრეგერი, ბაქრაძე, იაკუბოვიჩი, ალშიბაია, სამოილოვი.

ყრილობები და თათბირები

ა.-კ. სამალარიო ყრილობა

მეხუთე დღე.

წყალთა მეურნეობა ამიერ-კავკასიაში

3 თებერვლის დილის სხდომაზე ყრილობამ მოისმინა ა.-კ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს წარმომადგენლის ინჟ. ანდრონოვის მოხსენება ამიერ-კავკასიაში წყალთა მეურნეობის მდგომარეობის შესახებ.

მომხსენებელი ეხება ა.-კ. წყალთა სამმართველოს მუშაობას და აღნიშნავს, რომ მორწყვის სივრცე უკვე გაიზარდა ომამდე არსებულ რაოდენობამდე. ამჟამად აზერბეიჯანში ირწყვება 850.000 დესეტინა, ხოლო სომხეთში და საქართველოში 75.000 დესეტინა მიწა.

შემდეგ მომხსენებელი ეხება ა.-კ. წყალთა სამმართველოს მუშაობის პერსპექტივებს და ამბობს, რომ მთელ რიგ ჭაობიდან რაიონებში მიმდინარე წლის განმავლობაში განზრახულია ახალ საირრიგაციო სამუშაოთა დაწყება.

ინჟ. ანდრონოვის მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, სადაც ორატორები უთითებდენ ა.-კ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს მუშაობის სუსტ მხარეებზე, განსაკუთრებით სანიტარული თვალსაზრისით, და აღნიშნავდენ, რომ ამ ხაზით მომავალში საჭირო იქნება შემჩნეულ დეფექტების გამოსწორება.

კამათის შემდეგ მოსმენილ იქნა ორი მოხსენება საქართველოში წყალთა ფაქტორების მალარიის გავრცელებაზე გავლენის შესახებ. მომხსენებლებათ აღნიშნულ საკითხზე გამოვიდენ ექ. ხარაზაშვილი და ექ. ვარაზაშვილი.

საღამოს სხდომა.

ყრილობის საღამოს სხდომაზე მეტად ვრცელი და დასაბუთებული მოხსენებით გამოვიდა საქ. ტროპიკ. ინსტიტ. გამგე ექ. მარუაშვილი. მომხსენებელი შეეხო მალარიის გავრცელებასთან დაკავშირებით გადასახლების საკითხს საქართველოში. ორატორი ისტორიული მასალებით ამტკიცებს რომ საქართველოში მალარია მძვინვარებდა ჯერ კიდევ -1ლ საუკუნეში და ამჟამად გადასახლების საქმე ვერ მოგვარდება ჯეროვანათ, თუ მალარიასთან ბრძოლის საქმე არ იქნა დაყენებული ჯეროვან ნიადაგზე.

ორატორის ცნობით ამჟამად საქართველოში ირიცხება 449.562 მოქალაქე, რომელთაც აკლიათ მიწის ნორმა და რომლებიც გადასახლებულ უნდა იქნან ახალ ადგილებზე. ხოლო რესპუბლიკაში კი მათი დასატევი მიწის მარაგი არ მოიპოვება,—არის მხოლოთ ჭაობიანი და ციებ-ცხელებიანი ადგილები. ამიტომ, მომხსენებლის აზრით ხალხის დასასახლებელ ადგილას უწინ უნდა გაიგზავნოს სამეცნიერო ექსპედიცია, სანიტარულ-ტოპოგრაფიული პირობების შესასწავლათ და შემდეგ მთელი რიგი სანიტარული ხასიათის ზომების მიღების შემდეგ მოხდეს გლეხების დასახლება განზრახულ ადგილას.

ორატორი წინადადებას იძლევა შეიქმნას შერეული კომისია ამ საკითხის შესასწავლათ.

მოხსენების დასრულების შემდეგ მოხსენებებით გამოდიან ზუგდიდის ტროპ. სადგურის გამგე—ექ. ჩხოლარია და ყვარელის ტროპ. სადგურის გამგე ექ. ხუფიაშვილი. ორატორები აღნიშნავენ სადგურების მიერ ჩატარებულ საქმიანობას და სადგურების მუშაობით მიღებულ შედეგებს მალარიის ადგილობრივი თვისებების შესწავლაში.

სხდომის დასასრულს მოხსენებით გამოვიდა პროფ. დროზდოვსკი ბალტიის ციებ-ცხელებისა და მისი ეპიდემიოლოგიის შესახებ.

ა.-კ. საგზაო კომიტეტის პლენუმი

მეშვიდე სხდომა

მეშვიდე და უკანასკნელ სხდომაზე საგზაო კომიტეტის პლენუმმა განიხილა კომიტეტის საორგანიზაციო, სატარიფო-ეკონომიური და კულტურულ განყოფილებების სამთვიური სამუშაო გეგმები.

პლენუმმა პრეზიდიუმს დაავალა შეუთანხმდეს რკ. გზ. გამგეობას, რათა მუშებს შავი და კასპიის ზღვების სანაპიროზე მიეცეს ბრეზენტის წამოსასხამები. ამას გარდა აღიძრა საკითხი ღია სახელოსნოების გადახურვის შესახებ ლენინაკანისა და ბათომში.

კულტმუშაობის დარგში პლენუმმა საჭიროდ სცნო საკლუბო მუშაობის გადახალისება მთელს რკ. გზაზე.

გეგმების დამტკიცების და რეზოლუციების დამუშავების შემდეგ პლენუმი დაიხურა ამხ. აბაშვილის სიტყვით, რომელმაც ჯამი გაუკეთა პლენუმის მუშაობას.

გუშინ, საღამოს 6 საათზე გაიმართა საორგანიზაციო და სატარიფო თათბირები ჩამოსულ დელეგატთა თანდასწრებით.

გრიპი ევროპაში

(ჯანსახკომში მიღებული ცნობებით)

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის სტატისტიკურ განყოფილებაში მიღებული ცნობებით, გრიპის ეპიდემია ამჟამად უფრო გავრცელებულია შვეციაში, გერმანიაში, ჩეხო-სლოვაკიაში, შოტლანდიაში, ირლანდიაში, ბულგარეთში, უნგრეთში, ლატვიაში, პოლონეთში და იტალიაში.

გრიპის ეპიდემია შედარებით უფრო სუსტია ბელგიაში, ჰოლანდიაში, სამხრეთ-სლავიაში, ნორვეგიაში და დანიაში. შვეიცარიაში გრიპს ადგილი აქვს უმთავრესად ქალაქებში. გრიპით დაავადმყოფებულთა სიკვდილიანობა განსაკუთრებით დიდია საფრანგეთში, იტალიაში და სამხრეთ გერმანიაში.

უკანასკნელ ხანებში სიკვდილიანობა მატულობს აგრეთვე ინგლისში და ესპანეთის მთელ რიგ ქალაქებში—განსაკუთრებით კატალონიის პროვინციაში და ბისკაის სანაპიროებზე.

საზოგადოთ გრიპი მოდებულია ევროპის ყველა სანაპირო ქალაქებში და დიდ ცენტრებში.

ადგილობ. საჭიროებათა დაკმაყოფილების შესახებ

ამიერ-კავკ. ცაკმა დაადგინა: მიეცეს უფლება სოფლის, თემის და დაბის მოქალაქეთა საერთო კრებებს გამოიტანონ დადგენილება ადგილობრივ კულტურულ-სამეურნეო ცხოვრების, კეთილმოწყობის, საგზაო და სასკოლო მშენებლობის დარგებში თავის საჭიროებათა საკუთარ საშუალებით დაკმაყოფილების შესახებ. დადგენილების თანახმად, იმ თანხების რაოდენობა, რომელიც ზემოხსენებულ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად ერთი წლის განმავლობაში შეკრებილი უნდა იქნეს მცხოვრებთა შორის, არ უნდა აღემატებოდეს ამა თუ იმ პუნქტზე ამავე წელს გაწერილ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის რაოდენობას. ბეგარის გაწერა ევალება სასოფლო საბჭოს, რომელმაც უნდა დაიცვას ბეგარის გაწერის პრინციპი შემოსავლიანობის კვალობაზე.

წითელ ჯარში

წვევამდელები საგარეჯოში

(გარე-კახეთი)

ახალგაზრდობის წვევამდე მომზადების წესები უცნობია ჯერ კიდევ ბევრი გლეხისათვის და ზოგიერთ სოფლის ხელისუფლებისათვისაც. ამიტომაა, რომ ხშირად ამ ნიადაგზე ბევრს ადგილას გაუგებრობას აქვს ადგილი. ზოგიერთი ახალგაზრდა მის მაგიერ, რომ მიისწრაფოდეს თავისავე სოფელში, თემში, მოწყობილ წერტში იმეცადინოს, გაურბის ამ საქმეს.

სულ სხვა პირობებში მოხდა ჩვენს თემში წვევამდელთა შეკრება. აქ წინდაწინვე იქნა ადგილობრივ ხელისუფლების მიერ ჩატარებული სამისო კამპანია. სწორედ ამიტომაც იყო, რომ 1905 წელში დაბადებული წვევამდელები შეკრების დღეს, მთელი 90 პროცენტით გამოცხადდა ადგილობრივ წერტის უფროსის ამხ. ჯანელიძის ხელმძღვანელობით პირველ დღიდანვე ყველაფერი თავის კალაპოტში ჩადგა.

17 იანვრიდანვე დაიწყო წესიერი მეცადინეობა. მუშაობის ყოველი პირველი საათი დათმობილი აქვს პოლიტ-მეცადინეობას. დღიში მეცადინეობა სწარმოებს შვიდი საათი. კვირაში სულ 5 დღე. ორ დღეს-კი, ე. ი. შაბათს და კვირას გლეხური ახალგაზრდობა თავისუფალია. მათ ეძლევათ საშუალება იმუშაონ თავიანთ ოჯახისათვის.

იმ ახალგაზრდებს, რომლებიც წერტიდან დაშორებულნი არიან და აგრეთვე ღარიბის ნაწილს წვევამდელებისას ეძლევათ სურსათ-სანოვაგე. ასეთი წესებით გლეხობა დიდათ კმაყოფილია.

რაც შეეხება კულტ-მუშაობას წერტში, ამ მხრივაც საქმე კარგად მოეწყო. პოლიტ-ხელმძღვანელები გამოყოფილნი არიან თვით წვევამდელთა შორის. მოწყობილია წერტში სამხედრო კუთხე, სადაც სამუშაოდ გამოყოფილია ამხანაგები, ამორჩეულია რედ-კოლეგია და გამოცემულია ორ-კვირეული კედლის გაზეთი „მომავალი მეომარი"-ს სახელწოდებით.

წვევამდელებს უკვე პირველ დღიდანვე [illegible] გლეხობაში უწესოთ მოქცევა, [illegible] და აგრეთვე ლენინის სიმ.

ალ. ხედიაშვილი.

ვაჭრობა უცხოეთთან

ა.-კ. საბაჟომ დაამუშავა ცნობები საგარეო ვაჭრობის შესახებ მიმდ. საოპერაციო წლის 1-ლ კვარტალში. აღნიშნული დროის განმავლობაში საქონლის ბრუნვა უდრიდა 38.640.400 მანეთს. საქონლის ბრუნვა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან აღწევს 24.023.300 მანეთს, სპარსეთთან—13.529.700 მან. და ოსმალეთთან 1.087.400 მანეთს.

მთელი ბრუნვიდან 29.630.400 მანეთი მოდის ექსპორტზე, ხოლო 9.010.000 მანეთი იმპორტზე. დასავლეთ ევროპაში გაზიდულია 18.455.100 მანეთის საქონელი, სპარსეთში—10.607.300 მან., ხოლო ოსმალეთში—568.300 მანეთის საქონელი.

დასავლეთში გაზიდულა—14.215.000 მან. ნავთი, 1.321.700 მანეთის—შავი ქვა და 2.288.200 მანეთის სასოფ.-სამეურნეო პროდუქტები.

სპარსეთში კი გაიზიდა—1.710.700 მანეთის ნავთის პროდუქტები, 2.765.000 მანეთის მანუფაქტურა და 3.635.700 მან. შაქარი.

დასავლეთიდან შემოზ. - 5.563.200 მანეთის საქონელი, სპარსეთიდან—2.922.700 მანეთის, და ოსმალეთიდან 519.100 მანეთის საქონელი.

საბაჟოს ცნობით, საგარეო ვაჭრობის საერთო ბრუნვა შარშანდელ საოპერაციო წლის პირველ კვარტალთან შედარებით გაზრდილა [illegible]30 პროცენტით.

ეკონომიურ საბჭოში

გზატკეცილების სამმართველოს ბიუჯეტი

ეკონომიურ საბჭომ დაამტკიცა საქართველოს გზატკეცილების სამმართველოს მიერ წარმოდგენილი 1926—27 საბიუჯეტო წლის ხარჯთაღრიცხვა 612.000 მანეთის რაოდენობით.

რესპუბლიკანური მნიშვნელობის გზატკეცილები

ეკონომიურმა საბჭომ დაამტკიცა რესპუბლიკანური მნიშვნელობის გზების სამუშაოთა სია ბაღდათ-ქუთაისის და ხაშურ - ბორჯომის გზატკეცილების გამოკლებით.

თამბაქოს ფასები

საგეგმო კომისიის დასკვნის თანახმად ეკონომიურმა საბჭომ დაამტკიცა შინა-ვაჭრობის სახ. კომისარიატის მიერ შემუშავებული ფასები თამბაქოზე.

ლაგოდეხის თამბაქოსათვის დაწესებული ფასის, 14 მან. და 50 კაპეიკამდე, გასადიდებლად, საბჭომ დაადგინა აღიძრას სათანადო შუამდგომლობა ს. ს. რ. კავშირის ვაჭრობის სახ. კომისარიატის წინაშე.

მდინარეთა ნაპირების გამაგრება

რადგან საქართველოს ზოგიერთ მდინარის ნაპირები გაუმაგრებელია, რის გამოც საგაზაფხულო წყალდიდობის დროს მოსახლეობას დიდი საფრთხე მოელის, საბჭომ დაადგინა—აღიძრას შუამდგომლობა სათანადო ცენტრალურ ორგანოების წინაშე, რათა მდინარეთა ნაპირების გასამაგრებლად საჭირო თანხა გადებულ იქნეს ულდარის სამუშაოთათვის გადადებულ სახსრიდან. ამასთანავე ეთხოვა ა. კ. სახკომსაბჭოს, საკითხის ცენტრში გადაწყვეტამდე ნება მისცეს საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოს მდინარეთა ნაპირების გამაგრებისათვის საჭირო სამუშაოთა ხარჯი გაიღოს ულდარის ველის მოსარწყავად გადადებულ თანხიდან.

მუშათა ცხოვრება

უსაყვიროდ

საღამო ხანი იყო. საყუდში არავინ მუშაობდა, გარდა ცეცხლფარეშებისა.

მუშა არსენა თავისი პატარა სანათურით ხან ერთ ორთქლმავალზე აცოცდებოდა და ხან მეორეზე და გაფაციცებით თვალყურს ადევნებდა წყალსაზომს და ცეცხლფეროველს. ის ფხიზლად და მუყაითათ იდგა თავის სამუშაოზე. დროგამოშვებით იღებდა ახალ შემოსულ ორთქლმავალს, გამზადებულს კი ისტუმრებდა. ხშირად გადასძახებდა მეორე ამხანაგს—აბა ძამია გასიოქე ორთქლმავალი. ამავე დროს დანარჩენი მუშები დადიოდენ და გასარეცხ ორთქლმავლებს ქვებიდან წყალს უშვებდენ და გამრეცხველებს უმზადებდენ.

— აბა შენ ძამიკო, მოაგორე მანქანა აქეთ, მოიტა სახელური აქედან დავიწყოთ და გავყვეთ ბოლომდე, დღეს თორმეტი ორთქლმავალი გვაქვს გასარეცხი — დაიძახა ერთმა მათგანმა.

ყველაფერი რიგზეა, ყველა გამოწყობილა ძველ ბრეზენტის ტანისამოსში და წინსაფარებში, ხელთ უჭირავთ გრძელი საჩიჩქნავი რკინები და რეზინის სახელური.

— აბა დავიწყოთ — შესძახა ვასომ და ჩაუხტა საყვირში. ამ დროს ამუშავდა პატარა მანქანა, ჰერიდან გამოყვანილი პატარა მილები ორთქლით გატენილი ამუშავდა და სახელურის საშუალებით, რომელსაც ტური ქვაბში შეუყო და მილებს რეცხავდა, მეორე მხრიდან რკინის საჩიჩქნავებით წყლისაგან დარჩენილი ნადუღი ნაჭრებს ყრიდენ გარედ.

— ეყოფა. — დაიძახა ვასომ.

— მოუშვით, — კიდევ ვაისმა ხმა: ისევ ამუშავდა მანქანა და დაიწყეს მეორე ორთქლმავლის გარეცხვა.

მუშები მორჩენ თავის სამუშაოს და შევიდენ ოთახში ტანისაცმელების გამოსაცვლელად.

იქვე საყუდში, ერთ კუთხეში მოფიცრულია პატარა ოთახი, რომელიც საქათმეს უფრო გავს, ვიდრე მუშებისათვის ტანისაცმლის გამოსაცვლელ ოთახს.

— ვერა და ვერ ეღირსა ჩვენს ბრიგადას ერთი ადამიანური ბინა — სთქვა მოხუცმა მუშამ.

— ბინას ვინ დაეძებს, ისეთი ადგილი მაინც მოგვცენ. რომ ამ სველი ტანისამოსის გაშრობა შეგვეძლოს, სთქვა მეორემ.

— მე არცერთიმანაღელიბს და არც მეორე. ერთი ფეხსაცმელი მაინც მოგვცენ — დაუმატა ვასომ.

— რა ვიცი, ჩვენი იოსები ძალიან ხლაფორთობს. და მაინც ვერას გახდა დღემდე.

მართლაც და ვამრეცხველები რომ ვერთ ხუთი თუ ექვსი კაცი რატომ ყურადღებას არ გვაქცევენ. დილას საყვირზე რომ მოვალთ და შეუსვენებლად ვმუშაობთ. საუზმე ჩვენთვის არაა. და პაპიროსის მოწევა. ვინც ჩვენ მუშაობას დაინახავს. ეგონება ხელჩართული ბრძოლა აქეთო.

ხშირად საყვირის შემდეგაც ვმუშაობთ. ვინაიდან ორთქლმავლის გაურეცხავად დატოვება არ შეიძლება, ასე რომ საყუდში ყოველ დღე ირეცხება 8—10—12 ორთქლმავალი. მისთვის არ არსებობს არავითარი უქმე დღე.

დღესც, 22 იანვარს, ეს მუშები უსაყვიროდ მუშაობენ. მოათავეს თავიანთი მოვალეობა და მიეშურებიან დასასვენებლად. მხოლოდ იმედს არ კარგავენ და მხიარულად მოელიან 1927 წ. დასაწყისიდან მათი პირობების გაუმჯობესებას და უკეთეს მდგომარეობას.

მუშკორი შავსოფლელი.

საღამოობითაც იყვეს მუშაობა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფსექციები ზოგი მუშაობს 12-დან 2 საათამდე, და ზოგი კი 10-დან 2 საათ., ვისაც როგორ სურთ. გარკვეული დრო არ არის სექციების მუშაობისათვის. მხოლოდ ზევით აღნიშნულ საათებში აქვთ საშუალება სტუდენტებს საქმის გაკეთების. ეს კარგია მათთვის, რომელნიც არ მსახურობენ, მაგრამ რა ქნან იმათ, რომლებიც მსახურობენ და თანაც სწავლობენ. ისინი მოკლებული არიან ამას. სექციებში მუშაობა უნდა იყვეს დილის 12—2 საათ. და საღამოს 5—7 საათამდე. მე მგონია ეს მოთხოვნილება სამართლიანია. თვითეულ სექციას ყავს კავშირის წევრი 200—300 კაცამდე. მაშ რაში იღებენ ჯამაგირს პროფსექციის ტეხნიკური მდივნები, თუ დღეში 4 საათს მაინც არ იმსახურებენ.

იმედია ამ მოვლენას მიაქცევს ყურადღებას პროფსექციათა აღმასბიურო.

მუშკორი შალი.

პლეხანოვის სახელობის კლუბის მუშაობა

პლეხანოვის სახელობის კლუბი [illegible] მუშათა კლუბია [illegible] რკინიგზის მუშების. ამ რამოდენიმე წლის წინეთ კლუბში თითქმის არავითარი მუშაობა არ სწარმოებდა, არ ყავდა იმდენი წევრები, რამდენიც დღეს ყავს. არ არსებობდა წრეები, მხატვრული, არა ჰქონდა კლუბს ისეთი ბაღი, როგორიც დღეს და სხვ.

მაგრამ როგორც ძველი 1925 წლის გამგეობის, ისე ახალი გამგეობის მუყაითმა მუშაობამ, დღეს ეს დიდი ნაკლი გამოასწორა და კლუბის პრესტიჟი ასწია სათანადო სიმაღლემდე. დღეს კლუბს ყავს ორ ათასზე მეტი აქტიური წევრი. არსებობს სხვადასხვა წრეები რუსულ - ქართული დრამატიული დასი, რუსულ - ქართული მომღერალთა გუნდი, სიმებიანი ორკესტრი, კარგად მომზადებული ფიზკულტურის და ჭადრაკის წრეები და სხვა. ყველა ამ წრეებში მეცადინეობენ, როგორც მუშები, ისე მუშათა შვილები.

ამას გარდა, კლუბში იმართება წარმოდგენები, როგორც ადგილობრივი მუშებისაგან შემდგარი ძალებისაგან, ისე აკადემიური დასის მსახიობების მიერ. იმართება აგრეთვე ინსცენირებები, კონცერტები, ცოცხალი გაზეთი, აჩვენებენ კინო - სურათებს, ეწყობა კითხვა - პასუხის საღამოები, ლიტერატურული გასამართლებები და სხვ. კლუბთან არსებობს საღრიცხვო კომისია, საექსკურსიო, სალექციო, სამხატვრო, სამნეო კომისია და სხვ.

პლეხანოვის სახელობის კლუბის გამგეობა ცდილობს ყველაფრით დააკმაყოფილოს თავისი წევრების და მთელი რაიონის მცხოვრებლების მოთხოვნილებები, რასაც თანდათანობით მიზანს კიდეც აღწევს.

მუშა—ხითნელი.

სანაპირო გზა

(მუშის შენიშვნა)

რამოდენიმეჯერ იყო გაზეთებში გამოქვეყნებული, რომ ვერის ხიდიდან ინჟინერის ქუჩამდე სანაპირო გზა უნდა გაეიდეს. მას მერე გაიდა ზაფხული. აგერ ზამთარიც მიდის, და ამის შესახებ არაფერი ისმის. იმ ამბავს, თითქოს გზას არ გაიყვანენო, ძლიერ დაალონა არტილერიის ბალკაში მცხოვრებნი. თუ გადაწყდა ამ გზის გაყვანა, უნდა დროზე შეუდგეს კიდეც აღმასკომი გადაწყვეტილების შესრულებას, რომ არავისი სალაპარაკო არ ვახდეს. სხვა რომ არა იყოს რა, ამ გზის გაყვანა ფრიად სასარგებლო იქნებოდა, რადგანაც საბურთალოს მხრიდან ცენტრისაკენ მიმავალი ურმები ამჟამად ლენინისა და საპიორების ოღრო-ჩოღრო ქუჩით მიიმართებიან, ხოლო ამ გზის გაყვანის შემდეგ კი ხსენებული ქუჩები განიტვირთებოდენ მათგან.

ეხლა თუ არ შეუდგენ გზის გაყვანას, გაზაფხულზე მტკვარი მოდიდდება და მუშაობაც შეუძლებელი გახდება. კარგი იქნება ეხლავე დაიწყებდეს მუშაობას და მტკვრის ადიდებამდე საძირკველს მაინც ჩაყრიდენ, რადგანაც მტკვარი ამჟამად ძლიერ დაპატარავებულია.

მუშა ნიკო ას-ლი.

მუშათა ქრონიკა

— **რადიო.** სადგ. გარდაბანის ადგილკომმა თავის მუშაობის გეგმაში შეიტანა წითელ კუთხესთან რადიოს მოწყობის საკითხი.

— **ჭადრაკის წრე.** თბილისის მოძრაობის დარგის ადგილკომმა დაადგინა დაარსოს ჭადრაკის წრე.

— **საბჭოების არჩევნებში** მონაწილეობას იღებს 1330 პენსიონერი.

— **წარმოდგენა.** ამხ. ს. ორჯონიკიძის სახ. კლუბის ქართული დრამწრე ამზადებს მიხეილ კობახიძის დრამას „სისხლიანი გამარჯვება".

— **წიგნების შესაძენად.** რკ. გზ. პოლიტექნ. ინსტიტუტის პროფსექციამ სთხოვა უბკავშირს გაიღოს საჭირო თანხა წიგნების შესაძენად.

— **პროფწრე.** სადგ. მცხეთაში დაარსდა პროფმოძრაობის წრე—საგზაო კომიტეტის კულტთათბირმა გაუგზავნა უბკავშირებს კულტურულ მუშაობის თებერვლის და მარტის გეგმა.

— **თანრიგი.** სად. ყარაიაზის მუშა - მოსამსახურეთა საერთო კრებამ სთხოვა უბკავშირს [illegible] მუშებს მიემატოს თითო თანრიგი.

შინა-მოსამსახურეთა დაქირავების წესი

ცაკმა მიიღო დადგენილების პროექტი იმ პირთა შესახებ, ვინც დაქირავებით მუშაობს ამა თუ იმ დამქირავებელთან და ემსახურება ამ უკანასკნელს პირადათ და მის ოჯახს. დადგენილების ძალით, შინა-მოსამსახურეთა დაქირავება ხდება შრომის ბირჟის მეშვეობით ან დაქირავებულთან უშუალო შეთანხმებით. შინა-მოსამსახურის სამუშაოზე მიღებას შეიძლება უძღოდეს ორკვირეული გამოცდა. დამქირავებელს უფლება აქვს მოსთხოვოს შინა-მოსამსახურეს მოწმობა ჯანმრთელობის შესახებ და აგრეთვე მისი ჯანმრთელობის დროგამოშვებით შემოწმება.

დამქირავებელი ვალდებულია შინა-მოსამსახურის სამუშაოზე საბოლოოდ მიღების დროიდან ერთი კვირის განმავლობაში მისცეს მას საანგარიშო წიგნაკი შრომის კომისარიატის მიერ დაწესებულ ფორმის მიხედვით. ის პირი რომელსაც არ შესრულებია 16 წელი, არ შეიძლება დაშვებულ იქნას შინა-მოსამსახურედ. სამუშაო დღე შეიძლება იქნას დაყოფილი რამოდენიმე ნაწილად, იმ პირობით, რომ დაქირავებულთ საშუალება ექნება თავისუფალი დრო გამოიყენოს თავის სურვილის მიხედვით.

შინა-მოსამსახურენი სამუშაოდან თავისუფლდებიან შემდეგ დღეებში: 1 და 22 იანვარს, 25 თებერვალს, 12 და 18 მარტს, 1 მაისს, 7 ოქტომბერს და აგრეთვე იმ განსაკუთრებულ დასასვენებელ დღეებში, რომლებიც წესდება კომისარიატის და პროფკავშირთა საბჭოს მიერ. შინა-მოსამსახურეთა დაზღვევა სავალდებულოა სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „შინა-მეურნეობაში დაქირავებულ პირთა სოციალური დაზღვევის შესახებ" გამოცემული დადგენილებაში გათვალისწინებულ წესების მიხედვით.

მევენახეობის განვითარებისათვის

ამ დღეებში საფრანგეთიდან საქ. მიწადმოქმედების კომისარიატის სახელზე ბათომში მიიღეს ამერიკული ვაზის დიდი პარტია. კომისარიატს განზრახული აქვს მიღებული ვაზის მთელი რაოდენობა 1.600.000 მეტრი გადაგზავნოს წინანდლის სახალხო მამულში ახალი ვენახების მოსაშენებლად.

ახლო ხანში საფრანგეთიდანვე მიღებული იქნება აგრეთვე 650.000 მეტრი ასეთივე ვაზი კახელ მევენახეთათვის დასარიგებლად.

ვენახების მოშენების დასაჩქარებლად და გლეხებისათვის ამ დარგში სათანადო აგროდახმარების აღმოჩენის მიზნით, მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატს გადაწყვეტილი აქვს ამერიკული ვაზის ყველა სანერგეებიდან გასნას ვაზის მყნობის შესასწავლი მოკლევადიანი კურსები. კურსებზე მიიღებენ უმთავრესად მევენახე გლეხებს.

რკინის-გზაზე

კაზანცევის ახალი მატარებელი.

გუშინ ამხ. სტალინის სახელობის რკინისგზის მთავარ სახელოსნომ გამოუშვა კაზანცევის მუხრუჭებით მოწყობილი ახალი მატარებელი.

რიცხვით ეს მეოთხე სამარშრუტო მატარებელია, კაზანცევის მუხრუჭებით მოწყობილი.

სულ ამჟამად ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე ითვლება 30 მატარებელი, მოწყობილი კაზანცევის მუხრუჭებით.

მადლობის გამოცხადება

სადგ. ლიაკში (ბაქოს ხაზი) გაიტაცეს 1 435 მანეთი.

სადგურის უფროსმა ამხ. ევსიუკოვმა შეამჩნია ბოროტმოქმედება, დაედევნა ქურდს და დაიჭირა იგი.

ა.-კ. რკინის გზების გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. ივანოვმა ბრძანებით აღნიშნა ამხ. ევსიუკოვის თავდადება, გამოუცხადა მას მადლობა და გასცა განკარგულება, რათა მას მიეცეს საჩუქრად ერთი თვის ხელფასი.

სადგურის უფროსის თანაშემწეთა კურსები

საგზაო პროფგანათლების სამმართველო ხსნის კურსებს სადგურის უფროსის თანაშემწეების მოსამზადებლად. კურსები გაიხსნება ლენინაკანში—30 კაცისათვის და ბაქოში—32 კაცისათვის.

ამინდი

ამიერ-კავკასიაში

გუშინ ამინდს თითქმის მთელი ამიერ-კავკასიის მასშტაბით ცვლილება დაეტყო. თუ გუშინწინ თითქმის ყველა რაიონებში მოწმენდილი ცა იდგა, გუშინ ცა ღრუბლებით დაიფარა. სხვა მხრივ ამინდს თვალსაჩინო ცვლილება არ განუცდია. კერძოდ სხვადასხვა ადგილებში ამინდი შემდეგნაირად ხასიათდება:

სოხუმი

ცა ღრუბლითაა დაფარული, ქრის სუსტი ზენა ქარი, ტემპერატურა+10,7 გრადუსს უდრის.

ბათომი

ცა მოღრუბლულია, ქრის სუსტი ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის ქარი, ტემპერატურა უდრის+12,0 გრადუსს. ზღვა სუსტად ღელავს.

ფოთი

მოღრუბლულია, ქრის სუსტი ზენა ქარი ტემპერატურა+7,4 გრად. უდრის, ზღვა არ ღელავს.

სამტრედია

მოღრუბლული და წყნარი დღეა, ტემპერატურა+5,5 გრად. უდრის.

ჭიათურა

მოღრუბლული, მაგრამ წყნარი ამინდია, ტემპერატურა+0,9 გრად.. უდრის.

ბორჯომი

მოღრუბლულია, ტემპერატურა—6,6 გრად. უდრის.

აბასთუმანი

წყნარი, მაგრამ მოღრუბლული დღეა, ტემპერატურა—7,2 გრად.

გორი

გორშიც მოღრუბლულია, ტემპერატურა უდრის—9,5 გრადუსს.

თბილისი

გუშინ თბილისში მოღრუბლული იყო, ქარი ქროდა. შედარებით თბილოდა, ტემპერატურა უდრიდა—5,7 გრადუსს.

ყარაიაზი

მოღრუბლული და წყნარი დღე იდგა, ტემპერატურა უდრიდა—5,8 გრადუსს.

საგარეჯოში

ცა ნახევრად მოღრუბლული იყო, წყნარი დღე იდგა, ტემპერატურა უდრიდა—2,4 გრად.

მუღუზანში

ცა ცოტათი მოღრუბლული, დღე წყნარი, ტემპერატურა—1,2 გრადუსს უდრის.

ბაქოში

მოღრუბლული და წყნარი დღე იდგა, ტემპერატურა+4,2 გრად. უდრიდა.

განჯაში

ცა ნახევრად მოღრუბლული იყო, ქროდა სუსტი ქვენა ქარი, ტემპერატურა—3,3 გრად. უდრის.

ერევანში და ლენინაკანში

მოღრუბლული და წყნარი დღე იდგა, ტემპერატურა ერევანში უდრის—7,2 გრადუსს, ლენინაკანში—15,6 გრადუსს.

განათლების ფრონტზე

გურიის მასწავლებლობა

ამჟამად გურიაში აღრიცხულია 932 განათლ. მუშაკი—მასწავლებლები, ქოხ-სამკითხველოების ხელმძღვანელები, კოლექტორის მუშაკები და სხვა. განათლების მუშაკთა შორის 488 ვაჟია, 444 ქალი. უკანასკნელი წლის განმავლობაში მთავარი ყურადღება ექცეოდა სოფლისა და ქალაქის მასწავლებელთა თვითგანვითარების საქმეს. ამ მიზნით შვიდისა და ცხრაწლედებთან და აგრეთვე სპეციალურ ტეხნიკუმებთან მოწყობილი იყო თვითგანვითარების წრეები, რომელშიდაც სამუშაოდ მოწვეულნი იყვნენ ოთხწლედის მასწავლებლებიც. ენერგიული მუშაობა სწარმოებდა აგრეთვე მასწავლებელთა ჩასაბმელად სოფლის კულტურის საზოგადოებრივ საქმიანობაში. ამჟამად მასწავლებლობის ოთხმოცი პროცენტი მუშაობს კოოპერატიულ დაწესებულებებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში. მასწავლებლობა აქტიურ მონაწილეობას ღებულობს აგრეთვე საბჭოთა არჩევნების მოსამზადებელ მუშაობაში. მასწავლებლების თაოსნობით ოზურგეთში შენდება განათლების მუშაკთა სახლი. სახლის ფონდის სასარგებლოდ გურიის მასწავლებლობამ გადასდო ორი თვის დღიური ხელფასი. სახლის აგებაში მონაწილეობას ღებულობენ აგრეთვე სხვა პროფკავშირები. ამავე მაზრის მასწავლებლების მიერ აგარაკ ბახმაროზე აგებულია დასასვენებელი სახლი წიგნთ-საცავი სამკითხველოთი და კლუბით.

ქრონიკა

მუშაობა დასასვენებელ დღეებში

შრომის სახ. კომისარიატმა ზედმეტ მუშაობასთან ბრძოლის მიზნით დაადგინა რკ. გზის საბარგო სადგურებზე და ნავთსადგურებში დასასვენებელ დღეებში მუშაობა შეიძლება დაშვებულ იქნას, თუ ამას აუცილებელი საჭიროება მოითხოვს ექსპორტ-იმპორტების შეფერხების თავიდან ასაცილებლად. ამასთანავე ზედმეტი მუშაობისათვის სათანადო უწყებიდან აცემული უნდა იქნეს შესაფერი ნებართვა. დასასვენებელ დღეებში მუშაობის ნაცვლად მუშებს უნდა მიეცეთ დასასვენებლად ჩვეულებრივი დღე და დასასვენებელ დღეებში მუშაობისათვის კი—ხელფასი ზედმეტი საათების მუშაობის წესით.

ნარდი სამუშაოები

შრომის სახალხო კომისარიატი ამ დღეებში ადგილობრივ შრომის ორგანიზაციებს დაუგზავნის სავალდებულო დადგენილებას, რომელშიაც გათვალისწინებულია კერძო მოიჯარადრეების მიერ წარმოებებში დაწესებულ მუშათა ხელფასით დაკმაყოფილების წესი. დადგენილება ითვალისწინებს აგრეთვე კერძო მოიჯარადრეების მიერ სოციალურ დაზღვევის ანარიცხების თავის დროზე და უკლებლივ გადახდას.

პრაქტიკანტები

საკავშირო შრომის სახალხო კომისარიატმა გამოსცა დადგენილება პრაქტიკანტებისა და სტაჟიორებისათვის ჯამაგირის დანიშვნის შესახებ. დადგენილების ძალით, პრაქტიკანტს და სტაჟიორს უნდა მიეცეს სრული ხელფასი, თუ იგი დამოუკიდებლად ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას. იმ შემთხვევაში, როცა პრაქტიკანტი მუშაობს მეორე პირის ხელმძღვანელობით, მას ხელფასი მიეცემა ცალკე შეთანხმების მიხედვით, მხოლოდ ეს ხელფასი არ უნდა იყოს შრომის კომისარიატის საგანგებო დადგენილებაში გათვალისწინებულზე ნაკლები.

ხეხილის გაშენება

მიწად.-მოქ. სახ. კომისარიატმა დაადგინა გაფართოოს სახალხო მამულებში ხეხილის სანერგეების სივრცე. შემუშავებული გეგმით ხეხილის სანერგე გაშენდება: სკრის სახალხო მამულში 8 დესეტინაზე, მერეთში—5 დესეტინაზე, ყარაიაში—3 დეს., გომბორში და მუკუზანში—თითო დესეტინაზე. ამ ახალ სანერგეებში გაშენებული იქნება ადგილ-მდებარეობის შესაფერი ხეხილი როგორიც არის ზეთის ხილი, იაპონური ტყემლი, ხმარტლი, წაბლი, ბროწეული, სხვადასხვა ჯიშის ლეღვი და სხ. ყარაიაში ხეხილის სანერგეს გარდა მოეწყობა დეკორატიული მცენარეთა სანერგე, სადაც მოაშენებენ ყვავილებს, ვარდებს და სხ., იქვე გაშენდება ეთეროვანი მცენარეები.

მზესუმზირა ზეთის შემოზიდვა ამიერ-კავკასიაში.

საკავშირო ვაჭრობის სახ. კომისარიატის დადგენილებით, ამიერ-კავკასიაში გამოიგზავნება 10.000 ფუთი მზესუმზირა ზეთი. გარდა ამისა, განაწილების წლიური გეგმის მიხედვით, ამიერ-კავკასიაში დამატებით გადმოგზავნილი იქნება 29.000 ფუთი ზეთი.

გზატკეცილების სამმართველოს ხარჯ-აღრიცხვა

საქართველოს ეკონომიურმა საბჭომ დაამტკიცა გზა-ტკეცილების სამმართველოს მიერ წარმოდგენილი ხარჯთ-აღრიცხვა 1926—27 წლისათვის 612.000 მან. რაოდენობით და რესპუბლიკურ მნიშვნელობის სამუშაოთა ნუსხა. ხარჯები მეტეხის ხიდის დასათავრებლად—36.861 მან. შეტანილ იქნა გზატკეცილების სამართველოს ხარჯთ-აღრიცხვაში.

მ.-გ. ინსპექციაში

◆ **პენსიის დანიშვნა.** ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციამ წინადადება მისცა სოცდაზღვევის სამმართველოს გაამარტოვოს ინვალიდებისა და მოხუც მუშებისთვის პენსიების დანიშვნის საქმე.

◆ **შრომის სტაჟი.** ინსპექციამ საჭიროდ სცნო რესპუბლიკანურ სოცდაზღვევის სამმართველოებს მიენდოს შრომის განმსაზღვრელ კომისიების გადაწყვეტილებათა ნიადაგზე აძრულ საკითხების მოგვარება და შრომის სტაჟის საბოლოოდ განსაზღვრა.

◆ **პენსია მასწავლებლებს.** რესპუბლიკანურ სოცდაზღვევის სამმართველოებს გადაეცა მასწავლებლებისათვის პენსიების მიცემის საქმე.

◆ **ინვალიდები.** ინსპექციამ გადასწყვიტა მოახდინოს ინვალიდ-პენსიონერების საცხოვრებელი ბიუჯეტის გამოკვლევა.

სოცუზრუნველყოფა

◆ **ბრმების სახელოსნო.** სოცუზრუნველყოფის კომისარიატი განათლების კომისარიატთან ერთად აწყობს სახელოსნოს, სადაც იმუშავებენ ბრმები.

◆ **ყრუ-მუნჯთა საზ-ბას** სოცუზრუნველყოფის კომისარიატმა დახმარების სახით მისცა 200 მანეთი.

◆ **პენსიები.** იანვარში ინვალიდებს პენსიების სახით დაურიგდათ 3200 მანეთი.

◆ **გლეხკომების არჩევნები გადაიდო** საბჭოთა არჩევნების დამთავრებამდე.

◆ **დახმარება.** კომისარიატმა იანვარში გაჭირვებულ მოქალაქეებს ერთდროული დახმარების სახით დაურიგა 1.700 მანეთი.

მიწად-მოქ. კომისარიატში

◆ **ვაზის მყნობის** შესასწავლად მიწად-მოქ. კომისარიატი მაზრებში აწყობს მოკლე ვადიან კურსებს.

◆ **სათბურები.** სახალხო მამულების ტრესტმა გადასწყვიტა სახალხო მამულებში მოაწყოს სათბურები ნამყენი ვაზებისათვის.

◆ **მეცხვარეთა კურსები.** 15 თებერვლიდან მოსკოვში გაიხსნება მეცხვარეთა ერთწლიანი კურსები, რომელზედაც კომისარიატმა მიავლინა ორი კაცი.

◆ **წინანდლის სახალხო მამულს** გაეგზავნა 1.600.000 მეტრი ამერიკული ვაზი.

◆ **საფრანგეთიდან** სახალხო მამულების ტრესტი ამ დღეებში მიიღებს 650.000 მეტრ ამერიკულ ვაზის ლერწს.

სხვადასხვა

◆ **გამოკვლევა.** ამ დღეებში შრომის სახალხო კომისარიატი შეუდგება მუშა-ახალგაზრდობის მდგომარეობისა და ხელფასის გამოკვლევას.

◆ **კურსები.** დუშეთში განათლების კომისარიატი ხსნის ქოხ-სამკითხველოების გამგეთა გადასამზადებელ კურსებს.

კრებები და მოხსენებები.

◆ **საქართველოს ტეხნიკურ საზოგადოებაში.** კვირას, 6 თებერვალს, დღის 12 საათზე, თბილისის ინდუსტრიალურ ტეხნიკუმში (ჰამოს ქ., № 70) შესდგება საქართველოს ტეხნიკური საზოგადოების კრება, რომელზედაც ინჟ. ი. ყიფშიძე წაიკითხავს მოხსენებას—„ტყვარჩელის ქვანახშირის პერსპექტივები“.

ჩაუბარებელი დეპეშები.

ადლერიდან—ეპისკოპ. ანტონს, ქარელიდან—კონტორა „რეკორდს“, ქობულეთიდან—შარიძეს, ზესტაფონიდან—რუხაძეს, კამარლიუდან—ოგანესიანოვს, აბასთუმნიდან — მამალაძეს, სტალინოდან—ჩალაძიას, ლენინაკანიდან—სერგუშ, მათხოჯიდან—მელაძეს, ფოთიდან—ცხომელიძეს, ტყიბულიდან—ქავჟიშვილს, ლენინაკანიდან—„განათლებას“, სოხუმიდან — გეგეჭკორს.

რკ. გზ. ქალაქის სადგური

ბარგებს აღარ იღებს

ვინაიდან პატრონები არ ისყიდიან მათ სახელზე მოსულ საქონელს, რკინის გზის თბილისის ქალაქის სადგურის საწყობები აივსო და ადგილი აღარ არის ახლად მიღებულ ბარგების დასაწყობად.

მომავალში ბარგების თავმოყრის თავიდან ასაცილებლად, ა. კ. რკინის გზების სამმართველომ განკარგულება გასცა, რათა გზების ყველა ხაზებზე შეწყვეტილ იქნეს თბილისში გამოსაგზავნ ბარგების მიღება. ბარგების გადმოგზავნა შეწყვეტილ უნდა იქნეს სხვა გზებიდანაც.

საწყობები ავსებულია უმეტესად სახელმწიფო ბანკის სახელზე მოსულ პურეულით.

კონკურსი

ტიპიურ სახლებზე

საბინაო მშენებლობის დამხმარე კომიტეტის მიერ გამოცხადებული იყო კონკურსი ტიპიური მუშათა სახლის პროექტის შედგენაზე. რისთვისაც მოწყობილი იყო საგანგებო კომისია. კომისიამ უკვე განიხილა საკონკურსოდ წარმოდგენილი მრავალი პროექტი და კონკურსზე დასაშვებად სცნო მხოლოდ 40 მათგანი. ამჟამად საკონკურსო ჟიური იხილავს გადარჩეულ პროექტებს. კონკურსის პირველ პრემიად დანიშნულია ექვსასი მანეთი, მხოლოდ მეორე პრემია—ოთხასი მანეთი.

საქართველოს შრომის სახალხო კომისარიატთან არსებულ საბინაო მშენებლობის დამხმარე კომიტეტს ამ კონკურსის შედეგების გამოკვლევის შემდეგ, განზრახული აქვს გამოაცხადოს კონკურსი დასავლეთ საქართველოს პირობებისათვის შესაფერ ხის ტიპიურ სახლის პროექტზე. იმავე კომიტეტის მიერ გამოცხადებული იქნება კონკურსი მეორეული ტიპის სახლების პროექტებზე უკანალიზაციო და უწყალსადენო ქალაქებისათვის.

სასამართლო

ბოროტმოქმედება თამბაქოს ტრესტის მაღაზიებში

(კ. კუციდის და ს. ლორთქიფანიძის საქმე)

გუშინ, აღმოსავლეთ საქართველოს უფროსმა გამომძიებელმა პ. ფოთოლაშვილმა დაასრულა წინასწარი გამოძიება თამბაქოს ტრესტის თანამშრომელთა საქმეზე. პასუხისგებაშია მიცემული თამბაქოს ტრესტის პირველი მაღაზიის ყოფილი გამგე **სერგო ხელერიანის-ძე ლორთქიფანიძე** და ამავე ტრესტის მეორე მაღაზიის გამგე **კონსტანტინე დიმიტრის-ძე კუციდი.**

ლორთქიფანიძე № 1 მაღაზიას განაგებდა 1924 წ. 11 თებერვლიდან იმავე წლის 2 სექტემბრამდე. მაღაზიაში მოხდენილ რევიზიის დროს გამოირკვა, რომ საქონლის დანაკლისი უდრის 6—7.000 მანეთს. 1924 წ. 13 ნოემბერს ლორთქიფანიძე დააპატიმრეს ზემოხსენებული თანხის გაფლანგვისათვის.

საქმე გადაეცა აღმ. საქართველოს პროკურატურას.

გამოძიებით გამოირკვა, რომ 1924 წ. 6 სექტემბრისათვის მაღაზიაში საქონლის ფაქტიური დანაკლისი უდრიდა 6.295 მან. და 83 კაპ., რა თანხაც ლორთქიფანიძემ მიითვისა და გაფლანგა.

ექსპერტიზით გამოირკვა, რომ საქონლის მისათვისებლად ლორთქიფანიძე შემდეგ ხერხს მიმართავდა: მაღაზიის დებიტორების სახელზე გამოწერილ ორდერებზე ლორთქიფანიძე კლიენტებს იგი ხელს აწერინებდა საქონლის სრულად მიღებაზე ხოლო კლიენტებს იგი საქონლის ნაწილს აძლევდა. მაღაზიის ბუღალტერია ორდერით გამოწერილი საქონელს სრულად ატარებდა გასავალში, რადგან ორდერებზე აღნიშნული იყო მიმღების ხელის მოწერა. ლორთქიფანიძე დებიტორების ფაქტურებზე აღნიშნავდა, რომ ფაქტურაში აღნიშნული საქონლის ნაწილი გაცემული არ არის, რის გამო დებიტორს უფლება ეძლეოდა შემდეგში მოეთხოვა მაღაზიიდან დანაკლისი საქონელი.

გარდა ამისა, ლორთქიფანიძეს მიუთვისებია მაღაზიის კლიენტებისაგან საქონლის საფასური დაახლოვებით 600 მანეთამდე, ბოროტმოქმედების კვალის დასაფარავად მან შეადგინა ყალბი საბუთი.

1924 წ. ტრესტის გამგემ ნება დართო მაღაზიის გამგეებს მათი პირადი პასუხისმგებლობის ქვეშ გაეხსნათ მაღაზიის კლიენტებისათვის კრედიტი არა უმეტეს 500 მანეთისა.

ლორთქიფანიძემ გადააჭარბა ძალაუფლებას და გასცა საქონელი: პაპიროსები, თამბაქო და სხვა ნისიად ისეთ კლიენტებზე, რომლებიც კრედიტუნარიანობის მქონე არ იყვნენ. გარდა ამისა, საქონლის ნისიად გაცემის დროს ლორთქიფანიძე კლიენტებისაგან არ ღებულობდა თამასუქებს. ამ გზით ლორთქიფანიძემ ტრესტს მიაყენა 55.471 მანეთის და 8 კაპ. ზარალი.

1924 წ. ოქტომბერში მეორე მაღაზიის გამგემ კუციდისთან ერთად ლორთქიფანიძემ გამოიტანა მეორე მაღაზიიდან მოქ. გიგო ამირაჯიბის დახმარებით 7.350 მანეთის საქონელი და მიითვისა.

1925 წლის 29 აპრილს, კუციდმა აღმ. საქართველოს პროკურატურაში შეიტანა წერილობითი განცხადება, რომელშიაც აღნიშნავდა, რომ მან ტრესტის გამგეობის ნებადაურთველად ნისიად გასცა სხვადასხვა პირებზე 21.000 მან. ის საქონელი. ამ დავალიანების ანგარიშში მას ჩამორთმეული აქვს მაღაზიის დებიტორებისაგან 11.461 მან. და 45 კაპ. თამასუქები. დანარჩენი დავალიანების საბუთები მას არ მოეპოვება. რევიზიით ბოროტმოქმედების კვალი დაფარებული იქნა.

წინასწარი გამოძიებაზე მთელი რიგ მოწმეების დაკითხვით გამოირკვა, რომ კლიენტებს კუციდი საქონელს აძლევდა ნისიად ყოველგვარ საბუთების გარეშე. გარდა ამისა ნისიად იგი სცემდა დიდ ძალს საქონელს, რაიც წესდებით აკრძალული ჰქონდა. კუციდმა წინასწარ გამოძიებაზე გადაჭრით განაცხადა, რომ 7.350 მან. საქონელი მან სესხის სახით მისცა პირველი მაღაზიის გამგეს ლორთქიფანიძეს.

ლორთქიფანიძის და კუციდის დაპირისპირების დროს ლორთქიფანიძემ უარჰყო კუციდის ჩვენება და განაცხადა, რომ როდესაც ის იმყოფებოდა გამასწორებელ სახლში, მასთან მივიდა კუციდი და სთხოვა აელო თავის თავზე 7.350 მან. პასუხისმგებლობა, რათა ამით დაეხსნა კუციდი მომავალი სასჯელისაგან, იმ პირობით, რომ კუციდი შემდეგში შეავსებდა ამ თანხას. ლორთქიფანიძემ უარი უთხრა.

ამგვარად გამოირკვა, რომ კუციდმა 1924 წ. პირველ ოქტომბრიდან 1925 წ. 24 აპრილამდე მიითვისა და გაფლანგა 11.107 მან. და 58 კაპ. საქონელი.

გარდა ამისა, კუციდმა გასცა ნისიათ თამასუქის ქვეშ სხვადასხვა კლიენტებზე 12.296 მან. საქონელი, ამ თანხიდან შეიძლება მხოლოდ 1.000 მან. განაღდება.

საქმე გადაეცა აღმ. საქ. პროკურატურას.

სამსახურისადმი გულგრილობა

გუშინ, აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში ამხ. **ლაზის** თავმჯდომარეობით, სახალხო მსაჯულების: **გრომაშვილის** და **ბაბილეიშვილის** და პროკურორ **ლ. კუპრაშვილის** მონაწილეობით გაირჩა **დიმიტრი ვეზირიშვილის** საქმე.

სასამართლომ ვეზირიშვილს მიუსაჯა 1½ წლით თავისუფლების აღკვეთა.

კოჯორის კოოპერატივის თანამშრომელთა საქმე

გუშინ, აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში ამხ. **პ. ბურკაძის** თავმჯდომარეობით, სახალხო მსაჯულების: **ბუხნიკაშვილის** და **არუშანოვის** და პროკურორ **ბესელიას** მონაწილეობით გაირჩა **დითმიდე (დავით) ქანტურიშვილის** და **ალექსანდრე კორინთელის** საქმე.

ქანტურიშვილს ბრალდებოდა 1.193 მანეთის და 39 კაპ. გაფლანგვა კოჯორის კოოპერატივის გამგეობის წევრად ყოფნის დროს, ხოლო კორინთელს კი სამსახურისადმი გულგრილობა კოჯორის კოოპერატივის მოლარედ ყოფნის დროს.

სასამართლომ ქანტურიშვილი დამნაშავედ სცნო და მიუსაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლაციით.

1925 წ. 8 მარტის ამნისტიის ძალით, სასჯელი გაუნახევრდა.

კორინთელს კი მიესაჯა დისციპლინარული წესით სასჯელის მოხდა.

გაფლანგველების საქმე

(მეორე დღე)

გუშინდელ სხდომაზე დაკითხულ იქნა მთელი რიგი მოწმეები.

დაკითხვიდან გამოირკვა, რომ ბრალდებული ახუნდოვი იშვიათად ჩადიოდა ბორჯომში. მთელი დროებით თბილისში იმყოფებოდა და ხელგაშლილ ცხოვრებას ეწეოდა.

ახუნდოვი წარმოკავშირიდან ღებულობდა ფულებს, რომლებიც ავანსის სახით უნდა დაურიგებოდა მეზამბე გლეხებისათვის, მაგრამ მიღებულ ფულებს ითვისებდა.

დღეს დაბოლოვდება მოწმეების დაკითხვა და ექსპერტებს მიეცემა შეკითხვები.

შემთხვევები

ავტომობილის ქვეშ

30 იანვარს, ნაშუადღევის 4 საათზე, ბორჯომიდან ახალციხეში მიმავალმა ავტომობილმა სოფ. აგარის მახლობლათ გაიტანა სოფ. წინაუბნის მცხოვრები თურ მუსტაფ ოღლი, რომელიც იქვე გარდაიცვალა.

შოფერი **ალექსანდრე ბურდული** შეპყრობილია.

საათის პოვნა

სისხლის სამართლის მილიციის მიერ ნაპოვნია ქალის ოქროს სამაჯურიანი საათი. პატრონი უნდა გამოცხადდეს ს. ს. მილიციაში, ოთახი № 7, თ. ღემურიასთან.

◆ **თვითმკვლელობა.** 2 თებერ. ბორის ლევანისძე გულაშვილმა (მცხ. სანაპიროს ქ. № 8) ბრაუნინგით მოიკლა თავი. მიზეზი გამოურკვეველია.

◆ **ქ. ერევნიდან ახლად ჩამოსულს** ამაია სარქარიანცს სადგურის ქუჩაზე ამოაცალეს 300 მანეთი. ერთი ბოროტმოქმედთაგანი გიორგი სარგინიანცი დაპატიმრებულია.

◆ **დეხიმთოვის ქუჩაზე მდებარე** ბაქში გლეხ ივანე კონოვალოვს მოპარეს ქურქი. ქურდი სურენ ტიგრანის ძე კაზაროვი დააპატიმრეს.

◆ ამავე ბაქში სიმონ ებრალიძეს მოპარეს სხვადასხვა ნივთები. ქურდი ტერქუმოვი შეპყრობილია.

◆ **საბჭოს ქუჩაზე** გურქ თუმანიანცს ჯიბიდან ამოაცალეს 144 მანეთი.

◆ **შეპყრობა.** 1 თებ. ქურდობისათვის დააპატიმრეს მიხეილ აბრამის ძე ბაბაიანცი.

◆ **პუშკინის ქუჩაზე** პელაგია ნატკოვსკაიას 1 თებ. ამოაცალეს 23 მან.

◆ **ალმასკომის შენობაში** 1 თებ. სანდრო გაბრიელის ძე ვიგაურს ჯიბიდან ამოაცალეს 90 მანეთი.

◆ **ბოქლომის გატეხის** საშუალებით ხოჯავანქის ქ. № 15 გაქურდეს ეფროსინე ახნაზაროვის ბინა.

◆ **მორგებული გასაღების** საშუალებით 1 თებ. მადათოვის კუნძულზე გაქურდეს ბაღდასარ აროუთინოვი.

◆ **მორგებული გასაღების** საშუალებით 1 თებ. ნეკლოვის ქ. № 101 ოლღა ბოკერიას ბინიდან მოიპარეს 300 მან. ნივთები.

◆ **მორგებული გასაღების** საშუალებით 31 იანვარს ავტოგრაფიდან ქ. № 6 გაქურდეს დაით მელაშვილის ბინა. წაიღეს 133 მანეთის ნივთები.

ხელოვნება

„ვეფხის ტყაოსანის გარშემო“

ხვალ 5 თებერვალს რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში პოეტი კ. ჭიჭინაძე კითხულობს მოხსენებას ვეფხის ტყაოსნის შესახებ. რუსთაველის პოემის გარშემო კვლევა-ძიება განსაკუთრებით ფართოვდება და დიდ ინტერესს იწვევს უკანასკნელ ხანებში. მკვლევართა შორის, ამ პოემის პრობლემასთან დაკავშირებულ საკითხებში აზრთა სხვადასხვაობა არის. ტექსტის შესახებ ყველანი იმ აზრის არიან, რომ მასში მრავალად არის ყალბი ადგილები, ჩამატებული შემდეგი დროის გადამწერლებისა და მელექსეთა მიერ. კ. ჭიჭინაძე ამ საკითხში სდგას სრულიად განსხვავებულ თვალსაზრისზე. ის რუსთაველის პოეტიკის და სტილის გარკვევის გზით სხვათა შორის მიდის იმ დასკვნამდე, რომ ყალბი ადგილები პოემის ტექსტში არ არის. მისი აზრით, პოემის თანამედროვე გამოცემები, რომლებიც ემყარებიან ვახტანგისეულ რედაქციას, არ შეეფერებიან ვეფხის ტყაოსნის იმ სახეს, რა სახითაც ის საბოლოოდ მისმა ავტორმა ჩამოაყალიბა. ეს მოსაზრებანი ჭიჭინაძემ გამოსთქვა თავის წინანდელ ნაშრომში. ახალ მოხსენებაში ის ფართოთ მიმართავს ანალოგიებს მსოფლიო ეპოსიდან, ითვალისწინებს პოეტური შემოქმედების ფსიქოლოგიას, აღრმავებს რუსთაველის ლექსის შესწავლას ფორმალური მხრით და სცდილობს დაამტკიცოს ვეფხის ტყაოსნის მკვლევართა მიერ პოემის ტექსტიდან, მათი შეხედულებით, ყალბი ტაეპების ამოღების სრული უსაფუძვლობა: ჭიჭინაძემ პირველად გამოსთქვა აზრი, და ამ ჟამადაც იცავს მას, ვითომც რუსთაველმა თავის სიცოცხლის განმავლობაში ვეფხის ტყაოსანი გადააკეთა რამოდენიმეჯერ, რითაც უნდა აიხსნას ის გაუგებრობა, რომელსაც პოემის ხელთნაწერები ბადებენ.

ხ. ნ.

ხელოვნების ქრონიკა

◆ **თურქი მწერლის ახვერდოვის იუბილე.** დღეს რუსთაველის თეატრში გაიმართება თურქი მწერლის ახვერდოვის 35 წლის იუბილე.

◆ **„საჭე მარცხნივ“.** 10 თებერვალს რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება პირველად ქართულ სცენაზედ „საჭე მარცხნივ“.

◆ **ნინო მესხიშვილი.** სახელმწიფო დრამამ დასში მიიწვია ლადო მესხიშვილის ასული, ნინო მესხიშვილი. ნინო მესხიშვილი დღემდე თამაშობდა რუსულ სცენაზე მოსკოვში.

◆ **„ბელა“.** ახლო ხანში თბ. კინოებში აჩვენებენ ახალ სურათს „ბელა“-ს.

◆ **„ჩვენი სტუმართმოყვარეობა“** ორშაბათიდან წავა კინო „მინიონში“.

◆ **„იღრიალე ჩინეთო“.** ბათომის აკადემიური დრამა ამზადებს წარმოსადგენად „იღრიალე ჩინეთო“.

◆ **ეგონ პეტრის** გამოსამშვიდობებელი კონცერტი გაიმართება 6 თებერვალს რუსთაველის საკონცერტო დარბაზში.

◆ **მომღერალი დოთონაძე** ამ დღეებში იმღერებს „რიგოლეტოში“.

◆ **სანდრო ინაშვილი** დღეს იმღერებს „კარმენში“.

◆ **კავკასიურ მუსიკის სალამო.** კომპოზიტორი იპოლიტოვ - ივანოვი ახლო ხანში მოსკოვში გამართავს კავკასიურ მუსიკის სალამოებს.

◆ **„პუშკინი და დანტესი“.** პუშკინის გარდაცვალებიდან 90 წლის თავის აღსანიშნავად მუშათა თეატრში 6 თებერვალს რუსული დრამის მიერ წარმოდგენილი იქნება ვასილ კამენსკის: „პუშკინი და დანტესი“.

ფეხბურთი

უკანასკნელი შეჯიბრები

კვირას, 6 თებერვალს, ლენინის სახელობის სტადიონზე გაიმართება პირველი კატეგორიის გუნდების საფინალო შეჯიბრება ქალაქის პირველობაზე.

პირველ შეჯიბრში, შუადღის 12 საათზე, ერთმანეთს შეხვდებიან „არსენალი“ და „წ. ა. ფ. ს.“ (წითელი არმიის და ფლოტის სახლის გუნდი).

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მეორე შეჯიბრი „დინამო“-სა და „დურუჯ“ შორის რომელიც გაიმართება ნაშუადღევის 2 საათზე, რადგან ფაქტიურად ეს შეჯიბრი გადაწყვეტს პირველობის საკითხს.

გუნდები გამოდიან შემდეგი შემადგენლობით:

„დინამო“—დ. ცომაია, ფორჩუა, ბლანკმანი, ფილდოროვი, ჟორდანია, ანიკინი, ქოიავა, ფაჩულია, გალპერინი, იაკიმიდი და ვლ. ცომაია.

„დურუჯი“—პოპოსოხინი, ხევსურიანი, შავრიაბაია, ფრუიძე, იმნაძე, გონელი. ნ. ამბოკაძე გუნია, აბაშიძე, ვაჩნაძე და ქებაძე.

მეცნიერება და ტეხნიკა

აეროპლანი თოლია

ამერიკელმა მფრინავმა და გამომგონებელმა ლ. ბონიმ, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში აწარმოებდა თოლიების ფრენის და მათი ტანის აგებულობის შესწავლას, ააგო აეროპლანი, რომელიც თავისი ფორმით ძლიერ გავს თოლიას.



„თოლია“ მოკეცილი ფრთებით

აეროპლანის ფრთები ძლიერ ჰგავს თოლიას ფრთებს. ფრთები იშლება და იკეცება მფრინავის საჯდომთან მოთავსებულ ჰიდრავლიური ბერკეტზე ხელის დაჭერით.

გამომგონებელი ბონი არის მოწაფე ცნობილი რაიტის, რომელმაც ასწავლა მას ფრენა. ბონი უკანასკნელი თექვსმეტი წლის განმავლობაში განუწყვეტლივ განაგრძობდა ფრინველების ფრენის შესწავლას, დარწმუნებული, რომ ადამიანს კიდევ ბევრი რამ აქვს შესასწავლი ფრინველებისგან.

აეროპლანი წყალქვეშა ნავში

ამ რამდენიმე ხნის წინათ ამერიკაში მოახდინეს ცდები პატარა აეროპლანის მოსათავსებლად წყალქვეშა ნავზე S-1. აეროპლანი მოთავსებულია ლითონის ცილინდრში, რომელიც მიმაგრებულია წყალქვეშა ნავის ზევითა ნაწილზე. ცილინდრის ორივე ბოლო იხურება ისე კარგათ, რომ მასში არ შევიდეს წყალი, როცა ნავი წყალქვეშ იმყოფება. ცილინდრში დაშლილი სახით მოთავსებულია აეროპლანი, რომელიც ერთ კაცს იტევს.



აეროპლანი, დაკეცილი სახით, მოთავსებული მილში

კონსტრუქციის სიმარტივის წყალობით, აეროპლანის შეკრებას ესაჭიროება სულ 9 წუთი. შეკრების შემდეგ, ნავი იძირება და აეროპლანი რჩება წყალზე. დავალების შესრულების შემდეგ აეროპლანი ბრუნდება ნავზე, აქ მას კვლავ შლიან და ათავსებენ ცილინდრში.

აეროპლანი საწვავი მარაგით იწონის 30 ფუთს, დადგმულია მასზე 60 ძალიანი მოტორი, საათში შეუძლია გაიაროს 170 კილომეტრი.

ხეების დაცვა დალპობისაგან

ხის მასალის დასაცავად დალპობისგან, ჩვეულებრივათ მას ჟღენთენ დალპობის საწინააღმდეგო ნივთიერებებით: კრეოზოტით, ქლორიან თუთიათი და სხვ.

მაგრამ ეს გაჟღენთა ძლიერ აძვირებს ხე-ტყის მასალას ერთი მხრივ იმიტომ, რომ ძვირი ღირს გასაჟღენთი საქარხნო მოწყობილობა და მუშაობა, მეორე მხრივ იმიტომ, რომ ძვირი ჯდება თვით გამჟღენთავი ნივთიერება.

სპეციალისტები დიდი ხანია ეძებდენ ისეთ ნივთიერებას რომელიც თავისი სიაფის წყალობით, შესაძლებელს გახდიდა ხე-ტყის მასალის დაცვას დალპობისგან უფრო ფართო მასშტაბით. მრავალ დაკვირვებათა შემდეგ ამ საქმის სპეციალისტები შეჩერდნენ ჩვეულებრივ მარილზე, რომელიც მეტად იაფია და დიდი რაოდენობით მოიპოვება საბჭოთა კავშირში. შეამჩნიეს, რომ მარილის საზიდავი ბარჟები ვოლგაზე სამჯერ მეტ ხანს ძლებენ, ვიდრე სხვა ხის გემები.

საბძლები და სხვა შენობები, სადაც ინახება მარილი, უფრო მეტს სძლებენ ვიდრე სხვა შენობები. იმ შენობებში, რომლებიც აშენებულია ისეთი მასალებიდან, რომლებიც ლპობის პროცესი უკვე დაიწყო, მარილის ჩაყრის შემდეგ ლპობის პროცესი წყდება.

იურიდიული დახმარება

მორიგ შვებულებაში ყოფნის დროს სამსახურიდან დათხოვნის შესახებ

სოფ. სირიაჩქოს მცხოვრებ ივ. ხაციას

პასუხი

მუშა - მოსამსახურის შვებულებაში ყოფნის დროს შტატის შემცირების მოტივებით სამსახურიდან მოხსნა ყოვლად დაუშვებელია, რადგან ასეთი მოქმედება სავსებით ეწინააღმდეგება შრომის კანონმდებლობას. შვებულებაში მყოფი მუშა - მოსამსახურე შეიძლება მოხსნილი იქნეს სამუშაოდან იმის შემდეგ, როდესაც ის დაბრუნდება შვებულებიდან. თუ მას ამ უკანასკნელ შემთხვევაში არ მიეცემა წინასწარი ორკვირეული გაფრთხილება, მას უნდა მიეცეს ორკვირეული გასასვლელი დახმარება, თანახმად შრომის კანონთა კოდექსის მუხ. 88-ისა.

შრომის კანონთა კოდექსის მუხ. 47-ის გამოყენების შესახებ

კავშირის წევრს (წიგნ. № 10104)

თქვენ გვწერთ რომ თქვენ ადმინისტრაციამ წამოგიყენათ სისხლის სამართლის ბრალდებები და საქმე გადაეცა გამომძიებელს. გამოძიება გაგრძელდა ერთი თვე-ნახევრის განმავლობაში და ბოლოს საქმე მოისპო წარმოებით სისხლის სამართლის ნიშნების უქონლობის გამო. ამის შემდეგ თქვენ მოისურვეთ ძველ სამუშაოზე დაბრუნება, მაგრამ ადმინისტრაციამ დაბრუნებაზე უარი გითხრათ იმის მოშიზეზებით, რომ თქვენ ადგილზე უკვე მოწვეულია სხვა პირი და არც მოისურვა მან (ადმინისტრაციამ) თქვენი სხვა თანაბარ ადგილზე დაბრუნება. ამის გამო გვეკითხებით, კანონიერია თუ არა ადმინისტრაციის მოქმედება და გერგებათ თუ არა თქვენ გაცდენილი დროის ხელფასი.

გიპასუხებთ:

ადმინისტრაციის მოქმედება უკანონოა. თქვენ უნდა დაგიბრუნდეთ თქვენი ძველი სამსახური ან და მოგეცეთ ამავე დაწესებულებაში თანაბარი კვალიფიკაციის სამუშაო და გაცდენილ დროის ხელფასი. (იხ. შრომის კანონთა კოდექსი მუხ. 47-ის აშ. „ე“-სა ამიერ - კავკასიის შრომის სახკომატის 1925 წლის 16 იანვრის განმარტების მუხ. 4).

მიწის მოსარგებლის უფლების დარღვევის შესახებ

სენაკის მაზ. სოფ. ფოცხას მცხ. ირაკლი მგალობლიშვილს

თქვენ გვწერთ. რომ თქვენ ვითომდა უკანონოდ ჩამოგართვეს მიწები და ამიტომ გვეკითხებით თუ რა წესით უნდა აღადგინოთ თქვენი დარღვეული უფლებები.

გიპასუხებთ:

თანახმად მიწის კოდექსის მუხ. 24-ის თქვენი უფლების აღსადგენად სათანადო განცხადებით თქვენ უნდა მიმართოთ ადგილობრივ სააღგილ მამულო სასამართლო კოლეგიას.

პარტიული ცხოვრება

საქ. რომ. ცკა იუწყება, რომ დღეს, 4 თებერვალს, საღამოს 6 საათზე, საქ. რომ. [illegible] ცკას [illegible] სხდომა. [illegible]

სკოლებში, ტეხნიკუმებში და უმაღლეს სასწავლებლებში „საქართველოს გასაბჭოების 6 წლის თავის“ კამპანიის ჩასატარებლად საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტი მომხსენებლებათ ნიშნავს შემდეგ ამხანაგებს:

პირველ რაიონში: თანიკაშვილს, ქავთარაძეს, ი. მამულიას, ს. ამალობელს, ნ. მახარაძეს. **მეორე რაიონში:** ა. მიქაძეს, იმედაძეს, მუშიშვილს ჩხენკელს, ხაცკევიჩს, გოდაბრელიძეს, სტ. ვარდანიანს, სოსიანს, ხრისტოლიუბოვს, გობეჩიას, გურგენიძეს, პოლოსოვს, ვანციანს. **მე-3 რაიონში:** ოსეპიანს, ვართაპეტოვს, სალუქვაძეს, გ. ჯავახიძეს. **მეოთხე რაიონში:** ლისივსკის, სუტირინს მარიამ ორახელაშვილს, ალავერდიანს, ვარძიელს, მაშკევიჩს, მოლოტნიკოვს, ასრიბეკოვს შავერდოვს, ავაქოვს, ლენტორ რუხაძეს, მამულაშვილს, გულოიანს, ხაჩაპურიძეს, მთვარელიძეს, სოკოლოვსკის, არშ. მელიქიანს, მამულიას, მამულაშვილს, პისეცკის, ტალახაძეს, რახმანს, ტერსიმონიანს, გრიგორიანს, კუდრიავცევს, ბაბაჯანოვს, ა. ათაბეკოვს, მხიტაროვს,

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მდივანი **ასრიბეკოვი.**

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის საგიტაციო, მეთოდ ბიუროს სხდომა შესდგება პარასკევს, 4 თებერვალს საგიტაციო საპროპაგანდო განყოფილებაში.

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის საპროპაგანდო მეთოდბიუროს სხდომა შესდგება შაბათს, 5 თებერვალს დილის 10 ნახ. საათზე თბილისის კომიტეტის საგიტაციო საპროპაგანდო განყოფილებაში.

პარასკევს, 4 თებერვალს, საღამოს 6 საათზე თბილისის კომიტეტის აგიტპროპ მუშაკების კაბინეთში (რუსთაველის თეატრის შენობა, მესამე სართული, შესავალი ეზოდან) შესდგება ახალგ. ლენინური კომკავშირის მოსწავლეთა უჯრედების მდივნების თათბირი „საქართველოს გასაბჭოების ექვსი წლის თავის“ კამპანიის ჩატარების საკითხის შესახებ.

ქალაქის რაიკომი.

ღრმათ დამწუხრებული მეუღლე ნინა, შვილები გიორგი, ქემსი, ქეთო, თამარა და თინა, მამა თეიმურაზი ძმები ზაქარია და ალექსანდრე, დები: სალომე და მარიამი, სიძე ილია თაქთაქიშვილი უხდით დიდ მადლობას იმათ, ვინც განიზიარა ჩვენი მწუხარება და დაესწრო

გრიგოლ (გიგო) თეიმურაზის ძე ორჯონიკიძის

დაკრძალვას. 1519

გულდათუთქული მშობლები ლევანი და მატრონა და და-ძმა ვერა და პროკოფი გოლაშვილები, ელენე, კალნიკე და პატარა თამრიკო რობაქიძეები მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ 2 თებერვალს, დღის 11 საათზე, ტრაღიკულად გარდაიცვალა

ბორის ლევანის ძე გოლაშვილი

დაკრძალვა მოხდება შაბათს 5 თებერვალს 2 საათზე კუკიის სასაფლაოზე. სამოქალაქო პანაშვიდი პარასკევს, 4 თებერვალს, 5 საათზე საკუთარ ბინაზე, სახლვრის შესახვევი № 14 2—1 1523

ღრმად დამწუხრებული ცოლი ნინო, ბიძები: ვასილ, დავით, ბიჭოლა სონა, ბიძაშვილები პეტრე და მარუსია მინდიაშვილები აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს

ივანე გიორგის-ძე მინდიაშვილის

ტრაღიკულათ გარდაცვალებას. დასაფლავება ლოზოვაია პაველოვკაში (დონის გუბერნია). ნ. 584

სახელმწიფო დრამა

შაბათს, 5 თებერვალს ნ. შიუკაშვილის **ამერიკელი ძია**
ორიგინალური კომედია 4 მოქმედ. და 3 ინტერმედიით
დადგმა ალ. ახმეტელის.

კვირას, 6 თებერვალს ნ. აზიანის
დეზერტირკა
კომედია 4 მოქმ.
6—4 ნ. 573

სახელმწიფო ოპერა

დღეს, 4 თებ. სანდრო ინაშვილის, ვოლჩანეცკაიას, ხპრიშევსკაიას და ქუმსიაშვილის მონაწილეობით **კარმენ**
დირიჟორი დამსახ. მსახ. სტოლერმანი.
შაბათს, 5 თებერვალს, პრემიერა **სამსონ და დალილა**
ა. ეიხენვალდის დადგმით
კვირას, 6 თებერვალს, ს ნდრო ინაშვილის მონაწილეობით **აიდა**
ნ. 585

ცირკი
ძმ. ტანტების
ნ. 587
ტელ. 16—67

ს.ს.ს. რესპ. დამსახ. მსახ. ძმ. ტანტების ხელმძღვანელობ.
პარასკევს, ა. წ. 4 თებერვალს,
სრულიად ახალი პროგრამის სანახაობანი. დღეს გამოდის დასის მეორე ნაწილი. გარდა ამისა მე-11 დღე ფრანგული ჭიდაობის საერთაშორისო ჩემპიონატისა ცნობ. არბიტრის ლიტ. ჟურნალისტის ი. ვ. ლებედევის (ძია ვანო) ხელმძღვანელობით
ჭიდაობს ოთხი წყვილი აუცილებლათ წაიკითხეთ ჩვენი აფიშები.
ადმინ. ხელმ. ძ. ი. ტ ა დ ე.
კვირას, 6 თ-ბ. ყველასათვის ხელმისაწვდომი საბავშო დ ი ლ ა ნაშუადღევის 1 ნახ. საათზე: ახალი მახრიობები, საჩუქრები!

აპოლლო
არფასტო
სოლეი
დარბაზი

უდიდესი წარმატების გამო მეორე კვირაში გრძელდება ჩვენება საქართველოს სახკინმრეწვის სურათისა
ორი მონადირე
ტრაგედია 7 ნაწ., ი. ელეფთერიძის მოთხრ. მიხედვით
დადგმა ა. რ. წუწუნავასი ოპერ. ს. პ. ზაბოზლაევი
1-ლი სეანსის დასაწყისი საღ. 6 საათზე
საუკეთესო სურათი რუდოლფ ვ ლენტინოს და ნიტა ნალდის მონაწილეობით
„სისხლი და სილა“
ანონსი: ამ დღეებში „მონტეცუმას ასული“
საქართველოს სახკინმრეწვის უახლოესი გამოშვება
„ბ ე ლ ა“ ლერმონტოვის მოთხრობის მიხედვით
0—22 ნ. 543

გამოვიდა და იყიდება
ჟურნალი
„სოფლის კომუნისტი“
№ 1

შინაარსი:
მიხა ცხაკაია — ვლადიმერ ილიას-ძე ულიანოვ-ლენინი.
ფ. მახარაძე — სამი წელი.
ა. პაპავა — სამი წელი ულენინოთ.
აკ. ჭყონია — ლენინი და გლეხობა.
გ. მ—ლი — საბჭოთა არჩევნები და პარტიული ხელმძღვანელობის საკითხი.
დ. გვაზავა — საბჭოების გად რჩევა და ოპოზიცია.
ვ. მაჭავარიანი — კომკავშირი და საბჭოების მორიგი გადარჩევა.
ადგილობრივი ცხოვრება:
ს. მინდაძე — პარტგანათლების ქსელი ქუთაისის მაზრაში. მ. ბარამია — სენაკის სამაზრო კომიტეტის მუშაობა. ს.ჩ ლი — ქალთა შორის მომუშავე განყოფილების გამგეთა თათბირი.
ბიბლიოგრაფია:
დ.-ძე — მიხ. კახიანი, საკავშირო კომპარტიის XV კონფერენციის შედეგები. გ. მ. — დავით სულიაშვილი, შვეიცარიიდან პეტროგრადამდე ლენინთან ერთად ა. ი. — პოლიტცოდნა. გ. აბზგაუზი და ა. პროტასოვი.
მხატვრული ლიტერატურა:
ზ.—ნ — სილ. თოდრია, ელაჲი სარკე.
ჟურნალი დაურიგდება ხელისმომწერთ და გაიყიდება ყველგან. ნ. 586 3—1

ქ. ქუთაისის მე-2 უბნის სასამართ. აღმასრულებელი ვლ. კანდელაკი

ამით აცხადებს, რომ 1927 წ. 5 თებერვალს, დილის 11 საათზე, ქ. ქუთაისში, ჯულაშვილის ქუჩაზე, დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა** გაიყიდება შალვა ერმილეს-ძე კოლუაშვილის აგურის სახლს ზემო-სართული, რომელიც შეიცავს სამ საცხოვრებელ ოთახს, აივნებს, კიბეებს და ფეხისადგილს, სახლი დახურულია კრამიტით და დადგმულია ივანე კოლუაშვილის სახლზე. სახლი გაიყიდება საქ. ს. მ. უ. ს. ტრესტების ქუთაისის სავაჭრო კანტორის ვალ ს დასაკმაყოფილებლათ. სახლი დაფასებულია 130 მან., საიდანაც დაიწყება საჯარო ვაჭრობა. ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს საჯარო ვაჭრობაში, უნდა წარმოადგინოს ცნობა აღნიშნული 311 და 312 მუხ. სამ. საპ. კოდ. და საწინდარი 10 პროც. ნ. 588

ექიმი მ. ა. ლუკოვეცკი
სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.
ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე, ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე. საპიროს ქუჩა, № 35 ყოფილი კადეტ. კორპ. უკან. 25—

მედიცინის დოქტორი
ბ. ა. ახვერდოვი
ვენერიული და სიფილისი დილის 9—12 საათ მდე, საღამოს 6-დან 8-მდე პლეხანოვის № 7 (ვორონცოვის ყოფ. ძეგლთან) შესავალი სახლის კუთხიდან 25—1

ქ. თბილისის 1-ლი უბნის სასამართლოს აღმასრულებელი გ. გ. ბარუტჩევი

ამით აცხადებს, რომ ის 9 თებერვალს 1927 წ. დღის 1 საათზე სახლში № 8, ეზოში, რუსთაველის გამზირზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის სტუდენტთა კოოპერატივის მოძრავ ქონებას: 190 წიგნი-ანატომია ბობროვისა და 300 წიგნი—ოქტომბრის გაკვეთილებზე, შეფასებულს 190 მანეთად, ხარკოვის ტეხნოლოგიურ ინსტიტუტის ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ქ. თბილისის 1-ლი უბნის სახალხო სასამართლოსაგან 25 ოქტომბრის 1926 წ. თარიღით, № 5776 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. თუ 9 თებერვალს ვაჭრობა არ შესდგა, მაშინ ქონება გაიყიდება 16 თებერვალს, საათის 1, მე-2 ვაჭრობით შემცირებულ ფასიდან. 1520

ქ. ქუთაისის 1-ლი უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ს. ბოჭორიშვილი

აცხადებს, რომ ქ. ქუთაისში, ჯაფარიძის ქუჩაზე, სიმონ უგრეხელიძის ბინაზე 1927 წ. 14 თებერვალს, დილის 12 საათზე, დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა** მის—სიმონ უგრეხელიძის ქონების, მაგიდების, სარკის, შკაფების, სკამების, ხოხის, პირსაბანის და სხვა საოჯახო ავეჯეულობის, გასაყიდათ, რაც შეფასებულია 315 მან. საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებული თანხიდან და ქონება გაიყიდება ცალ-ცალკე. ნ. 588

სურ-ბორჯომის უბ. სახ. სასამ. აღმასრულებელი ი. ქურდღვანიძე

ამით აცხადებს, რომ ა | წ. 10 თებერვალს დილის 10—13 საათზე ქ. ბორჯომში, ადგილობრივ თბილისის სასადილოში **საჯარო ვაჭრობით** გაიყიდება სასადილოს სხვადასხვა ავეჯეულობა: 1) თანახმად თბილისის შრომის სასამ. აღმასრ. ფურც. № 3083 ხელოვნების მუშაკთა კავშირის 150 მან. დასაკმაყოფილებლად, და 2) მე 4 უბნ. სასამ. აღმასრ. ფურც. № 4889 სპირიდონ ხვადაგიანის 108 მან. 50 კ. დასაკმაყოფილებლად — კუთვნილი ქ. ბორჯომში მცხოვრებ არსენ კალაშვილისა. ვისაც სურს მობრძანდეს და ივაჭროს. 1513

ქ. ქუთაისის 1-ლი უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ს. ბოჭორიშვილი

აცხადებს, რომ ქ. ქუთაისში მოწამეთის ქუჩაზე სახლი № 37, 1927 წ. 10 თებერვალს, დილის 12 საათზე, დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა** სერგო გოგინოვის ქონების—ოჯახის მოწყობილების: ბუფეტის შკაფის, პირსაბანის, სარკის, სასადილო მაგიდის და სხვების გასასყიდათ, რაც შეფასებულია 195 მან.

საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებული თანხიდან და ქონება გაიყიდება ცალ-ცალკე სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეტენზიის დასაკმაყოფილებლათ. ნ. 588

ქუთაისის 1-ლი უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ს. ბოჭორიშვილი

აცხადებს, რომ ქ. ქუთაისში, ჯაფარიძის ქუჩის მე-3 ჩიხში № 1, 1927 წ. 7 თებერვალს, დილის 12 საათზე, დანიშნულია მეორე **საჯარო ვაჭრობა** კონსტანტინე ასლანის-ძე აბულაძის ერთი ერთ სართულიანი ქვითკირის სახლის გასასყიდათ; სახლი შესდგება სამი თვალი საცხოვრებელი ოთახისგან და ქვეშ სარდაფით და ერთი თვალი ქვითკირის მოუთავებელი სამზარეულოსაგან, აგებული მიწაზე ზომით დაახლოებით 80 ოთხკუთხი საჟენი შეფასებული 800 მან.

საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებული თანხიდან ან იმ თანხიდან, რომელიც დასახელებული იქნება მოვაჭრეთაგან. სახლი გაიყიდება სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად. ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს საჯარო ვაჭრობაში, უნდა წარმოადგინოს ცნობები აღნიშნული 311 მუხ. სამ. საპ. კოდ. და საწინდარი შენობის შეფასებულ თანხის 10 პროც. რაოდენობით. ნ. 588

ქუთაისის 1-ლი უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ს. ბოჭორიშვილი

აცხადებს, რომ ქ. ქუთაისში ა. წერეთლის ქუჩაზე, სახლი № 18, 1927 წ. 9 თებერვალს, დილის 10 საათზე დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა** ლუკა ჰაჭკანიძის ქონების ოჯახის მოწყობილების—ბუფეტის შკაფის, მაგიდის, პირსაბანის და სხვების გასასყიდათ, რაც შეფასებულია სულ 220 მან. საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებული თანხიდან და ქონება გაიყიდება ცალ-ცალკე სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეტენზიის დასაკმაყოფილებლათ. ნ. 588

ქუთაისის 1-ლი უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ს. ბოჭორიშვილი

აცხადებს, რომ ქ. ქუთაისში, მახარაძის ქუჩაზე, დუქანი № 40, 1927 წ. 9 თებერვალს, დილის 12 საათზე დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა** ერმილე ბაბუხადიას ქონების—სასწორის და სანავთე რკინის ბაკის გასასყიდათ, რაც შეფასებულია 95 მან. საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებული თანხიდან და ქონება გაიყიდება ცალ-ცალკე სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეტენზიის დასაკმაყოფილებლათ. ნ. 588

ქუთაისის 1-ლი უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ს. ბოჭორიშვილი

აცხადებს, რომ ქ. ქუთაისში, ჯაფარიძის ქუჩაზე № 30, 1927 წ. 7 თებერვალს, დილის 10 საათ. დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა** ხაიმ აბრამის-ძე იაკობიშვილის ერთი ქვითკირის სამ სართულიანი სახლის გასასყიდათ სახლის ძირა სართული შესდგება სამი დარაბიანი სამრეწველო დუქნისაგან, შუა სართული ორი საცხოვრებელი ოთახისაგან და მესამე სართული 3 საცხოვრებელი ოთახისაგან, გაიყიდება აგრეთვე იმ შენობაზე მიშენებული ერთ სართულიანი სახლი, რომლის ქვეშ არის ექვსი თვალი საწყობი და ზევით ათი თვალი ოთახი. ყველა ეს შენობები შეფასებულია 2200 მან.

საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებული თანხიდან „ზაკგოსტორგი“-ს პრეტენზიის დასაკმაყოფილებლათ, ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს საჯარო ვაჭრობაში, უნდა წარმოადგინოს ცნობები აღნიშნული 311 მუხ. სამ. საპ. კოდ. და საწინდარი შენობის შეფასებულ თანხის 10 პროც. რაოდენობით. ნ. 588

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომლებიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, კორიანოვის ქ., № 20 25—21

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე — სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8. 25—1

ექიმი ჯალალოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9—საათამდე საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25—16 25—1

ექიმი ა. ს. ფონ-ირტელი
პლეხანოვის პროსპექტი, № 10, (ყოფ. ვორონცოვის ხიდის მახლობლად, ყოფ „ბომონდი“).
გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე.

ქუთაისი
ექიმი ა. მ. ასათიანი
დაბრუნდა ლენინგრადის კლინიკებიდან და განაახლა ავადმყოფობის მიღება სპეციალური — სამშობიარო ქალთა სნეულებანი. 13—1

ექიმი
მეგრაბიანცი
ფილტვების, ყელის და გულის სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში
სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა. ხელოვნური [illegible]ზე. ოლენინ-ტერ. პრ. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და საღ. 6—8 საათ.
ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩ., 852 25—1

ა. ვ. მიქაბერიძე.
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ინსტიტუტი“
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხ. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.
ყუნლაძის ქუჩა (ყოფ. საპიროს) 19 იღებს დილით 10-დან 2-დე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი შესახვევიდან 25—1

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიულ და კანის სნეულება.
მიღება 9—11 დილ. 6—8 საღამ. პლეხანოვის პრ. № 116.
სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. 348 25—1

დავკარგე პარტიული ბილეთი № 495330. რკინისგზის კავშირის წიგნაკი № 35607, ლენინგრადის საავადმყოფოში ექიმობის საბუთი, მოცემული ამიერ-კავკასიის რკინის გზების ჯანმრთელობის განყოფილებიდან, განქორწინების მოწმობა, დაზღვევის წიგნაკი სურათით. შრომის ბირჟის აღრიცხვის ბარათი № 113 და ამიერ-კავ. საექსპერტო კომისიის დადგენილების ასლი ეფრემ დავითისძე ჯინორიას სახელზე. ჩ. გ. 1516

დავკარგე საქ. მედსანშრომის კავშირის პირადობის წიგნაკი № 6079 თამარა (გუგული) სერგოს ასული დონაძის სახელზე, ჩ. გ. 1514

დავკარგე კავშირის წიგნაკი, გაცემული სამტრედიის საუბნო კომიტეტიდან 1926 წ. 8 მარტ. № 43443 ილია თაბუკაშვილის სახელზე, ჩ. გ. 1509

დავკარგე პირადობის მოწმობა № 7750 ნიშანი სარკისისძე ტერ-თევანეზოვის სახელზე, ჩ. გ. 1511

დავკარგე კავშირის წიგნაკი № 2704 აბესალომ ბურჯანაძეს სახელზე, ჩ. გ. 1510

დავკარგე კავშირის საწევრო წიგნაკი № 6407, რევოლვერის ტარების მანდ-ტი № 8075 შაქრო გაბათაშვილის სახელზე, ჩ. გ. 1512

დავკარგე პარტიის საკანდიდატო ბილეთი № 13981, საალრიცხვო ბარათი და პროფკავშირის წიგნაკი ერმალო ნიკოსძე ქურციკიძის სახელზე ჩ. გ 1524

დავკარგე პარტკანდიდატის ბარათი № 16970 პარიენ ბაგრატისძე ბუაძის სახელზე, ჩ. გ. 1524

დავკარგე კომპარტიის საწევრო წიგნაკი № 498375 მაქსიმე ფრიდონისძე დაუშვილის სახელზე, ჩ. გ. 1524

დავკარგე საალრიცხვო ბარათი ფ. № 4 გაცემული ხარაგოულის რაი სამხედრო მაგიდის გამგის მიერ და ქ. ქუთაისის მე-3 ლეგიონიდან გაცემული განთავისუფლების ქაღალდი № 1008 ლევან ტრიფონისძე აბაშიძეს სახელზე, ჩ. გ. 1521

დავკარგე საწევრო წიგნაკი საქართველოს ხელოვნების მუშაკთა კავშირისა (რ ბისის) ვიქტორ ათანასესძე ნინიძის სახელზე, ჩ. გ. 1572

დავკარგე 1 ქართული ცხენოსანი ლეგიონიდან მოცემული ვადით შვებულების მოწმობა № 3224. დავით გოგოლაძის სახელზე, ჩ. გ. 1517

დავკარგე პროფკავშირის წიგნაკი № 1527 ვასილ ჯაფარიძეს სახელზე, ჩ. გ. 1524

თანახმად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი 1925 წლის 13 მარტის № 12 ცირკულიარისა, ადმინისტრატიული განყოფილების მმართველის ბიურო აცხადებს, რომ მოქ. ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე ერისტოვმა შეიტანა განცხადება მისი გვარის ერისტოვის გვარი ბირიუკოვზე შესაცვლელად.

საერთო-საად. ქ | განყ
უფროსი კ ი ღ უ რ ა ძ ე
მმართველის ბიუროს გამგე
შ ა რ ა ძ ე ნ ი ძ ე
საქმის მწარმოებელი
კ ვ ა ნ ტ ა ლ ი ა ნ ი

ალმასკომის სტამბა, კამოს ქ. 68.